# არილი

№13 (158) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 28 სექტემბერი

ფასი 50 თეთრი

1134/2
2000

№77
(13-16)



#13
2000

ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

---

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**



სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ქილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№13 ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## პერსონა


ჟერარ ჟენეტი
ლიტერატურის უტოპია ..... 1
ხორხე ლუის ბორხესი
პირადი ბიბლიოთეკა ..... 5
სილვია ბარონ სუპერვილი
ოცნებათა ტყვე ..... 8


## ლიტერატურა


ზურაბ ლეჟავა
სახელები რომლებსაც ჩვენ ვივიწყებთ და ვკარგავთ ..... 10
ავთო ხეთანელი
დერეფანი ..... 14
ნანა ექვთიმიშვილი
სახეები ..... 17
ლელა სამნიაშვილი
რატომ ინახავდა დიკინსონი "პორტფელში" თავის პოეზიას ..... 20
პაულ ცელანი
ლექსები ..... 23
იასუნარი კავაბატა
ღამეული თამაში კამათლებით ..... 25
მარგარეტ კრაიდლი
ზევიდან ქვევით ..... 30


## პუბლიცისტიკა


ია ანთაძე
"ახალი მოლოდინების" ფაზა ..... 34
ზაზა ფაჩუაშვილი
არ იტირო სექტემბერო ..... 38
ვაცლავ ჰაველი
ევროპელები ..... 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟერარ ჟენეტი

# ლიტერატურის უტოპია



ერთი შეხედვით, ბორხესი-კრიტიკოსი შეკავშირების უცნაური დემონით ატანილსა ჰგავს. ზოგიერთი მისი ესეს შინაარსი **განსხვავებულ ინტონაციათა** მოკლე ჩამონათვალზე დაიყვანება, ცვლილებებზე, რომელსაც ცალკეული იდეები, თემები და მეტაფორები განიცდიან საუკუნეთა მანძილზე: რიკეტსი და ჰესკეტ პირსონი ოსკარ უაილდს მიაწერენ ფრაზის, purple patches გამოგონებას, მაგრამ ეს ფორმულა უკვე "პიზონთა მიმართ ეპისტოლეებში" არსებობს; ჯონ დონიდან ორი საუკუნის შემდეგ, ფილიპ მაინლენდერმა წამოაყენა ჰიპოთეზა ღმერთის თვითმკვლელობის შესახებ; პასკალისეული სანაძლეოს იდეა უკვე გამოთქმული ჰქონდათ არნუბიუსს, სირმონსა და ალგასელს; ორი უსასრულობა ლეიბნიცთანაც იჩენს თავს და ვიქტორ ჰიუგოსთანაც; ქითსის ბულბული პლატონის გაგრძელებაა და შოპენჰაუერს განჭვრეტს; კოლრიჯის სიზმრიდან მოტანილი ყვავილი წინ უძღვის უელსის მომავლიდან მოტანილ ყვავილს და ჯეიმსის პორტრეტს - რომელიც წარსულიდან წამოიღეს; უელსმა "ჩვენი დროისთვის გადაამუშავა იობის წიგნი, პლატონის დიალოგების უბადლო, ძველებრაული მიბაძვა"; პასკალის სფერო ჰერმეს ტრისმეგისტოსიდან იღებს დასაბამს - რაბლეს გავლით - ან პლატონისეული პარმენიდედან აღმოცენდა და "ვარდის რომანი" გამოიარა. ნიცშემ უარყო სოკრატემდელთა თეორია მარადიული მობრუნების შესახებ და შემდეგ, მოგვიანებით, თავადვე აღმოაჩინა იგი...

თუკი ბორხესი არ ეძებს წყაროებს, იგი სიამოვნებით გამოჰყოფს ხოლმე წინამორბედებს: უელსისთვის (რონი, ლიტონი, პელტოკი, სირანო, ვოლტერი, ბეკონი, ლუკიანე), ბეკფორდისთვის (ერბელო, ჰამილტონი, ვოლტერი, ჰალანი, პირანეზი, მარინო), კაფკასთვის: "კაფკას წინამორბედთა გამოვლენა დიდი ხანია მიზნად დავისახე. როცა პირველად წავიკითხე, ვერავის მივამსგავსე - ეს იყო რიტორიკულ აპოლოგიათა უნიკუმი; მაგრამ, როცა გავუშინაურდი, მისი ხმა და თვისებები სხვა ლიტერატურებისა თუ სხვა ეპოქათა ტექსტებში ამოვიცანი. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ქრონოლოგიურად", და ამას მოჰყვება ზენონი, ხან იუი, კირკეგორი, ბრაუნინგი, ბლუა და ლორდ დანსენი. როცა ასეთ ჩამონათვალს ხედავ და არ გესმის იდეა, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებს ყველაფერ ამას, დიდი რისკია ნესტორ იბარას ფრაზა გაიმეორო "გამოგონილი ისტორიების" წინასიტყვაობიდან, სადაც იგი "პედანტიზმთან გამართულ გაცნობიერებულ და ზოგჯერ სასიამოვნო ფლირტზე" საუბრობს; შემდეგ კი ისღა დაგრჩენია, ბორხესის კრიტიკა საუნივერსიტეტო კომპილაციათა უხალისო წყებაში მოათავსო. შეიძლებოდა ასევე გაგვეხსენებინა თვალსაზრისთა და ჩვეულებათა შეთანხმებული თუ შეუთანხმებელი ჩამონათვალის გრძელი რიგი, რის მიხედვითაც მონტენი თავის პირველ ესეებს ქმნიდა. მონტენთან ასეთი დაახლოება უფრო გამართლებულიცაა; მათი საერთო სურვილი, შეექმნათ ყოვლისმომცველი კატალოგი, შესაძლოა ამ ორი მოაზროვნის გარკვეულ სულიერ ნათესაობაზე მეტყველებს და ორივე ცდილობს თავიანთი თავბრუსხვევა და ეჭვი ერუდიციის იდუმალ ლაბირინთებში გამოკეტოს. თუმცა, შეკავშირების ბორხესისეული ვნება და პარალელიზმების სიყვარული შედარებით უფრო სიღრმისეულ იდეას პასუხობს და დასკვნებს აქედან, არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ამ იდეის შედარებით აგრესიულ ფორმულირებას ჩვენ ვნახავთ მოთხრობაში "ტლიონი, უკბარი, Orbis Tertius": "თავისთავად ცხადია, რომ ყველა ნაწარმოები ერთი ზედროითი და ანონიმური ავტორის მიერაა შექმნილი". ამ იდეის გულისთვის, ტლიონის მწერლები ხელს არ აწერენ თავიანთ წიგნებს და მათთვის უცხოა პლაგიატის ცნება, ისევე, როგორც გავლენა და აპოკრიფი. გარკვეულწილად ტლიონის მწერლები იყვნენ ჯორჯ მური და ჯეიმს ჯოისი, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში "სხვისი ნაწერისა და ნააზრევის ინკორპორირებას ახდენდნენ"; ოსკარ უაილდიც ტლიონის მწერალი იყო, ოღონდ პირიქით, რადგან "ხშირად ჩუქნიდა სიუჟეტებს მათ, ვისაც მისი დამუშავების სურვილი ჰქონდა"; ამ რიგს შეგვიძლია მივათვალოთ სერვანტესი, კარლეილი, მოსე ლეონელი და მრავალი სხვა, მათ შორის, ალბათ თავად ბორხესიც, - ისინი ვიღაც გამოგონილ ადამიანს მიაწერდნენ ხოლმე თავიანთი ნაწარმოებების ავტორობას; მაგრამ ტლიონის მწერალი par excellence პიერ მენარი იყო, საუკუნის დასაწყისის



საქართველოს

ეროვნული



ნიმელი სიმბოლისტი, რომელსაც მობეზრდა განსჯები ლაიბნიცისა და რაიმონდ ლულიუსის შესახებ, ან ვალერის "ზღვის სასაფლაოს" ალექსანდრიული ლექსით განწყობა (ისევე, როგორც თავად ვალერი სთავაზობდა თანამედროვეებს ერთი ტერფით გაეზარდათ შვიდტერფიანი "მოპატიჟება სამოგზაუროდ") და ერთ მშვენიერ დღეს ახლიდან შეუდგა - საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და აზროვნების ანაქრონიზმების გამორიცხვით - "დონ კიხოტის" ორივე ნაწილის წერას და ნაწილობრივ განახორციელა კიდეც თავისი ჩანაფიქრი, თანაც საოცარი სიზუსტით. როცა თავის თავზე ცდიდა საკუთარ მეთოდს, ბორხესმა ამ იდეის ძველი ვერსიებიც გაიხსენა - შელის იქნებოდა ეს, ემერსონის თუ ვალერის. შელის მიხედვით, ყველა ლექსი ერთი საყოველთაო პოემის ფრაგმენტებს წარმოადგენს. ემერსონისთვის "სამყაროში არსებული ყველა წიგნის ავტორი ერთადერთი პიროვნებაა". რაც შეეხება ვალერის, ჩვენ ყველას გვახსოვს მისი მოთხოვნა, წარმოედგინათ ლიტერატურის ისტორია "როგორც ლიტერატურის მწარმოებელი და მომხმარებელი სულის ისტორია, ისტორია, რომელიც ისე შეგვეძლო დაგვეწერა, რომ არც ერთი მწერლის სახელი არ გვეხსენებინა".

ესაა ლიტერატურის აღქმა, როგორც ერთგვაროვანი და შექცევადი სივრცისა, სადაც არ არსებობს არც ინდივიდუალური თავისებურებები და არც ქრონოლოგია, ესაა ეკუმენური გრძნობა, რომლის წყალობითაც მსოფლიო ლიტერატურა უზარმაზარ ანონიმურ ქმნილებად წარმოგვიდგება, სადაც ყოველი ავტორი მხოლოდ ზედროითი და უპიროვნო სულის შემთხვევით განსახიერებად წარმოგვიდგება, რომელსაც, პლატონის ღმერთივით, შეუძლია ყველაზე ლამაზი სიმღერა შთააგონოს ყველაზე მდარე პოეტს და XVIII საუკუნის ინგლისელი პოეტის მეხსიერებაში აღადგინოს XIII საუკუნის მონღოლი იმპერატორის ხილვები, - პოზიტივისტებს ასეთი იდეა მხოლოდ ფანტაზია ან ბოდვა შეიძლება ეგონოთ. ჯობია, მათში მითი დავინახოთ, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, როგორც აზრის სიღრმისეული გაქანება. ბორხესი თავად მოინიშნავს ინტერპრეტაციის ორ შესაძლო დონეს: უმაღლესი, ანუ "პანთეისტური" ვერსიის თანახმად, ავტორთა, ნაწარმოებების, მოვლენებისა და საგნების ხილულ სიმრავლეში ერთი სული სახლობს და ატომთა ყველაზე შემთხვევით კომბინაციებში შეიძლება ერთი ღმერთის დაწერილობა გაიშიფროს; ამ ჰიპოთეზის თანახმად, წიგნების სამყარო და სამყაროს წიგნი - ერთი და იგივეა და თუკი "დონ კიხოტის" მეორე ნაწილის გმირს შეუძლია მისი პირველი ნაწილის მკითხველი იყოს, ხოლო ჰამლეტს კი ძალუძს "ჰამლეტის" მაყურებელი "შეიქნას", მაშინ აქედან იქნებ ის გამომდინარეობს, რომ ჩვენც, მისი მკითხველები ან მაყურებლები, ჩვენთვის გაუცნობიერებლად გამოგონილი პერსონაჟები ვართ და იმ მომენტში, როცა "ჰამლეტს" ან "დონ კიხოტს" ვკითხულობთ, ვილაც სხვა შესაძლოა ჩვენს შესახებაც კითხულობდეს, წერდეს ან შლიდეს ჩვენს კვალს ფურცელზე. მეორე დონეს წარმოადგენს XIX საუკუნის დასაწყისამდე გაბატონებული "კლასიკური" ცნება იმის შესახებ, რომ ავტორთა მრავლობითობა უბრალოდ არ იმსახურებს ყურადღებას: თუმცა ჰომეროსი ბრმა იყო, ამას არ დაუტოვებია კვალი მის შემოქმედებაზე. თავისუფლად შეგვიძლია პირველ ვერსიაში მეორის მეტაფორა ამოვიკითხოთ, ან მეორეში - პირველის მოკრძალებული ინტუიცია. მაგრამ ლიტერატურის ასეთ გადამეტებულ აღქმას, რომელსაც ზოგჯერ თავს გვახვევს ხოლმე ბორხესი, შესაძლოა დაწერილი ნაწარმოების გარკვეულ სიღრმისეულ ტენდენციასთანაც ჰქონდეს კავშირი - ესაა თავის სფეროში ყველა არსებული (და არარსებული) საგნის მოქცევის ტენდენცია, თითქოს ლიტერატურის მთავარი საყრდენი და გამართლება (საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში) მხოლოდ ეს ტოტალიტარული უტოპია იყოს. მალარმეს სიტყვებით, სამყარო იმისთვის არსებობს, რომ შემდეგ წიგნით დასრულდეს. ბორხესისეულ მითს თანამედროვე იდეა - ჯერ კიდევ არაფერი დაწერილა და კლასიკური - ყველაფერი უკვე დაიწერა - უფრო ამბიციურ ფორმულამდე დაჰყავს: ყველაფერი წერაა. ბაბილონის ბიბლიოთეკა - რომელიც ab aeterno არსებობდა და შეიცავდა "ყველაფერს, რისი გამოხატვაც კი შეიძლებოდა ნებისმიერ ენაზე" - რა თქმა უნდა, უნივერსუმს ერწყმის (იბარა თვლის, რომ იგი ამ უნივერსუმზე გაცილებით დიდიცაა) - ანუ მანამ, სანამ მკითხველი, ბიბლიოთეკარი, გადამწერი, კომპილატორი, "ავტორი" გახდება, ადამიანი დაწერილ ფურცელს წარმოადგენს. ბორხესის ლექცია ფანტასტიკურის შესახებ ირონიული და ამაღელვებელი კითხვით სრულდება: "რა სახის ლიტერატურას ვეკუთვნით ჩვენ - მე, ლექტორი და თქვენ, ჩემი მსმენელები: რეალისტურ რომანს თუ ფანტასტიკას?" აქ უნდა გავიხსენოთ უნამუნოს ჰიპოთეზა (იგი არსებითად ცოტა რამით თუ განსხვავდება ბორხესის ვერსიისგან), რომლის თანახმადაც, დონ კიხოტი უბრალოდ, ამავე სახელწოდების რომანის ავტორი იყო; "უეჭველია, რომ სერვანტესმა "დონ კიხოტში" უკეთ წარმოგვიდგინა თავი, ვიდრე ჩვენ მოველოდით ამას, მან აჯობა საკუთარ თავს. ეს გვაფიქრებინებს, რომ არაბი ისტორიკოსი სიდ აჰმედ ბენ-ინჰალი არაა წმინდა ლიტერატურული ქმნილება, არამედ მის მიღმა ღრმა ჭეშმარიტებაა დაფარული: ეს ამბავი სერვანტესს ვილაც სხვამ უკარნახა, სულმა, რომელიც მისი სულის სიღრმეში იყო დაფარული. უზარმაზარი მანძილია ჩვენი კაბალიეროს ამბავსა და სერვანტესის სხვა ნაწარმოებებს შორის და სწორედ ეს აშკარა და ბრწყინვალე სასწაული წარმოადგენს ჩვენთვის არგუმენტს, რომელიც გვაიძულებს ვიწამოთ და ვაღიაროთ, რომ ეს ამბავი რეალურია და იგი თავად დონ კიხოტმა - სიდ აჰმედ ბენ-ინჰალის სახელს ამოფარებულმა - უკარნახა სერვანტესს". ამ შემთხვევაში ის, ვინც ჩვენ ავტორი გვგონია, მხოლოდ მდივანი აღმოჩნდება ან საერთოდ, გამოგონილ პერსონაჟად იქცევა: "ჩვენ ხშირად რეალური და ისტორიული პირი გვგონია ხოლმე მწერალი - იმიტომ, რომ ცოცხლად წარმოგვიდგება იგი, პერსონაჟებს კი, მისი წარმოსახვის ნაყოფს, მისივე ფანტაზიის ნაყოფად მივიჩნევთ; სინამდვილეში კი ყველაფერი სწორედ რომ პირიქითაა - მხოლოდ პერსონაჟები ცხოვრობენ ჭეშმარიტი ცხოვრებით და იყენებენ მას, ვინც ჩვენ ცოცხლად წარმოგვიდგება, იყენებენ იმისთვის, რათა მკითხველის თვალში თავიანთი სახე მოიპოვონ". უნამუნოსა და ბორხესის მითები სწორედ აქ უახლოვდება ერთმანეთს თავიანთი მკაცრი, შესაძლოა უმკაცრესი, "მორალით": თუკი სერვანტესს სერიოზულად აღვიქვამთ, დონ კიხო-

ტის არსებობაც უნდა გვჯეროდეს; მაგრამ თუკი დონ კიხოტი არსებობს, მაშინ უკვე სერვანტესი და ჩვენ - მისი მკითხველები - ვიქცევით აჩრდილებად, ანუ გვრჩება არსებობის ერთადერთი ხერხი - გავუჩინარდეთ და თავად ვიქცეთ ლიტერატურად, როგორც "მორელის გამოგონების" გმირი, რომელიც ორ ხატს შორის გაუჩინარებული, თავად იქცევა ხატად, სახედ და მიდის ცხოვრებიდან, რათა გამონაგონში დაიდოს ბინა. ლიტერატურა, ეს გაუმაძღარი მონსტრი, სანაცვლოდ ყველაფერს მოითხოვს: "შესაძლოა, მსოფლიო ისტორია - ესაა რამდენიმე მეტაფორის ისტორია".

ტლიონის აბსოლუტურად მონისტურ სამყაროში საკუთარი აუცილებლობის შესანარჩუნებლად, კრიტიკა იძულებულია უცნაურ ხერხებს მიმართოს. იმდენად, რამდენადაც ავტორები არ არსებობენ, კრიტიკას უწევს მათი გამოგონება: "ირჩევენ ორ განსხვავებულ ნაწარმოებს - მაგალითად, "დაო დე ძინს" და "1001 ღამეს" - მიაწერენ მათ ავტორობას ერთ ადამიანს და შემდეგ კი კეთილსინდისიერად განსაზღვრავენ ამ ძალზე საინტერესო "homme de lettres" ფსიქოლოგიას. ჩვენამდე აქ პიერ მენარის მიერ აღმოჩენილი, კითხვის გაწაფული ტექნიკის გამოძახილი აღწევს - "განზრახული ანაქრონიზმისა და ცრუ ატრიბუციების ხერხი. ამ ხერხს უსასრულოდ იყენებენ - იგი გვაცდუნებს, რათა "ოდისეა" უფრო გვიან დაწერილ ნაწარმოებად აღვიქვათ, ვიდრე "ენეიდა"... ეს ხერხი თავგადასავლებით აღავსებს ყველაზე მშვიდობიან წიგნებსაც. ლუი ფერდინანდ სელინს, ან ჯეიმს ჯოისს რომ "ქრისტეს ბაძვის შესახებ" მივაწეროთ - ნუთუ უფრო არ გაახალისებდა ეს იდეა ამ დახვეწილ სულიერ რჩევებს?" ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ განა სარისკო არაა (და არც ისე დახვეწილი) ჩვენი მოქმედება, როცა თითქმის ყოველდღე, "ანდრომაქეს" ჟან რასინს მივაწერთ და "სვანის მიმართულებით" კი პრუსტის ნაწარმოებად მივიჩნევთ ხოლმე? ანდა, როცა ლაფონტენის "იგავებს" ფედრუსზე და ეზოპეზე უფრო გვიანდელ ნიმუშებად განვიხილავთ? აუცილებელია კი, სირანო უელსისა და ჟიულ ვერნის წინამორბედად წარმოვიდგინოთ; არადა, შეუძლებლად მიგვაჩნია, პირიქით, ჟიულ ვერნი და უელსი აღვიქვათ სირანოს წინაპრებად. არსებითად, ტლონისტური კრიტიკა სრულებითაც არაა ჩვენი პოზიტივისტური კრიტიკის **საპირისპირო**, არამედ იგი მხოლოდ ჰიპერბოლაა მისი.



ai, უკვე საუკუნეზე მეტია, ლიტერატურის ჩვეული გაგება - და მასთან ურთიერთობაც - ერთი ცრურწმენითაა დასნეულებული, რომლის სულ უფრო ზუსტი და თამამი გამოყენება მუდმივად ამდიდრებს, მაგრამ იმავდროულად რყვნის, საბოლოო ჯამში კი - აღარიბებს ლიტერატურულ კომუნიკაციას; ესაა პოსტულატი, რომლის თანახმადაც, ნაწაროები ძირითადად განპირობებულია ავტორის მიერ, ე.ი. მას **გამოხატავს**. ამ სახიფათო სიცხადემ არამხოლოდ შეცვალა ლიტერატურული კრიტიკის მეთოდები და ობიექტებიც კი, არამედ მან გავლენა იქონია ყველაზე დელიკატურ და მნიშვნელოვან ოპერაციაზე, რომელიც კი ხელს უწყობს წიგნის დაბადებას - კითხვას. მონტენის დროს კითხვა თანასწორუფლებიანი თუ არა, ძმური დიალოგი მაინც იყო; დღეს კითხვა - განსწავლული შეჭრაა უცხო პირად ცხოვრებაში, რომელიც ფარულ კამერას გვაგონებს. არადა, რამდენი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია იკარგება, რაღაც ამოხსნილი (გაკვეთის შედეგად) პატარა საიდუმლოს გულისთვის! როცა ბორხესი გვთავაზობს ვალერის მაგალითით აღვფრთოვანდეთ, ადამიანისა, ვინც დაძლია ცალკეული პიროვნების ჩარჩოები და ვინც უილიამ ჰეზლიტის მიერ შექსპირის შესახებ გამოთქმული სიტყვებით შეგვიძლია დავახასიათოთ: "He is nothing in himself", იგი აშკარად გვაიძულებს ხოტბა შევასხათ ნაწარმოებს, რომელიც **არანაირი კონკრეტული პიროვნების მიერ არ იქნება შექმნილი**; ზუსტად ასევე, ბორხესი იხსენებს ვალერისგან ძალზე განსხვავებული მწერლის, უიტმენის ფიგურას, რომელმაც თავის შემოქმედებაში - მისი წყალობით - ხელთ არსებული მასალისგან მეორე პიროვნება შექმნა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო პირველთან და გაოგნებაში მოჰყავდა ბიოგრაფები; იგივე შეიძლება ითქვას კევედოს შესახებაც - ესაა ლიტერატურის სრულყოფილი ხატი, რომელშიც ლიტერატურამ იმდენად მიჩქმალა ადამიანი, ყოველ შემთხვევაში, ინდივიდი მაინც, რომ მისი შემოქმედება ჩვენს წინაშე წარსდგება არა როგორც პიროვნების ქმნილება, არამედ როგორც რაღაც იდუმალი ბიბლიოგრაფიული თავგადასავლების შემთხვევითი შედეგი. კევედო "ლიტერატურის საუკეთესო ოსტატია, არა იმდენად ადამიანი, რამდენადაც ლიტერატურის ვრცელი და რთული სივრცე". რადგანაც ბორხესისთვის, ისევე როგორც ვალერისთვის, ავტორი არანაირი უპირატესობით არ სარგებლობს ნაწარმოებთან შედარებით, იგი დაბადებიდანვე (შესაძლოა დაბადებამდეც) მხოლოდ სხვა ნაწარმოებებთან კავშირში არსებობს, პროცესში, რომელიც კითხვის უსაზღვრო სივრცეში ხორციელდება. არც ერთი ნაწარმოები ორიგინალური არაა, იმიტომ, რომ "ადამიანის წარმოსახვას მხოლოდ გარკვეული რაოდენობის სიუჟეტებისა და მეტაფორების შექმნა ძალუძს", მათი რიცხვი შეზღუდულია, სამაგიეროდ, ნებისმიერი ნაწარმოები უნივერსალურია, რადგან "ეს რამდენიმე გამოგონება, შესაძლოა ჩვენ ყველას გვეკუთვნოდეს, როგორც მოციქულებს". ნაწარმოებს, რომელიც დიდხანს ცოცხლობს, "ყოველთვის ახასიათებს უსაზღვრო და პლასტიკური მრავალმნიშვნელოვნება... იგი სარკეა, რომელიც მკითხველის ნაკვთებს გვიჩვენებს" და მკითხველთა ამგვარი მონაწილეობით იქმნება ლიტერატურული ობიექტის მთელი ცხოვრება. "ლიტერატურა თუნდაც იმ მიზეზის გამოა ამოუწურავი, რომ ამოუწურავია ერთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერთი წიგნი. წიგნი ხომ არაა ჩაკეტილი არსი, არამედ ურთიერთობა, უფრო ზუსტად კი, უსასრულო ურთიერთობათა ღერძი". ყოველი წიგნი წაკითხვისას ახლიდან იბადება და ლიტერატურის ისტორიაც ასევე კითხვის ხერხებისა თუ მიზეზთა ისტორიაა. "ესა თუ ის ლიტერატურა წინამორბედისგან ტექსტების შემადგენლობით კი არ განსხვავდება, არამედ მათი წაკითხვის ხერხებით: რომ შემეძლოს, ეს სტრიქონები ისევე აღვიქვა, როგორც ამას ორი ათას წელს აღიქვამენ ადამიანები, მივხვდებოდი, როგორი ლიტერატურა იქნებოდა მომავალში".

ამიტომაც ის, რასაც ჩვენ გამეორებებად აღვიქვამთ ლიტერატურაში, არამხოლოდ მემკვიდრეობითობას გულისხმობს, არამედ მშვიდ, განუწყვეტელ მეტამორფოზასაც. რატომ ჰგავს კაფკას ყველა წინამორბედი კაფკას, მაგრამ ერთმანეთთან კი მათ არაფერი აქვთ საერთო? იმიტომ, რომ მათი თანხვედრის ერთადერთი წერტილი მომავლის იმ ნაწარმოებშია, რომელიც რეტროსპექტულად მოაწესრიგებს და საზრისს მიანიჭებს მათ შეხვედრას: "ბრაუნინგის ლექსი "Fears and Scruples" წინასწარ განჭვრეტს კაფკას შემოქმედებას, მაგრამ კაფკას წაკითხვის შემდეგ, ჩვენ უფრო ღრმად ჩავწვდით ბრაუნინგის ლექსებსაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ყოველი მწერალი თავად ქმნის წინამორბედებს. მისი შემოქმედება ძირეულად ცვლის არამხოლოდ მომავლის შესახებ ჩვენს წარმოდგენებს, არამედ წარსულის". ეს უკუღმართი სვლა ამართლებს და საფუძვლიანს ხდის ბორხესისთვის ძვირფას ყველა "ანაქრონიზმს", რადგანაც, თუკი ბრაუნინგისა და კირკეგორის შეხვედრა მხოლოდ მომავალში, კაფკას შემოქმედებითაა შესაძლებელი, მაშინ უკუღმა უნდა გავიაროთ ისტორიკოსების დრო და გეოგრაფების სივრცე: მიზეზი შედეგს მოსდევს, "წყარო" კი ქვემოწელში აღმოჩნდება, რადგანაც ამ შემთხვევაში წყარო - შერწყმაა. კითხვის საპირისპირო დროის მიხედვით სერვანტესი და კაფკა თანამედროვეები არიან და კაფკამ არანაკლები გავლენა იქონია სერვანტესზე, ვიდრე სერვანტესმა კაფკაზე.

აი, ასეთი საოცარი უტოპიაა ლიტერატურა ბორხესის მიხედვით. ამ მითში უფრო მეტ ჭეშმარიტებას ვიპოვით, ვიდრე ჩვენი ლიტერატურული "მეცნიერების" ყველა ჭეშმარიტებაში. ლიტერატურა პლასტიკური ველია, **გამრუდებული** სივრცე, სადაც ნებისმიერ მომენტში ყველაზე მოულოდნელი ურთიერთობები და ყველაზე პარადოქსული შეხვედრებია შესაძლებელი (1). ჩვენი აზრით, მისი არსებობისა და გამოყენების ყველაზე უნივერსალური ნორმები - ქრონოლოგიური თანამედროვეობა, ნათესაური კავშირი ავტორსა და ნაწარმოებს შორის, - საზრისის წვდომის მხოლოდ პირობითი ხერხებია. ნაწარმოების გენეზისი ისტორიულ დროსა და ავტორის ცხოვრებაში ყველაზე შემთხვევითი და უმნიშვნელო მომენტია. ყველა დიადი წიგნის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რასაც ბორხესი უელსის რომანების შესახებ ამბობდა: "... ისინი, თეზევსის ან აჰასფერის სახეებივით, კაცობრიობის საერთო ხსოვნაში უნდა ჩაიბეჭდოს და იმედი მაქვს, გამრავლდებიან, გაცილებით მეტ სახელს მოიხვეჭენ, ვიდრე მათი ავტორი, ან ენა, რომელზეც ეს რომანები დაიწერა". ნაწარმოებების დრო არაა წერის გარკვეული დრო, არამედ იგი კითხვისა და მეხსიერების განუსაზღვრელი დროა. წიგნების საზრისი მომავალშია და არა წარსულში - იგი თავად წიგნებშია; წიგნი არაა მზა საზრისი, გამოცხადება, რომელიც უნდა განვიცადოთ, ესაა ფორმათა მარაგი, რომელიც საზრისს მოელის, ესაა "გარდუვალობა, გამოცხადების მოახლოება, რომელიც არ რეალიზდება თავისთავად", არამედ ყოველივე თავად უნდა რეალიზდეს თავისი თავისთვის. ასე იმეორებს, ან თავისებურად ახლიდან აღმოაჩენს ბორხესი ჭეშმარიტებას, რომ პოეზიას ყველა ქმნის და არა ერთი ადამიანი. პიერ მენარი - "დონ კიხოტის" ავტორია იმ ერთადერთი, სრულიად საკმარისი მიზეზის გამო, რომ ასეთივეა ნებისმიერი მკითხველი (ნებისმიერი ჭეშმარიტი მკითხველი). ყველა ავტორი ერთადერთი ავტორია, იმიტომ, რომ ყველა წიგნი ერთადერთი წიგნია, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ერთი წიგნი წარმოგვიდგენს ყველა წიგნს. ბაბილონის ბიბლიოთეკა სრულყოფილია ab aeterno; მაგრამ ადამიანი, როგორც ბორხესი ამბობს - არასრულყოფილი ბიბლიოთეკარია; ზოგჯერ, როცა საჭირო წიგნს ვერ პოულობს, იგი თავად წერს იმავე, ან თითქმის იმავე წიგნს. ლიტერატურა სწორედ ეს მოუხელთებელი და უსასრულო საქმიანობაა.

---

*1) "ზედროითი მყოფობა, რომელიც ზოგადად ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, ნიშნავს, რომ წარსულის ლიტერატურას ყოველთვის შეუძლია აწმყოს ლიტერატურასთან ინტერფერირება - ჰომეროსს ვერგილიუსთან, ვერგილიუსს დანტესთან, პლუტარქესა და სენეკას შექსპირთან, შექსპირს გოეთეს "გეც ფონ ბერლიჰინგენთან", ევრიპიდეს რასინისა და გოეთეს "იფიგენიასთან". ჩვენი დროის მაგალითს რომ მივმართოთ, "ათას ერთი ღამე" და კალდერონი ჰოფმანსტალს დაუკავშირდება, "ოდისეა" - ჯოისს, ესქილეს, პეტრონიუსს, დანტეს, ტრისტან კორბიერს, ესპანური მისტიკა - ტ.ს.ელიოტს. ამაში მდგომარეობს შესაძლო მიმართებათა ამოუწურავი სიმდიდრე" (Curtius, La litterature europeenne et le moyen-age latin, p.17).*

თარგმნა **მალხაზ ხარბედია**

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ლუის ბორხესი

# პირადი ბიბლიოთეკა



## რამდენიმე სიტყვა ავტორისგან

წლიდან წლამდე ჩვენი მეხსიერება მრავალფეროვან ბიბლიოთეკას ქმნის იმ წიგნებისგან, რომელთა კითხვაც განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებდა ხოლმე. ამგვარ წიგნთსაცავში ტექსტები ხშირად ნაკლებად ცნობილ ავტორებს ეკუთვნითი და ეს გასაგებიცაა; ლიტერატურის პროფესორებს ხომ (სახელსა და დიდებას სწორედ ისინი მოუხვეჭენ ხოლმე ავტორს) სილამაზე ნაკლებად ადარდებთ და უფრო მოდის უკუღმართობებს არიან აყოლილნი. ლიტერატურული თარიღებით თავბრუდასხმულნი ვრცლად აანალიზებენ ნაწარმოებებს და ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ წიგნები სწორედ ამგვარი ანალიზისთვის იწერება და არა მკითხველთა სიამოვნებისთვის.

სერია, რომლისთვისაც ახლა ვწერ და რომლის კონტურებიც ნელნელა იკვეთება - ამგვარი სიამოვნების წყაროდ უნდა იქცეს. წიგნების შერჩევისას თავი არ შემიზღუდია ლიტერატურული ჩვევებით, გარკვეული ტრადიციით, სკოლით, ქვეყნითა თუ ეპოქით. "ზოგი დაწერილი წიგნებით ამაყობს, მე კი ნებისმიერი წაკითხული წიგნით შემიძლია ვიამაყო", - ვთქვი მე ერთხელ. არ ვიცი, კარგი მწერალი ვარ თუ ცუდი, მაგრამ სამაგიეროდ ვიცი, რომ, ყურადღებიანი და მადლიერი მკითხველი ვარ.

მინდოდა, ეს ბიბლიოთეკა ჩემი დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობასავით მრავალფეროვანი ყოფილიყო, რადგანაც სწორედ იგი მიბიძგებდა და ახლაც მიბიძგებს, ჩავუღრმავდე სხვადასხვა ენებსა და ლიტერატურებს. მე ვიცი, რომ რომანი არანაკლებ ხელოვნური ჟანრია, ვიდრე ალეგორია ან ოპერა, მაგრამ ამ ჩამონათვალში რომანებიც მოხვდნენ, როგორც ნაწილი ჩემი ცხოვრებისა. გავიმეორებ: ერთმანეთისგან განსხვავებული წიგნების ეს სერია - სიმპათიათა ბიბლიოთეკაა.

მე და მარია კოდამამ მთელი ქვეყანა მოვიარეთ. ვიყავით ტეხასსა და იაპონიაში, ჟენევასა და თებეში. ახლა კი, იმ ტექსტების შესაკრებად, რომლითაც ვცხოვრობდით, ჩვენ - როგორც ნეტარი ავგუსტინე წერდა - მეხსიერების დარბაზები და გალერეები უნდა მოვიხილოთ.

წიგნი - საგანია სხვა საგნებს შორის, იგი აუარება ტომებში ჩაკარგული ერთი ტომია, რომელიც მანამ, სანამ იპოვიდეს თავის მკითხველს, მას, ვისთვისაცაა განკუთვნილი ეს სიმბოლოები, იძულებულია ამ წიგნებით გადაჭედილ გულგრილ სამყაროში მოიცადოს. მათი შეხვედრით განუმეორებელი გრძნობა ჩნდება, რომელსაც მშვენიერებას, იდუმალ საოცრებას უწოდებენ და მისი გაშიფვრა არც ფსიქოლოგიას ძალუძს და არც რიტორიკას. "ვარდი უმიზეზოდ ჰყვავის", - თქვა ანგელუს სილეზიუსმა, ხოლო უისტლერმა კი რამდენიმე საუკუნის შემდეგ განაცხადა: "ხელოვნება ცოცხლობს და მორჩა".

დაე ეს წიგნიც მოესწროს თავის მკითხველს.

ხ.ლ.ბ.

## "აპოკრიფული სახარებები"

ამ წიგნის კითხვისას - თითქოს რაღაც სასწაულის წყალობით - ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს ვუბრუნდებით, იმ დროს, როცა რელიგია ვნების განსახიერებას წარმოადგენდა. ეკლესიის დოგმატები და ღვთისმეტყველთა მოსაზრებანი მოგვიანებით გაჩნდა; თავდაპირველად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უწყება, რომ ძე ღვთისა ოცდაცამეტი წლის მანძილზე იყო ადამიანი, რომელიც გაამათრახეს და ჯვარს აცვეს, შემდეგ კი მისმა სიკვდილმა ადამის მთელი მოდგმის ცოდვები გამოისყიდა. ამ უწყების მატარებელ წიგნებს შორის "აპოკრიფული სახარებებიც" იყო. დღეს, სიტყვა "აპოკრიფული" "ყალბს", "ცრუს" ნიშნავს, მაგრამ მისი პირველადი მნიშვნელობა "საიდუმლო" იყო. აპოკრიფული ტექსტები მხოლოდ განდობილთათვის არსებობდა, მათი კითხვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო.

ჩვენი ურწმუნობის მიუხედავად - ქრისტე ყველაზე ცოცხალი ხატია კაცობრიობის მეხსიერებაში. თავის მოძღვრებას, რომელმაც დღეს მთელი პლანეტა მოიცვა, იგი შორეულ პროვინციაში ქადაგებდა. მისი თორმეტი მოციქული გაუნათლებელი და ღარიბი ადამიანები იყვნენ. ქვიშაზე დაწერილი და იმწამსვე წაშლილი რამდენიმე სიტყვის გარდა, ქრისტეს სხვა არაფერი დაუწერია (პითაგორაცა და ბუდაც თავის მოძღვრებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ). იგი არაფერს ასაბუთებდა, მისი აზროვნების ბუნებრივი ფორმა მეტაფორა იყო. იგი კიცხავდა დაკრძალვათა ელვარე, თვალისმომჭრელ ამაოებას და ამბობდა, რომ მკვდრებს ისევ მკვდრები დამარხავდნენ. ფარისეველთა თვალთმაქცობის გაკიცხვისას კი მათ შეღებილ კუბოებს ადარებდა. იგი ახალგაზრდა მიიცვალა ჯვარზე, რომელიც მაშინ სახრჩობელა იყო, ახლა კი სიმბოლოდ იქცა. ტაციტუსმა ვერ განსაზღვრა მისი უსასრულო მომავალი და მხოლოდ ერთხელ ახსენა იგი, ხრესტუსის სახელით. აქამდე არავის მოუხდენია ამგვარი გავლენა ისტორიის მსვლელობაზე და ვერც ვერავინ შეძლებს ამას მომავალში.

ეს წიგნი არ ეწინააღმდეგება



კანონიკურ სახარებებს. ის იგივე ბიოგრაფიას ჰყვება, ოღონდ უჩვეულო ვარიაციებით; მოგვითხრობს მოულოდნელი სასწაულების შესახებ. მაგალითად, ეს წიგნი გვიამბობს, რომ ხუთი წლის იესომ თიხისგან ჩიტები გამოძერწა და ისინიც, დანარჩენი ბავშვების გასაკვირად, გალობითა და ჭიკჭიკით გაფრინდნენ. მას სასტიკი სასწაულებიც მიეწერება, რომელიც კი ხელეწიფება ყოვლისშემძლე ყრმას, ჯერ ჭკუა რომ არ მოეკითხება. ძველ აღთქმაში ჯოჯოხეთი (შეოლ) - საფლავია, "ღვთაებრივი კომედიის" ტერცინებში კი მათემატიკურად გათვლილი ტოპოგრაფიის მქონე მიწისქვეშა ხაროების განტოტილი სისტემა; მაგრამ ამ წიგნში ეს სახელი ჰქვია გმირს, რომელიც თავად სატანას ეკამათება და ღმერთს ადიდებს.

ახალი აღთქმის კანონიკურ წიგნებთან ერთად საუკუნეების მანძილზე დავიწყებული და დღეს აღორძინებული ეს აპოკრიფები ქრისტიანული რწმენის უძველეს საჭურველს წარმოადგენენ.

## დინო ბუცატი
## "თათრის უდაბნო"



შეიძლება იცნობდე უძველეს და კლასიკურ ავტორებს, გასული საუკუნისა თუ XX საუკუნის დასაწყისის მწერლებს, მაგრამ გაცილებით რთულ სიტუაციაში ვვარდებით, როცა საქმე თანამედროვე მწერლებზე მიდგება. ისინი მრავლად არიან და დროს ჯერ კიდევ არ შეუქმნია თავისი ანთოლოგია, მაგრამ უკვე დღესაც არიან შემოქმედნი, ვის სახელებსაც მომავალი თაობები არ ამოშლიან მეხსიერებიდან. ერთ-ერთი მათგანი დინო ბუცატია.

ბუცატი 1906 წელს დაიბადა ძველებურ ქალაქში, ბელუნოში, თითქმის ავსტრიის საზღვარზე, ვენეტოდან



ბორხესი მარია კოდამასთან ერთად

ცოტა მოშორებით. ჯერ იგი რეპორტიორად მუშაობდა, შემდეგ კი ფანტასტიკურ ლიტერატურას მიუძღვნა თავი. მისი პირველი წიგნი "მთიელი ბარნაბო" 1933 წელს გამოვიდა, უკანასკნელი კი - "ვალ-მორელის სასწაულები" - მისი გარდაცვალების წელს, 1972-ში გამოიცა. ბუცატის მრავალრიცხოვანი, ხშირად ალეგორიული ნაწარმოებები სევდითა და მაგიითაა აღსავსე. ედგარ პოსა და გოთიკური რომანის გავლენას იგი თავად აღნიშნავდა. სხვები კაფკასაც იხსენებდნენ ხოლმე.

"თათრის უდაბნო", ალბათ ამ ავტორის მთავარი წიგნია (იგი საფუძვლად დაედო ვალერიო ძურლინის წარმატებულ ფილმს) და უსასრულო გადავადების მეთოდითაა აწყობილი, ელეელი ფილოსოფოსისა და კაფკას ყაიდაზე. კაფკას გამონაგონში ყოფითი, ნაცრისფერი ატმოსფერო სუფევს, იგი ბიუროკრატიითა და მოწყენილობითაა გაჯერებული. ბუცატისთან კი ყველაფერი პირიქითაა. ბევრი რამ აქაც წინასწარ იგრძნობა, მაგრამ ეს წინათგრძნობა გიგანტურ ბრძოლას განჭვრეტს, საშინელსა და სანატრელს. ამ ნაწარმოებში დინო ბუცატი თავის საწყისებთან აბრუნებს რომანს - ეპოსის წიაღში. უდაბნო აქ რეალობაცაა და სიმბოლოც. იგი უსასრულოა და გმირებიც ამ უდაბნოს ქვიშასავით აურაცხელ ურდოებს ელიან.

## არტურ მეჩენი
## "სამი თაღლითი"

იმ ეპოქის დასაწყისში, რომელსაც ერთმა ჰოლანდიელმა ისტორიკოსმა ძალზე ბუნდოვანი სახელი, ახალი დროება შეარქვა, მთელი ევროპა შემოიარა წიგნის, "De tribus impostoribus"-ის სათაურმა, რომლის გმირებიც მოსე, იესო და მუჰამედი იყვნენ. თითქმის ყველა ქვეყნის ხელისუფლება ამ წიგნის განადგურებაზე ოცნებობდა, მაგრამ მათ მაინც ვერ აისრულეს თავიანთი გულის წადილი, რადგანაც, ეს წიგნი ბუნებაში არც არსებობდა. ამ წიგნმა-ქიმერამ, ბევრ ადამიანზე მოახდინა გავლენა, თუმცა მისი ერთადერთი ღირსება სათაური იყო და ის, რასაც ეს სათაური გულისხმობდა და არა ის, რაც ამ წიგნის ფურცლებზე იყო მოთხრობილი.

მოცემულ წიგნსაც "სამი თაღლითი" ჰქვია. სტივენსონივით, არტურ მეჩენმა ეს წიგნი განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე დაწერა, თავისი სახელგანთქმული მასწავლებლის მიბაძვით. მოქმედება სტივენსონის მიერ "New Arabian Nights"-ში აღმოჩენილი სასწაული და საზარელი შესაძლებლობების მქონე ლონდონში ვითარდება, ქალაქში, რომელიც მოგვიანებით ჩესტერტონმა შეისწავლა მამა ბრაუნის ქრონიკებში. იმის ცოდნა, რომ სამივე გმირის მონათხრობი გამონაგონია, სულაც არ აქარწყლებს შიშსა და ძრწოლას, რომლითაც გაჟღენთილია წიგნი. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი ლიტერატურა ხომ გამონაგონია; საჭიროა გრძნობდე, რომ ეს სიზმარი ცხადივით იხილე. სხვა ნაწარმოებებში - "The House of Souls", "The Shining Pyramid", "Things Near and Far"- ხშირად ამჩნევ, რომ ავტორს ყოველთვის როდი სჯერა თავისი მონათხრობისა; რასაც ვერ ვიტყვით ამ წიგნზე. თითქმის ყოველ ფურცელზე, როგორც ზოგიერთ სხვა ტექსტში, ან "დონ კიხოტში", სიზმარი სიზმარში აღწევს და ჩვენც ამ სარკეთა თამაშში ვერთვებით. ზოგჯერ სრულ ქაოსში ხვდები; ცნობიერების რღვევას კი სხეულის, მატერიის რღვევა მოსდევს ხოლმე. მეჩენი მონსელი ანგელოზების შესახებ იგონებს ლეგენდას, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის უმძიმეს პერიოდში ბრიტანელთა არმია იხსნა. დღეს ეს ლეგენდა უკვე ფოლკლორის ნაწილია და მას ხშირად ჰყვებიან ისე, რომ არავინ

იცის მისი ავტორის ვინაობა. იგი თავის მიწიერ სახელზე უფრო დღეგრძელი აღმოჩნდა და ვფიქრობ, ეს იდეა მას სიამოვნებასაც მოჰგვრიდა.

მან ფრანგულიდან თარგმნა ვენეციელი კაზანოვას არც ისე სანდო, მაგრამ არც ისე ქარაფშუტული "მემუარების" თორმეტი ტომი.

არტურ მეჩენი (1963-1947) უელსის მთებში დაიბადა "Matiere de Bretagne"-ს სამშობლოში და მისი სიზმრებიც მთელმა ქვეყანამ გაიცნო.

მსოფლიოს ლიტერატურებში არაერთი მოკლე, თითქმის იდუმალი შედევრია დაფარული. "სამი თაღლითი" ერთ-ერთი მათგანია.

## კლავდიუს ელიანე "ცხოველთა ისტორია"

სათაურის მიუხედავად, კლავდიუს ელიანე ყველაზე ნაკლებად ჰგავს ზოოლოგს, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მას საერთოდ არ აინტერესებს გვარი, სახეობები, ცხოველთა ანატომია და მათი ზუსტი აღწერა. ეპილოგში მას ცოდნის სიყვარულით მიაქვს თავი, მაგრამ II საუკუნეში ეს უკანასკნელი გულისხმობდა ყველაფერ არსებულს და ამავე დროს ყველაფერ წარმოსახვითსაც, რომელიც კი შეიძლებოდა ამ არსებულის გამო გეფიქრა. ელიანეს მრავალფეროვანი ტრაქტატი სავსეა წიაღსვლებით. მისი მოუწესრიგებლობა წინასწარაა გათვლილი. მონოტონურობისა და ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად, ავტორი სხვადასხვა თემისგან ქსოვს ტექსტს და მკითხველს ამ მრავალფერად "აყვავებულ ველზე" გასეირნებას სთავაზობს. მას ცოცხალი სამყაროს ზნე-ჩვეულებანი იზიდავს და ის მორალური ღირსებები, რომლის ნიმუშსაც ისინი წარმოადგენენ.

კლავდიუს ელიანემ თავის წიგნში რომანის საუკეთესო ნაირსახეობა, ელინისტური რომანი "განახორციელა". იგი არასდროს გასცილებია იტალიის საზღვრებს, მაგრამ ლათინურადაც მას ერთი სიტყვა არ დაუწერია. მისთვის ავტორიტეტები მხოლოდ ბერძნები არიან: მკითხველი აქ პლინიუსის სახელსაც ვერ იპოვის, ვისი ხსენებაც, მისი ინტერესების სფეროდან გამომდინარე, აქ აუცილებელი უნდა ყოფილიყო. დღეს, ამდენი საუკუნის შემდეგ, ეს ტრაქტატი აღარაფერზე აგებს პასუხს, მაგრამ ბევრი რამ შეუძლია გვაჩუქოს. კლავდიუს ელიანემ სოფისტის ოფიციალური წოდება დაიმსახურა, ანუ ტიტული ორატორისა, ვისაც რიტორიკის სწავლების და მისით სარგებლობის უფლება ჰქონდა. ჩვენთვის უცნობია მოვლენები, რომლითაც მისი ბიოგრაფია დაიწნა; ჩვენამდე მხოლოდ სიზმართმესიტყვე ავტორის თანაბარი ხმალა აღწევს.

## მარკო პოლო "სამყაროს აღწერა"

ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური მოვლენა აღმოსავლეთის აღმოჩენა იყო (ეს საოცარი სიტყვა ერთდროულად აღნიშნავს განთიადსაც და სამყაროს მრავალ სახელგანთქმულ ტომსაც). "ჰეროდიტე, ალექსანდრე მაკედონელი, ბიბლია, ვასკო და გამა, ათას ერთი ღამე", კლაივი და კიპლინგი - აი ამ თავგადასავლების რამდენიმე ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. კიდევ ერთი ეტაპია (მეისფილდის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი) წიგნი, რომელზეც ახლა გესაუბრებით.

ჩვენთვის, ყველასთვის საბედნიეროდ, 1296 წელს გენუელებმა ვენეციელთა გალერა ჩაიგდეს ხელთ. მათი მეთაური ყველა სხვა ადამიანისგან განსხვავდებოდა, რადგანაც, მრავალი წელი ჰქონდა გატარებული აღმოსავლეთში. ამ ადამიანმა - სახელად მარკო პოლომ - თავის მეგობარს, ასევე ტუსაღს, პიზელ რუსტიჩანოს ლათინურ ენაზე უკარნახა საკუთარ მოგზაურობათა გრძელი ქრონიკა და იმ სამეფოთა აღწერა, რომლის ნახვაც მას ბედმა არგუნა. საპყრობილე ყოველთვის მფარველობდა ლიტერატურას: გავიხსენოთ ვერლენი და სერვანტესი. ავტორი ტექსტს ლათინურად კარნახობდა და არა ადგილობრივ დიალექტზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ წიგნი ფართო მკითხველზე იყო გათვლილი. მარკო პოლო ვაჭარი იყო, მაგრამ შუასაუკუნეებში ვაჭრები ხშირად სინდბადებადაც გადაიქცეოდნენ ხოლმე. აბრეშუმის ურთულესი გზით - რომელსაც უძველესი მექარავნეები მიუყვებოდნენ, რათა მოხატული აბრეშუმის ნაჭერი ვერგილიუსს ჩავარდნოდა ხელთ და მისთვის, ცნობილი სტრიქონები შთაეგონებინა - მარკო პოლომ მრავალი მთა თუ უდაბნო გადაიარა და ჩინეთს მიადგა, სადაც ჩვენი გმირი იქაურმა იმპერატორმა დიდი პატივით მიიღო და სუნის ოლქის მმართველადაც დანიშნა. იგი კარგად წერდა და მრავალ ენასაც ფლობდა.

მარკო პოლომ იცოდა: წარმოსახვითი ისეთივე რეალურია, როგორც ის, რასაც სინამდვილეს უწოდებენ. მისი წიგნი სავსეა სასწაულებით, მხოლოდ რამდენიმეს გაგახსენებთ: ალექსანდრეს მიერ თათრებისგან დასაცავად აგებული გალავანი, მოხუცი ჰასან იბნ საბაჰის ხელოვნური სამოთხე, სადაც იწყება და მთავრდება ბნელეთის საუფლო, განძით სავსე კოშკი, სადაც შიმშილით კვდება მეფე, უდაბნოს დემონები, მეგობრის სახით რომ გევლინებიან და მისი ხმით გესაუბრებიან, რათა თავგზა აუბნიონ ყარიბებს, ადამის აკლდამა მთის მწვერვალზე, შავი ვეფხვები...

ამ წიგნს ორი გმირი ჰყავს. ერთი მონღოლთა იმპერატორი ხან ხუბილაია, იგივე კუბლა-ხანი კოლრიჯის სამმაგი სიზმრიდან. მეორე კი, რომელიც არ ჩანს, მაგრამ დაფარულიც არაა - კეთილგონიერი და ცნობისმოყვარე ვენეციელია, ვინც კალმით ეზიარა უკვდავებას.

## ხუან რულფო "პედრო პარამო"

ემილი დიკინსონი თვლიდა, რომ პუბლიკაცია არ განსაზღვრავდა მწერლის ხვედრს. ალბათ, იგივე აზრის იყო ხუან რულფოც. კითხვაში, მარტოობასა და ხელნაწერებში დანთქმულმა, პირველი წიგნი - "ცეცხლით მოცული დაბლობი" (1953) - თითქმის ორმოცი წლისამ გამოსცა. კიდევ კარგი ეფრენ ერნანდესმა ძალით წაართვა ხელნაწერი და სტამბას გადასცა. ცხრამეტი მოთხრობისგან შემდგარი ეს ციკლი თითქოს წინ უძღვის წინამდებარე რომანს, რომლის წყალობითაც მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მრავალ ენაზე გაიცნო მისი შემოქმედება. საკმარისია მამის, პედრო პარამოს საძებნელად წასული მთხრობელი უცნობს გადაეყაროს - რომელიც თავს მის ძმად ასაღებს და ეუბნება, ჩვენთან, სოფელში ყველას პარამო ჰქვიაო - რომ მკითხველი ხვდება: იგი ფანტასტიკურ ტექსტშია მოქცეული და მისი წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია; ასევე შეუძლებელია გაუძლო მიზიდულობის ძალასაც. კრიტიკოსებმა რომანი სხვადასხვანაირად წაიკითხეს. ალბათ ყველაზე ნათლად და ზუსტად ემირ როდრიგეს მონეგალმა გამოთქვა თავისი აზრი. ისტორიას, გეოგრაფიას, პოლიტიკას, ფოლკნერის, ასევე რამდენიმე რუსი და სკანდინაველი მწერლის თხრობის ტექნიკას, სოციოლოგიასა და სიმბოლოლოგიას ამ წიგნის მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ ვერავინ მოახერხა ჯონ ქითცის უიშვიათეს მეტაფორას თუკი გამოვიყენებთ, ცისარტყელის გაბნევა.

"პედრო პარამო" - ერთ-ერთი საუკეთესო რომანია ესპანურენოვან ლიტერატურებსა და ზოგადად მსოფლიო ლიტერატურაში.

არილი



პერსონა
ეროვნული ბიბლიოთეკა

სილვია ბარონ სუპერვილი

# ოცნებათა ტყვე



რამდენიმე წლის წინ ბორხესის მემორიალური დაფის გაკეთებას აპირებდნენ ხელოვნების ქუჩაზე მდებარე "ოტელზე", სადაც ბორხესი თავის მეუღლე მარიასთან ერთად ცხოვრობდა, როდესაც პარიზს ეწვეოდა ხოლმე. ეს ოტელი ბორხესს, უეჭველია, ოსკარ უაილდის გამო უყვარდა, რომელიც აქ მაშინ ჩერდებოდა, როდესაც ოტელს ჯერ კიდევ "ალსასის ოტელი" ერქვა და სადაც იგი, ბორხესის დაბადებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, გარდაიცვალა. ოტელის ფრონტონის ერთ მხარეს მიმაგრებული დაფა ირლანდიელი მწერლისადმია მიძღვნილი, რომელზედაც ბორხესი ამბობდა, რომ უაილდი იმ იღბლიან მწერალთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც გაუძლო არა მარტო კრიტიკის, არამედ ზოგჯერ, მკითხველის სინჯსაცო.

მე მკითხეს, ბორხესის დაფაზე პოეტი დავაწეროთ თუ მწერალიო და მაშინვე ვერ ვუპასუხე. სიტყვა "პოეტს" ჩემთვის ტრადიციული მნიშვნელობა აქვს და იგი მის შემოქმედებას არ შეეფერის. ესპანურის არ იყოს, ფრანგულ ენაშიც სიტყვა პოეტი პოეტიკასთან უფრო ახლოა, ვიდრე პოეზიასთან. ჩემეული აღქმით, ბორხესი გასცდა ამ სიტყვას, რომელიც მაშინაც კი, როდესაც გამოუთქმელს განსაზღვრავს, თავისი გზიდან არ უხვევს. ბორხესი, მიუხედავად უნივერსალობისა და სახელისა, მაინც მარგინალური მწერალია. მისი შემოქმედებაც, ბორხესის დასტურით, მას პერიფერიაში ათავსებს, რომელსაც ასე დიდი გავლენა ჰქონდა მასზე და რომელიც პარადოქსულად ბატონობს მისი წიგნების ცენტრში.

ჩემი აზრით, მწერლების ორი სახეობა არსებობს: კალმოსნებისა და მწერლებისა. ბორხესი მწერალია, თუმცა თვითონ ისეთი მწერლები ურჩევნია, რომლებიც კლასიფიკაციას არ ექვემდებარებიან. ასეთი მწერლები, რაღაც საზღვარს გამოცდენილნი, თითქოს სიტყვებისგან გაუძარცვავთო, თავიდან ქმნიან ლიტერატურას მშობლიურ ან უცხო ენაზე. "სან მარტინის რვეულების" წინათქმაში ბორხესი წერს: "ჩემთვის ვერლენი მაგალითია წმინდა წყლის ლირიკული პოეტისა, ემერსონი - ინტელექტუალური პოეტისა, მაგრამ რა დავარქვათ შექსპირს ან დანტეს?"

ბორხესის პოემების პირველ კრებულებში, როგორიცაა "მთვარის სახე", პროზაული ტექსტი არ არის, მაგრამ თავისუფალი ლექსი შეიცავს პროზისდარ გაგრძელებულ ფრაზებს; "სირცხვილის საყოველთაო ისტორიაში" ფრაგმენტებად დაყოფილი სასაცილო ისტორიები - პატარ-პატარა ამბები, ეპიზოდები - ფურცლის ერთი ნაპირიდან მეორემდეა გადაჭიმული. 1952 წელს, ბუენოს-აირესში გამოსული "El Hacedor"-ი პირველი წიგნი იყო, სადაც ბორხესმა მართლა შეაზავა ერთი ტომში პროზა და პოემა. ამ დროიდან მოყოლებული, სურვილი განუახლდა ასეთივე სახით წარმოედგინა თავისი ნალვაწი: "სხვა, იგივე", "ჩრდილის ქება", "ვეფხვების ოქრო" - მისი შემდგომი თხზულებები - და ნაწილობრივ მისი ბოლოდროინდელი პოეზიის კრებულები: "ციფრი" და "განდობილნი", ამ სახითაა შედგენილი.



მისი წიგნების უფრო გულდასმით განხილვისას, შევამჩნიე, რომ თუ იქ ერთი მხრივ პროზა და პოეზია შერწყმულია, მეორე მხრივ, ერთსაც და მეორესაც თავისი, განსხვავებული სახე აქვს. ბორხესი ასე ახასიათებს პოეზიას: "ბევრს ჰგონია, რომ პროზა უკეთ ასახავს რეალობას, ვიდრე პოეზია. იგი ესთეტიკური ფაქტია - ისეთივე ცხადი, მყისიერი და აუხსნელი, როგორიც სიყვარული, ხილის გემო და წყალი".

ჩვეულებისამებრ, ბორხესი თვითონ გვაძლევს ენიგმის გასაღებს, მაგრამ ერთი ენიგმა ყოველთვის მეორეს მალავს. საქმე ის გახლავთ, რომ შერწყმული იქნება მისი პროზა და პოეზია თუ შეურწყმელი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი უფრო ის არის, რომ ბორხესი ყველას და ყველაფერს თავისებურად განალაგებს და ისეთნაირად გარდაქმნის, რომ ენით უთქმელ რეალობას ანიჭებს. ბორხესის ნოველების თემა მკვეთრად არის განსაზღვრული: ბიოგრაფიები, ამბები, წინათქმები, ანდერძები, ნარკვევები, პოემები. პოლიციური სიზუსტე რეალობას ანიჭებს გამონაგონს, სადაც რომანი გადაჭრით უარყოფილია. ბორხესი გამონაგონს რეალობის და რეალობას გამონაგონის ძაფით კერავს. მისი ყველა ამბავი მთელი ეპოპეაა.

სრულქმნილი ფიგურა, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო, სიმბოლო ჰარმონიისა და აბსოლუტისა, არის რკალი - სიტყვა, რომელიც ენციკლოპედიაშიც მოიძებნება. ბერძენთა "Enklklios paideia" რჩევა-დარიგების, ანუ ცოდნის გზაა, რომლის ბოლოსაც მონაფე მრავალმხრივ განათლებას შეიძენს.ენციკლოპედია არ არის მხოლოდ შეკრული წრე, რომელსაც ცენტრი აქვს, არამედ იგი, ამასთან ერთად, არის საერთო და უსახელო შუამავალი. მისი დრო გარდამავალი და გადამცემი - ყოველთვის აწმყოა - ნამყოს აწმყო და აწმყოს აწმყო. მისი თემა უთემობაა. მისი ავტორი სცენაზე არ გამოდის, მას სცენაზე გამოჰყავს საგნები და არსნი,



რომლებსაც ხელმძღვანელობს. ბორხესის თხზულებებს ერთგვაროვანი ნახაზი აქვს. მოსვლის ათვლის წერტილი ენციკლოპედიაა, წასვლის ათვლის წერტილი კი - ბიბლიოთეკა. ბორხესის აზრით, ენციკლოპედია და ბიბლიოთეკა ერთმანეთს ჰგავს, რადგან ორივე ამ უსასრულობის ხატია. საერთოდ, ბორხესის მიერ შექმნილი ყველა ხატი უსასრულობის კუთვნილებაა, ხოლო უსასრულობაში ყველანაირი კლასიფიკაცია უსასრულობისვე მატერიას წარმოადგენს. “ბაბილონის ბიბლიოთეკაში” ბორხესი აბსოლუტურ ენას ეძიებს, - ეძებს წიგნს, ყველა წიგნს რომ შეიცავს და კიდევ წიგნის კაცს, რომელიც შეიძლება ღმერთს შევადაროთ, რადგან მას ეს სრულქმნილი წიგნი აქვს წაკითხული.

ერთ დღეს ბორხესმა ენციკლოპედიაში, რომელიც მის სახელზე დატოვეს ადროგეს ოტელში, სადაც იგი ზაფხულს ატარებდა, აღმოაჩინა პლანეტა, რომელსაც ტლონი ერქვა. იქვე აღწერილი იყო მისი არქიტექტურა, მითოლოგია, მისი ენისთვის დამახასიათებელი იუმორი - მისი იმპერატორები, ზღვები, ჩიტები, თევზები - მისი ალგებრა და ცეცხლი. ტლონი მეცნიერთა საიდუმლო ორგანიზაციის ქმნილებაა, რომელსაც გენიოსი ხელმძღვანელობს და სადაც სამყარო სივრცეში ობიექტთა ურთიერთქმედება კი არ არის, არამედ - დამოუკიდებელი აქტების წყება. ტლონის ლიტერატურა იდეალური ნივთებისგან შედგება, რომელსაც პოეზიის ნება გამოიხმობს და უმალ აქრობს. იქ არის პოემები, რომესიც ერთი სიტყვით არის გამოხატული და ეს სიტყვა, ზოგჯერ, ავტორის ხელით შექმნილ საგანშია მოქცეული.

ბორხესის სიტყვით, ტლონში ფილოსოფოსები ჭეშმარიტებას კი არ ეძიებენ, არამედ გაოცებას. ზოგის აზრითაც, მეტაფიზიკა ფანტასტიკური ლიტერატურის განშტოებაა. ტლონის ერთ-ერთი სკოლა დროს უგულებელყოფს და ამბობს, რომ აწმყო უსასრულოა, რომ მომავალი სინამდვილეს მხოლოდ იმედით იძენს, ხოლო წარსული - მოგონებებით. ზოგი სკოლა აცხადებს, თითქოს დრო ის არის, რაც უკვე წავიდა და ჩვენი ცხოვრება ლამის მხოლოდ მოგონებათა უწყვეტი პროცესია. ზოგი სკოლა იმას ამტკიცებს, რომ სანამ ჩვენ აქ გვძინავს, სხვაგან გვღვიძავს და ამგვარად, ყველა ჩვენგანი, ორი კაცი ვართ.

ტლონის გეომეტრია ორ დისციპლინას ცნობს - თვალსაჩინოებისას და ხელშესახებისას. იგი ამტკიცებს, რომ ადამიანი გადაადგილებისას მის გარშემო არსებულ ფორმებს ასხვაფერებს. ტლონის არითმეტიკა უსასრულო რიცხვებს ეფუძნება, რომელსაც დათვლა სასრულად აქცევს. მის ლიტერატურაში ბატონობს ერთადერთი თემა. წიგნს იშვიათად რომ ავტორის გვარი ეწეროს. ყველა ნაწარმოები, უკლებლივ, უჟამო ჟამის უსახელო ავტორის შემოქმედებაა. შეთხზულ წიგნებში, ჰოსა და არას ფილოსოფიის დოქტრინის თანახმად, ყველანაირი შეუსაბამობის შერწყმა შეიძლება.

საუკუნეთა მანძილზე გამეფებულმა იდეალიზმმა ტლონში სინამდვილე დაიქვემდებარა. ხშირად საგნებს, პლანეტის ყველაზე უძველეს კუთხეებში, თავისი ასლი აქვს, რომელიც თავის ორიგინალს დავიწყებიდან და დისტრაქციიდან გამოიხმობს. ტლონის დამწერლობა უამრავი ენისა და ანბანის ნარევია; პლანეტური ჩვეულება კი ავიწყებს კაცს, რომ მისი ჭირი არა განგებისგან, არამედ ჭადრაკის მოთამაშეებისგან მოდის.

პლანეტა, რომლის მკვიდრიც ბორხესს სურს იყოს, ბუენოს-აირესის თავზე, სამყაროს პერიფერიაზე ტრიალებს. პერიფერია ექსორიის სინონიმია. ბორხესი თავის სამშობლოშიც ჩინებულად ახერხებს ექსორიაში ყოფნას, რადგან იგი მისი ბუნებიდან მოდის - შეიძლება იმიტომ, რომ ვერ ხედავს, ან იმიტომ, რომ განსაკუთრებული აღქმის უნარი აქვს, ანდა მისი ურუგვაელი ჭაბუკი გმირის დარად, ბორხესიც უჩვეულო მეხსიერების პატრონია; ანდა სულაც, ყველაფერი ბედისწერის გამო ხდება, რომელიც მისსა და მისი გმირების აღმაფრენას ელობება. ბორხესი თავის ოცნებათა რეალურობის ტყვეა.

“მე მივხვდი, რომ ჩვენ, როგორც ყოველთვის, ჩვენი დრო მოვჭამეთ და ჩემი დანიშნულება, როგორც ღმერთის უკანასკნელი ქურუმისა, ამ დამწერლობის განჭვრეტის პრივილეგიას მომანიჭებს”, - ამბობს “ღმერთის დამწერლობის” ტუსაღი. დამწერლობა, რომელსაც ბორხესი თანდათანობით, მისი მოხაზვის კვალდაკვალ განჭვრეტს, განსაზღვრას არ ემორჩილება. იგი უჟამო ჟამისაა და უსახელოა. ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ეს დამწერლობა მას ტლონიდან სწვევია. პლანეტა ტლონის გაცნობასთან ერთად, ბორხესი ეცნობა მის სკოლებს, ასწორებს და სრულქმნის მას.

კაცმა რომ თქვას, მწერლებს სახელი არ სჭირდებათ, ანდა თუ აუცილებელია, მხოლოდ სახელით უნდა მოიხსენიონ და აღარაფერი დაუმატონ. ყველა ამბობს - დანტე და არავინ იტყვის - პოეტი დანტე. შექსპირმა თავისი სახელი დაანათლა პოეზიას, ბორხესმა იგი ჰორიზონტის საზღვრამდე გასწია. თუ გვინდა, რომ პოეზია მოვიშველიოთ, შეგვიძლია ამა თუ იმ მწერლის თვისების მიხედვით, პირდაპირ ვთქვათ: ვერგილიუსი, კევედო, დე კუინსი, ემერსონი, კარიეგო, ჯოისი, პო, კაფკა, უიტმენი, კიპლინგი და ა.შ., რადგან ისინი, ბორხესივით, გეოგრაფიულ რუკებსა და დროის მდინარეს არ ემორჩილებიან.

სიტყვები: ხილვა, მაგია, წრე, ვეფხვი, ისლანდია, მაშინვე ბორხესს მახსენებს, მაგრამ ამ სიტყვებს დაფაზე ვერ წააწერდნენ, ვერ წააწერდნენ მხოლოდ ბორხესსაც, ყოველგვარი განმარტების გარეშე - რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ტლონში არ ვცხოვრობთ - ამიტომ, როდესაც ჩემი ეჭვი სხვებსაც გავუზიარე, ყველა დამთანხმდა, დაეწერათ მწერალი - სიტყვა, რომელიც მოიცავს პოეზიას, მაგრამ პირველ ყოვლისა, დამწერლობას. ბორხესის მემორიალური დაფა ფრონტონის მეორე მხარეს, უაილდის დაფის გასწვრივ დაამაგრეს. ეს სიტყვა, რომელმაც მრავალნაირ გამოცდას გაუძლო, ყველაზე კარგ მეგზურობას გაუწევს მას მარადიულ აწმყოში.

ფრანგულიდან თარგმნა
თამარ აბრამიშვილმა

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზურაბ ლეჟავა

# სახელები რომლებსაც ჩვენ ვივიწყებთ და ვკარგავთ

*საპატიმროში მყოფმა მოქალაქე ვიქტორ ნაზრაძემ უმოწყალოდ გაყიდა საკუთარი სული. ის ზარლრად მოინათლა და ამის სანაცვლოდ ეშმაკისგან თავისუფლება მიიღო. განთავისუფლებულმა პატიმარმა სითბოს, საჭმელ-სასმელის და ტიტველა ქალის ძიებაში ქალაქის ცენტრს (ეშმაკის ბუნაგს) მიაშურა. ვაგზლის ტერიტორიაზე, იქ სადაც იაფფასიანი მეძავები იკრიბებიან, გაიცნო გულისწორი ჰერმაფროდიტი ბანჯგვლაეთერო და თავისი სულიერი მოძღვრის, ეშმაკ ღორმენის რჩევით, აბანოში წაიყვანა დასაქორწინებლად.*

ვიქტორს უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა მიეყვანა გულისწორი დანიშნულების ადგილზე, ვინაიდან მას რცხვენოდა ასეთი არსების გვერდით გავლა. ბრბო იქ ჭრელი იყო და ათასნაირი, მაგრამ ჰერმაფროდიტი მაინც გამოირჩეოდა მათში განსაკუთრებული სიმახინჯით. ის, როგორც უწინ ითქვა, იყო ჭაღარა, წვერ-ულვაშიანი, ეცვა ძალიან ბინძურად და საშინლად კოჭლობდა. ზარლრას ძალლივით კისერში ხელჩავლებული მიჰყავდა იგი აბანოსაკენ, ცდილობდა ნაბიჯის აჩქარებას და სწორედ ამ აჩქარებისას ერეოდა ფეხი. გარდა ამისა, მათ წინსვლას ხელს უშლიდა ის, რომ პატარძალს ზურგზე ეკიდა ვაგზლის ტერიტორიაზე შეგროვებული პლასტმასის ბოთლებით სავსე ჭუჭყიანი ტომარა, რომლის წართმევასა და გადაგდებასაც უშედეგოდ ცდილობდა სიძე.

- "მოიცა", - მიგიყვან ადგილზე და დაგინგრევ თავყბას" - იქადნებოდა თავის აზრებში ზარლრა.

ის ძლივს თოკავდა თავს, რადგან ცდილობდა პატარძალი დროზე ადრე არ დაეფრთხო. გარდა ამისა მას სხვა საფიქრალიც ჰქონდა: აბანოს ნომრის ერთი საათით აღებას 5 მანეთი უნდოდა, მან კი ეს ვერ გაითვალისწინა, ციხის უფროსის მიერ მიღებული, განთავისუფლების ფულიდან, ვიქტორმა 24 მანეთით რეზინის ჩაქუჩი, 4 ცალი პრეზერვატივი და საქორწილო სასმელ-საჭმელი იყიდა. მას ახლა მხოლოდ ერთი ქეციანი მანეთიანიღა ეგდო ჯიბეში.

- "მეაბანოვეს პროდუქტებით გადავუხდი", - ფიქრობდა ზარლრა.

წყვილი აბანოს მიადგა. ზარლრა და ბანჯვლაეთერო სლიპინა კიბეებით აბანოს ნახევარსარდაფში ჩავიდნენ და თეთრებში გამოწყობილ ზორბა მეაბანოვეს, ღორმენის სახეცვალებას - სერგოს მიესალმნენ. ზარლრამ მაშინვე იცნო ღორმენი, მაგრამ ღორმენმა ვერ იცნო სამაგიეროდ თავისი მორჩილი. ეს ძალიან შორეული სახეცვალება იყო მისი და აქედან გამომდინარე მეაბანოვე სერგოს ზარლრა კი არა თავისი ნამდვილი ვინაობაც უკვე ძალიან ბუნდოვნად ახსოვდა. ეშმაკთა დაუწერელი წესის თანახმად, მორჩილს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო მოძღვრისათვის მისი ვინაობის შეხსენება. ცნობიერებაში დახელოვნებული ეშმაკები, ისევე როგორც უბრალო მატყუარები, უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს ატყუებენ და ამით ისჯებიან ისინი განდგომისათვის, ხოლო საკუთარი თავის მომტყუებელნი, ისინი, რასაკვირველია, მით უმეტეს, არ ინდობენ სხვებს.

- ტანის დაბანვა გვინდა უფროსო! - მიმართა სასიძომ მეაბანოვეს.

მეაბანოვემ ახედ-დახედა საეჭვო წყვილს.

- მერე გადაიხადეთ ხუთი მანეთი და დაიბანეთ, - დაიბურტყუნა მან. ვიქტორმა დაიწყო ახსნა:

- საქმე იმაშია, რომ მე და ამან ხანმოკლე შეუღლება გადავწყვიტეთ. ოჯახი გვინდა შევქმნათ. ფული მანეთის მეტი არა გვაქვს. სამაგიეროდ გვაქვს აი ეს პარკი პროდუქტებით სავსე. აიღე მანეთი, აიღე პარკიდან საჭმელ-სასმელი რაც გაგეხარდება და შეგვიშვი ნომერში. გარდა ამისა, გვაქვს ბოთლები, რომლების უმრავლესობაც პლასტმასისაა, მაგრამ ალბათ არის შუშისაც. გააქ ქალო შუ-



შის ბოთლები?!

- ჰო-ო-ო! -

- აი შუშის ბოთლებიც ყოფილა, ჩააბარებ და ეგეც ფულია! -

მეაბანოვემ კისერი მოიფხანა. მან ცელოფნის პარკი ორთქლით გაჟღენთილ დამსკდარ მაგიდაზე დადო და იქიდან ერთი ბოთლი ღვინო, ერთი ცალი ძეხვი და პური ამოიღო, მანეთიანი ჯიბეში ჩაიდო, ბანჯგვლაეთეროს ტომარას ხელი შემოჰკრა და როცა იქიდან შუშის წკრიალი გაისმა პატარძალს ტომარა გადმოაპირქვავებინა. პლასტმასის ბოთლებში მართლაც ერია რამდენიმე შუშის ბოთლი. მეაბანოვემ ისინი უჯრაში შეინახა და შეყვარებულებს აბანოს კარი გაუღო.

ვიქტორმა სურსათი ნომერს გასახდელში შეიტანა, სკამეიკაზე დადო, მერე გამოვიდა, ჰერმაფროდიტი ხელში აიტაცა და ნომერში შეაბიჯა. უნდა ითქვას, რომ მოხდა პატარა დამთხვევა: პლასტმასის ერთი დაჭეჭყილი ბოთლი ვიქტორს ფეხქვეშ მოყვა და სიმბოლური ჭრაჭუნი გაიღო. ამით საქორწინო რიტუალის ნაწილიც როგორღაც თავისთავად შესრულდა და ამან გაამხიარულა არამარტო ახალგაზრდები, არამედ მეაბანოვეც. ამ უკანასკნელმა მენდელსონის მარშის მელოდიაც კი წაიღიღინა. დაუჯერებელია, მაგრამ ჰერმაფროდიტს ლოყები შეუვარდისფრდა და თვალებიდან ბედნიერების უმანკო ცრემლები გადმოსცვივდა.

ვიქტორმა ბანჯგვლაეთერო გასახდელში შეიყვანა და სკამეიკაზე საკმაოდ უხეშად დააგდო. მერე კარისკენ მოტრიალდა ჩასაკეტად, მაგრამ ვერ მოასწრო, პატარძალი მოულოდნელად ზეზე წამოვარდა, ვიქტორი ღონივრად გზიდან ჩამოიშორა და დერეფანში გავარდა. ამის მიზეზი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დერეფანში დარჩენილი პლასტმასის ბოთლები იყო. ჰერმაფროდიტი ბოთლებს ეცა და მათ უკანვე ტომარაში ჩაყრას შეუდგა.

- ჰო, შეაგროვე, შეაგროვე, - უთხრა მას ცოტა არიყოს დაბნეულმა მეაბანოვემ, - შეაგროვე და მანდ დადე. -

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარძალმა ბოთლები შეაგროვა, მაგრამ ტომრის დერეფანში დატოვება არ ისურვა, როგორც ჩანს იმის შიშით, რომ ვინმეს არ მოეპარა. ის ჯიუტად ცდილობდა ტომრის ნომერში შეთრევას. ბოლოს მაინც მოახერხა, მიუხედავად მეაბანოვის და ვიქტორის სასტიკი წინააღმდეგობისა. დამარცხებულებმა ხელი ჩაიქნიეს, უჯიათო პატარძლის ახირებას შეურიგდნენ და ერთმანეთს, რომ იტყვიან, კაცური სოლიდარობა გამოუცხადეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მეაბანოვემ საფეთქელთან მიტანილი საჩვენებელი თითი დაატრიალა, აქაოდა პატარძალი გიჟიაო, ხოლო სიძემ სატრფოს პანღური ამოჰკრა და ხელები გაშალა, რა ვქნა ქალია და ქალურად კაპრიზობსო.

- გაიხადე, - ლაკონურად წარმოთქვა ზარღრამ და კარი ჩარაზა.

პატარძალმა გახდა დაიწყო. ვიქტორი წარბშეკვრით უცქერდა მას და ხელში ზურგსუკან დამალულ რეზინის ჩაქუჩს ატრიალებდა.

- შენ კაცი ხარ, თუ ქალი ხარ, შენი?! - გამოსცრა მან ისეთი ტონით, რომელიც კარგს არაფერს უქადდა ეთეროს.

გარეგნულად ეს არსება წარმოადგენდა წვერ-ულვაშიან ბინძურ ქალს, მაგრამ როგორი იყო იგი ტანსაცმელს შიგნით, ეს მხოლოდ არშაკ კარაპეტოვიჩმა უწყოდა. არშაკ კარაპეტოვიჩი კი სამწუხაროდ იქ არ იყო. ეს გახრწნილი მოხუცებული, მხოლოდ კვირაში ერთხელ ესტუმრებოდა ხოლმე ვაგზლის ბოზბანდას, ისიც ტურფა ბანჯგვლაეთეროს ხათრით.

- "იქნებ, - ფიქრობდა ზარღრა, - ქალის სასქესო ორგანოს ნაცვლად უზარმაზარი შამბარ-ყუმბარა უკიდია ფეხებს შორის", - ეს აზრი მას ამხიარულებდა, ვინაიდან ბუნებით იუმორისტი და ცოტათი ცინიკოსი იყო, - "მაშინ რაღა ვქნა?!" - და თვითონვე პასუხობდა თავისსავე დასმულ შეკითხვას, - "მაშინ, ჩემი პერსონის ასეთი უპატივცემლობისათვის ჯერ რეზინის ჩაქუჩით უნდა კარგად ვცემო, შემდეგ გავაგდო, ხოლო დანარჩენს კი შემდგომი სიტუაცია გვიჩვენებს, - "ჰო მაგრამ" - მსჯელობდა ის, - "ჩაქუჩი რომ წამართვას, ჩაქუჩი რომ წამართვას, მაშინ უნდა გავექცე. რომ ვერ მოვასწრო" - ისევ მსჯელობდა ის, "ო-ო-ო მაშინ აქ ძალიან შემაძრწუნებელი რამ შეიძლება მოხდეს".

ჰერმაფროდიტმა თავისი გაზინთული ძონძები გაიძრო და საქმროს წინაშე წარსდგა. ის მორცხვად, ისე როგორც კდემამოსილ პატარძალს შეჰფერის, მზერას არიდებდა ნეფეს და თან ამავ დროს ორივე ხელით ცდილობდა ლიფის ზურგს უკან გახსნას. ზარღრამ თავის გონებაში აღნიშნა, რომ პატარძლის თუმც უზომოდ ბანჯგვლიან მაგრამ მაინც ქალურ სხეულს მამაკაცის სასქესო ორგანოები საბედნიროდ არ გააჩნდა.

- მოტრიალდი, უთხრა მან რჩეულს ცოტათი გულმომბალმა, - მოტრიალდი მე გაგიხსნი.

პატარძალი მოტრიალდა. სიძემ რეზინის ჩაქუჩი უკან ჩადო და რისვაივაგლახით გაუხსნა პატარძალს ტურტლიანი ლიფი.

ბანჯგვლაეთერო საშხაპეში შევიდა და ონკანებს დაუწყო ტრიალი წყლის დასარეგულირებლად. ვიქტორიც შეუდგა გახდას, მაგრამ როცა ტანსაცმლის საკიდზე დაკიდებას შეუდგა, მას ცხვირში იქვე სკამეიკაზე უდიერად დაყრილი, პატარძლის ძონძებიდან მომავალი ცუდი სუნი ეცა. მან ზიზღით გადმოყარა ძონძები იატაკზე და ზიზღითვე ფეხით შეაბურთავა ისინი საშხაპეში.

- გაიწიე იქით შე ბინძურო, - უბიძგა მან პატარძალს, დღეს მაინც გაირეცხე შმოტკები. დადიხარ, იქექები ტურტლიანი, - მერე ხელი თავში ჩასარტყმელად მოუღერა - უ-უ-, შენი!!!

ჰერმაფროდიტი შეუდგა ბურტყუნს:

- აი, ეხლა, რად დამისველე შმოტკები, - აიღო და დახედა ძონძებს, - აი, ეხლა როგორ გავაშროფ მე ამასა?! რო გავალთ მე ჩავიცვავ შენ შმოტკებსა, ამას კიდევ ჩაგაცმევ შენა!

- მიდი ეხლა ნუ ჭკვიანკოლოფობ დროზე გაირეცხე ეგ გნიდნიკები, თორემ მართლა ჩამოგილეწ ჩანს! - გაბრაზდა ვიქტორი და დასარტყმელად მუშტი შემართა.

ჰერმაფროდიტმა იგრძნო ვითარების სერიოზულობა. ის დამორჩილდა, ჩაცუცქდა და ტირილით დაიწყო შმოტკების რეცხვა.

ვიქტორმა ახლაღა შეამჩნია პატარძლის ქვედა თეთრეულზე სისხლის მსუყე ლაქები და ზედ მიწებებული ხარბად გაჟღენთილი საფენი.

- შენ რა, ყველაფერთან ერთად თვიურიცა გაქვს?! - წარმოთქვა მან ზიზღით.

- ჰო-ო-ო!

- ფუ შენი...!

ვიქტორი შხაპის ქვეშ დადგა და ფიქრებს მიეცა:

- "აი ჩემი ბედიც ეს ყოფილა" - ფიქრობდა ის - "რა ვქნა, თუ ასეა".

წყალი მილებში არათანაბარი წნევის გამო არათანაბრად ნაწილდებოდა და ნაზრაძესაც ხან მდუღარე, ხანაც ყინულივით ცივი წყალი ესხმოდა თავს. "ჩემი ბედი ყოფილა ეს!" - ფიქრობდა იგი.

- რით გავირეცხო, - დაიბურტყუნა ბანჯგვლამ, - საპონი რო არა მაქ?!

ზარღრა კართან მივიდა. საპონი მართლაც საჭირო იყო - საპონი, პირსახოცი და საპარსი მოწყობილობა პატარძლისთვის. მან კარზე დააბრახუნა, ოღონდ არა ისე, როგორც საერთოდ აბრახუნებენ ხელით, არამედ ფეხით. დიახ, ის კართან მისვლისას შემოტრიალდა, ხელები კარის კიდეებს მიაბჯინა და ქუსლით აუყენა კარს ბრახუნი. ციხის აბანოში ბანვისას ასეთი საშუალებით იხმობდნენ ხოლმე პატიმრები ზარმაც ციხის მეაბანოვეებს, რომლებსაც ეზარებოდათ ზედმეტად გარჯა და პატიმართა ცალ-ცალკე გამოშვებას, ყველას ერთად გამოშვებას ამჯობინებდნენ.

მეაბანოვე კართან მივიდა და იკითხა:

- რა არის?

უფროსო, საჭიროა საპარსი მოწყობილობა, საპონი და პირსახოცი პატარძლისათვის! - უთხრა მას ზარღრამ კარის გაუღებლად.

- ვნახავ რამეს! - დააიმედა იგი მეაბანოვემ.

ცოტა ხნის შემდეგ მეაბანოვემ მოიტანა მუქი ყავისფერი, თითქმის შავი სარეცხის საპონი, ტუჩმოტეხილი უსაფრთხო სამართებელი, ჟანგშეპარული, აშკარად ნახმარი პირით, საპნის ასაქაფებელი უხეშბეწვიანი ფუნჯით, სარკის აქერცლილი ნატეხი და საშრობი ქაღალდივით გაცრეცილი, მოყვითალო ვაფლის პირსახოცი. ყველაფერი გამოართვა სიძემ, სკამეიკაზე დაყარა და კარი ხელმეორედ ჩარაზა.

- მიდი აბა შეუდექი საქმეს, - უბრძანა მან პატარძალს.

პატარძალი შეუდგა საქმეს: ის ერთდროულად იპარსავდა ბანჯგვლებს, ირეცხავდა ტანსაცმელს, იბანდა ტანს და ბურტყუნებდა. ზარღრაც, შესაბამისად, ეხმარებოდა პატარძალს ძნელადმისაწვდომი ადგილების გაპარსვაში, ფეხებით თელავდა შხაპქვეშ, ქონიან მეტლახზე დაყრილ, ცუდადგასაპნულ ძონძებს, თან აგინებდა, პანჩურებს ურტყამდა და ზოგჯერ მჯიღსაც ჩასცემდა სლიპინა თავში, იმის გამოისობით, რომ ეს უკანასკნელი ყველაფერს აკეთებდა მოუხერხებლად, უნიათოდ და უჯიათად.

პატარძალი დროდადრო ხელისკვრით იცილებდა უჩვეულოდ მომთხოვნ სიძეს, იპარსავდა ბანჯგვლებს დაბლაგვებული სამართებლით, რომლითაც ალბათ გაპარსავდი კი არა, ყურსაც ვერ მოაჭრიდი კაცს.

მიდი კუთხეში დადექი და იქ გაიპარსე, - უბრძანა სიძემ პატარძალს, - თორემ შენი ბანჯგვლები წყალს მოაქვს და ისევ შენს შმოტკებს ედება!

ბანჯგვლაეთეროს არცთუმაინცდამაინც ეპიტნავა ზარღრას ეს წინადადება, გასაგები მიზეზების გამო მას წყლის შხეფების ქვეშ დგომა ერჩია, სადღაც კუთხეში, სიცივეში დგომას და ბანჯგვლების პარსვას. მან რამდენიმე გაუბედავი საპროტესტო მოძრაობის გაკეთება სცადა, რომელთაც ცოტაოდენი ბურტყუნიც დაურთო, მაგრამ როცა ერთი კარგი მაგარი ალიყური იგემა საჯდომში, მაშინვე დაშოშმინდა და მორჩილად დაიკავა მითითებული ადგილი. იგი კუთხეში დადგა და ტირი-



ლით შეუდგა პარსვას. იდგა დასერილ, დასისხლიანებულ სხეულს მოუხერხებლად იპარსავდა, სარკეს იშველიებდა და როცა კი კანს გაიჭრიდა არასასიამოვნოდ სისინებდა, ფეხებზე - მუხლებსა და კოჭებს შორის მას ქონდა მუქი ლაქები, დამადასტურებელი რომელილაც კანის დაავადებისა, ხოლო ფეხის უბადლო თითებს უმშვენებდა უშველებელი, მარჯნის რიფების მაგვარი, ჭუჭყიანი ყვითელი ფრჩხილები.

- "ჩემი ბედიც ეს ყოფილა", - ფიქრობდა ბედისმორჩილი ზარლრა. იგი თითქმის არ განიცდიდა ყველაფერ ამას, არა, რადგან თუკი რამ განსაცდელი არსებობს ქვეყანაზე, მას ყველაფერი განეცადა უკვე. არ განიცდიდა, მხოლოდ ფიქრობდა - "რატომ"?

როცა გათბა, ტანი დაიბანა და მოსულიერდა, სიძემ პატარძალი შეათვალიერა. ის უკვე თითქმის სულ გაპარსულიყო და აღარ იყო ისეთი შეუხედავი, როგორიც თავიდან, უბრალოდ სისხლიანი ნაკაწრები კანზე და ალაგ-ალაგ ბუჩქებად დარჩენილი ბანჯგვლები უკარგავდნენ იერს, არ უხდებოდა მას აგრეთვე, ჭალარა, ჯაგარივით წვერულვაში, რომელსაც იგი რატომლაც არ იპარსავდა, შესაძლოა იმიტომ, რომ დაბლაგვებული სამართებლით მართლაც ძალიან ძნელი იქნებოდა ასეთი ხშირი წვერ-ულვაშის გაპარსვა.

პირს რატომ არ იპარსავ? ჰკითხა ვიქტორმა საცოლეს, - მოდი, მე მოგეხმარები, - უთხრა, სამართებელი გამოართვა და ხელით ცოტათი გამოსწია, რადგან პატარძალი თავისივე ბანჯგვლებში იდგა.

ზარლრამ ჰერმაფროდიტი თავისკენ გამოსწია, სისხლიანი და ქაფიანი ბანჯგვლები შიშველი ფეხებით კუთხეში შეაქუჩა. მერე გაჭუჭყიანებული ფეხი შხაპს შეუშვირა და პატარძლის გაპარსვას შეუდგა. საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან ბანჯგვლას ფოლადის მავთულივით უხეში ჯაგარი არ ემორჩილებოდა ჟანგიან სამართებელს. ხელის შემშლელი იყო აგრეთვე პატარძლის აუტანელი ყოფაქცევა, რომელიც გამუდმებით იკლაკნებოდა, წუწუნებდა და თავს არიდებდა პარსვას.

- გააჩერე რა თავი, - ეუბნებოდა ზარლრა, - შენი! და ჩაქუჩივით ურტყამდა მუშტს უტვინო თავში გაუმეტებლად.

- მტკივა-ა-ა! - გაჰყვიროდა ეთერო პასუხად და საკოცნელად იშვერდა ტუჩებს.

ზარლრა ასეთ მცდელობებს ხელით იგერიებდა და ეუბნებოდა დაახლოებით ამას:

- მოიცადე, დამაცადე, ჯერ გაგპარსავ, - თან მის მამაკაცურ სახეს აკვირდებოდა. ფიქრობდა, ხომ არ დაეტოვებინა მისთვის წვერი და ულვაში, ან თუ დაეტოვებინა, როგორი. ბოლოს გადაწყვიტა, რომ მისი სატრფოს ფიზიონომიას ძალიან მოუხდებოდა ვნებიანი პორტუგალიური ულვაშები და მოხდენილი შოტლანდიური წვერი. ასეც მოიქცა, ზარლრამ პატარძალი გაპარსა, მაგრამ მთლიანად არა, წვრილი, ძალიან ვნებიანი პორტუგალიური ულვაშები და მოხდენილი შოტლანდიური წვერი დაუტოვა. მერე სიცილით გაიფიქრა:

- "აუ, ამას რა იხმარსო", - და სატრფოს სიყვარულის უმანკო პანლური ამოსცხო. ამის შემდეგ იგი ცხელ შხაპს მიეფიცხა განცხრომით.

შიგვე აბანოში იდგა წყლით გაჟღენთილი ტახტისმაგვარი დამპალი რამ. ეს რამ, რომელშიც ჭარბად ცხოვრობდნენ უნიჟარო ლოკოკინები და მათი მაგვარი სლიპინა ჭიები, ვითომდა იმისთვის იდგა, რომ მობანავეს შეძლებოდა დაწოლა ან დაჯდომა, მაგრამ ჰაი-ჰაი რომ არავინ იყო ამ სიბინძურეზე დამჯდომი, ან მით უმეტეს, დამწოლი, გარდა ზარლრასი, ბანჯგვლაეთეროსი ან კიდევ რომელიმე მათნაირი გაფარჩაკებული წყვილისა.

- მოდი, მოსწიე ეს ტახტი - უთხრა ზარლრამ ეთეროს, - და ტახტს დაეჯაჯგურა, - მოდი მომეხმარე, აი ამ ტახტზე უნდა წამოგაქციო და ამაზე უნდა გიხმარო. ეს არის შენი საქორწინო სარეცელი, ხოლო შმოტკები რომლებიც ალბათ უკვე გაირეცხა თავქვეშ ამოიდე და კარგი ბალიში იქნება. შეყვარებულებმა ტახტისმაგვარი რამ შხაპის ქვეშ შეაცურეს და მის გარშემო სირბილს, ხტუნაობას და დაჭერობანას თამაშს მოყვნენ. ეს, რასაკვირველია, ბანჯგვლას ინიციატივით, იგი, ისევე როგორც ყველა შეყვარებული ქალი, დახტოდა, დაკუნტრუშობდა, იგერიებდა და არ ეძლეოდა ადვილად თავის რჩეულს. ისინი რომ მინდორში ყოფილიყვნენ და არა აბანოში, იგი აუცილებლად დაიწნავდა მინდვრის მორცხვი ყვავილებისგან ლამაზ გვირგვინს, მეორე გვირგვინს კი მიჯნურს დაუწნავდა, თავზე ჩამოაცმევდა და მერე ზაფხულის ქარივით გაფრინდებოდა კისკისითა და მარჯვედ. შეყვარებულიც აედევნებოდა დაუოკებლად და ასე ირბენდნენ ისინი დაახლოებით 6-7 საათის განმავლობაში. ზარლრა გაჩერდა. მას თვალებში თითქოს ბინდი ჩაუდგა.

- ეგ შოტლანდიური წვერი და ვნებიანი პორტუგალიური ულვაშები კი მართალია ძალიან გხატავს, მაგრამ უნდა გაგპარსო, რომ ცოტათი კვლავ დაემსგავსო ქალს! - უთხრა მან სატრფოს მკაცრი, სერიოზული ტონით, ისეთით, რომელიც გამორიცხავდა პროტესტს. დედოფალმა ეს იგრძნო და მორჩილად გაუტრუნდა ნეფეს. ნეფემ უხეში ფუნჯით, ძნელად ასაქაფებელი, ქვასავით მაგარი სარეცხის საპონი შეძლებისდაგვარად ააქაფა, ეს ქაფი პატარძალს წასცხო სახეზე, სამართებელი აილო და პარსვას შეუდგა. ჯერ მოპარსა შოტლანდიური წვერი, შემდეგ კი ცალი პორტუგალიური ულვაში, გაიხსენა ის ფაქტი, რომ ოდესლაც კატორღელებს ცალ წვერს პარსავდნენ, გაიცინა ამის თაობაზე და ის მეორე ვნებიანი პორტუგალიური ულვაშიც მოპარსა ბანჯგვლაეთეროს და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ბოლო მომენტში ტუჩი გაუჭრა თავის სატრფოს.

- აუ! - იყვირა სატრფომ.

- აუ და ბაუ! - გულგრილად გაეპასუხა მიჯნური და ტუჩმოტეხილი უსაფრთხო სამართებელი კუთხეში მიქუჩებულ ქაფიან და სისხლიან ბანჯგვლების გროვაზე დააგდო.

- აი, ახლა კი ვხედავ, რომ ქალი ხარ, - უთხრა ზარლრამ ეთეროს თითქმის არამოჩვენებითი გულითადობით, - შენ თითქმის არ განსხვავდები სხვა ქალებისგან. შენ ისეთივე ხარ, როგორიც ისინი. თქვენ ყველანი ერთნაირები ხართ. თფუ თქვენი!

პატარძალმა ენა გამოუყო ნეფეს, ნეფესთვის გამოყოფილი ენით გაჭრილი ტუჩიდან ჩამონადენი ცოტაოდენი სისხლი აილოკა და შხაპისქვეშ წივილ-კივილით შეხტა. ნეფე მის კვალს მიჰყვა და ხელი გაიწვდინა დედოფლისაკენ, მაგრამ დედოფალი წივილით გახტა გვერდზე, გააკეთა ცრუ მოძრაობა და ტახტს გადაახტა, სამწუხაროდ ვერ გაითვალისწინა სლიპინა იატაკის ვერაგობა, ფეხი დაუცდა, დაეცა და ტახტის კუთხეზე თეძო გადაიყვლიფა.

- ვაიმე-ე-ე! - ატირდა იგი.

ნეფემ ასწია პატარძალი და ტახტზე დააწვინა, თვითო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც გვერდზე მიუწვა, მაგრამ სინიორინა უეცრად გონს მოეგო, ფეხზე წამოვარდა, პროდუქტებიანი პარკისკენ გაიქცა, შიგ ხელები ააფათურა და მონსინიორს სთხოვა, ჯერ რამე ვჭამოთო. მონსინიორმა თავი დაუკრა და დედიშობილა მიუჯდა სინიორინას მიერ ფაცი-ფუციტ გაშლილი სუფრას, რომელიც სკამეიკაზე იყო გაშლილი, ხოლო მონსინიორი და სამართებლით დასერილი სინიორინა ამ სკამეიკას აქეთ-იქიდან ტიტვლები უსხდნენ და მადიანად შარაფობდნენ. ერთადერთი ას ვატიანი ნათურა ვერ უმკლავდებოდა სიბნელესა და ორთქლს და ამიტომაც მისი სუსტი ციმციმი მხოლოდ ალამაზებდა ნახევრადწყვდიადს და ვითარებასაც უფრო ინტიმურს ქმნიდა. ზარღრას, პრინციპში, მოსწონდა აქ. ერთგვარ დისკომფორტს ჩვეული, ის ბევრს არ ითხოვდა ცხოვრებისაგან. მხოლოდ პატარძლის მოუმუწავი პირის ღორული წკლაპუნი ცოტათი აღიზიანებდა მას ამ წუთას.

- მომუწე პირი და ისე ჭამე, - უბრძანა მან პატარძალს. მერე კი როცა ბრძანება შესრულდა, ჰკითხა - შენ რა გქვია შემოკლებით?! პასპორტში კი ეთერი გიწერია, მაგრამ ბავშვობაში? ბავშვობაში რას გეძახდნენ ბანჯგვლას, ეთეროს, ბანჯგვლიკას თუ რას? რა გერქვა შენ მაშინ, როცა პატარა იყავი?

- თირო, - სევდანარევი ხმით წარმოთქვა თავისი ძველი მივიწყებული სახელი შემთვრალმა ჰერმაფროდიტმა და მოულოდნელად თვალები მომდგარმა ცრემლმა აუბრჭყვიალა.

ვიქტორმა შეწყვიტა ღეჭვა. მას შეეცოდა ეს არსება, არსება რომელიც, ისევე როგორც ის, თვით იყო ოდესღაც პატარა, ისევე როგორც მას, ჰქონდა სახლი, ჰყავდა ახლობლები და რაც მთავარია, ჰქონდა სახელი - არა ის, რასაც ოფიციალურ საბუთებში წერენ ნოტარიუსები, სახლმმართველები, გამომძიებლები და სხვა ჩინოსნები, არამედ ნამდვილი სახელი - რომელსაც ყველაზე უფრო ახლობელი ადამიანები არქმევენ. სახელი, რომელსაც ჩვენ უსულგულო ადამიანები არ ვუფრთხილდებით, ვივიწყებთ და ვკარგავთ.

- შენ რა გქვია? უფრო სწორად რა გერქვა ადრე? - მოულოდნელად ჰკითხა ბანჯგვლა ეთერომ ზარღრას, - შენც ხომ რაღაც გერქვა? ხომ გერქვა?!

- კი, მერქვა, - თბილად უპასუხა ზარღრამ.

ზარღრამ პასუხი ოდნავ დააყოვნა:

- სულ პატარაობისას მეძახდნენ ვიკას, მერე ცოტათი რომ წამოვიზარდე დამარქვეს ვინა, ახლა კი სული გავყიდე და მქვია ზარღრა!

ჰერმაფროდიტს ოდნავი შეშფოთება და წუხილი დაეტყო სახეზე. ის სულ ახლოს მოუჩოჩდა ზარღრას, ხელი გადახვია და ყურში გაუბედავად ჩასჩურჩულა:

- ნუ იდარდებ ასე, - ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კი დაამატა: - ჯოჯოხეთში შევხვდებით!

- შევხვდებით! - უპასუხა ზარღრამ და სატრფოს ხელი მოხვია.

- შენ ერთადერთი აღმოჩნდი მთელ სამყაროში, ვინც ისურვა ჩემი უთავბოლო, უკიდეგანო მარტოობის მოზიარედ გახდომა. შენ უნდა გიმადლოდე, რომ დღეს ჩემი ლოდად ქცეული მარტოობა მხოლოდ სანახევროდ არის უთავბოლო და გაუთავებელი და რაკი შესაძლებელი აღმოჩნდა გაუთავებლის შუაზე გაყოფა, მაშასადამე ეს გაუთავებელიც აღარ ყოფილა უსაზღვრო, ყოველ შემთხვევაში, ერთი ზღვარი, ერთი ათვლის წერტილი უკვე ნაპოვნია და ეს დიდი მიღწევაა ამ უბედურ უსასრულობაში.

- თირო - რა უცნაური სახელია, ნეტავ ვინ დაგარქვა პატარა გოგონას ასე? ნუთუ არ შეეძლოთ შენთვის რაიმე სხვა სახელი ეპოვნათ? რატომ გადააკეთეს ასეთი ლამაზი სახელი ეთერი, მაინცდამაინც თიროდ? ვინ იყვნენ შენი მშობლები? ალბათ შენნაირი ბანჯგვლიანი მაწანწალები: მამა - ბანჯგვლიანი არამზადა და დედა - ბანჯგვლიანი ბინძური დედაკაცი!

ვინც არ უნდა იყო შენ, რაც არ უნდა გერქვას, ვინც არ უნდა იყვნენ შენი მშობლები, შენ იმსახურებ პატივისცემას და თანაგრძნობას ჩემგან! ერთადერთი ხარ მთელ სამყაროში, რომელიც, შეიძლება ითქვას, თავისით მოვიდა ჩემთან! მე არ დავაჩაგვრინებ შენს თავს არავის! შენ დღეს ერთადერთი ახლობელი ხარ ჩემი. ჩვენ არსად არ წავალთ დილამდე აქედან! აქ ვიქნებით სითბოში და ორთქლში! ჩვენ არ გავაღებთ კარს და არ წავალთ სიცივეში ღამის სათევის საძებრად! აქ არის ჩვენი სახლი და ჩვენ არ გავალთ აქედან დილამდე, რაც არ უნდა აბრახუნონ მეაბანოვემ, ცეხცლფარეშებმა და მექისეებმა! მე მზად ვარ შევებრძოლო თვით ზნეობრივ პოლიციელთა მრავალრიცხოვან რაზმსაც. ნებისმიერ იერიშს მოვიგერიებ რეზინის ჩაქუჩით! მე შენ დაგიცავ მედგრად და ვფიცავარ, ვანანებ ყველას, ვინც აქ გაბედავს ძალით შემოჭრას, თუნდაც ეს კაცნახევარა ეშმაკი ღორმენი იყოს! ვანანებ ყველას, უკუნითი უკუნისამდე!!!

ამ სიტყვებზე კარი აბრახუნდა.

- დაამთავრეთ ბანვა, თქვენი დრო გავიდა! - გაისმა მეაბანოვის ხმა.

ნეფემ პატარძალს ხელი მოხვია, მეორე ხელში რეზინის ჩაქუჩი მოიმარჯვა და ჩარაზულ კარს მიღმა მდგომ მეაბანოვეს ავად გასძახა:

- დილამდე, აქედან ჩვენ არ გამოვალთ, შეფ! ჩვენ არსად მიგვესვლება და ამიტომაც აქედან არ გამოვალთ!

კარი საშინლად აბრახუნდა. მეაბანოვე აღრიალდა.

საბრძოლველად შემართულმა სიძემ პლასტმასის ერთჯერად ჭიქებში ჩამოასხა ღვინო, ჭიქა ჭიქას მიუჭახუნა და გადაკრა, თირომაც დალია, მათ ძეხვის მოზრდილი ნაჭერი შუაზე გაიყვეს და ღეჭვას მოყვნენ. ისინი, შემთვრალნი, მასხრად იგდებდნენ მეაბანოვეს და ადგილის დასამკვიდრებლად საბრძოლველად ემზადებოდნენ. ზარღრას რეზინის ჩაქუჩი ედო ხელსუკან, ხოლო თირო, ამ ცოტა ხნის წინ უმწეო თირო, ახლა შეზარხოშებული, ავად უმზერდა ღვინის ბოთლებს და მათში აშკარად ხელყუმბარებს და სხვა საბრძოლო მასალებს ხედავდა. იგრძნობოდა მისი მზადყოფნა, კბილებზე გადაეფშვნა ეს ბოთლები ნებისმიერი მომხდურისათვის. სუფევდა სრული თანხმობა და საბრძოლო სული.

მეაბანოვე მთელი ძალით ურტყამდა კარს და იგინებოდა, ახალგაზრდები კი ქეიფობდნენ, ცუღლუტობდნენ, ლაღობდნენ და გამუდმებით იმეორებდნენ ერთსადაიმავეს:

- მამი აკაკუნებენ!
- მაიცა შვილო მე გავაღებ!
- მამი აკაკუნებენ!
- მაიცა შვილო მე გავაღებ!

*მოთხრობა გაფორმებულია ავტორის ნახატით*

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთო ხეთანელი

# დერეფანი

*დერეფანი არს სახლი სამგნით ფარღია*
*საბა*



ცისა და მიწის გასაყარზე
მთისა და ბარის გასაყარზე
აღსავლისა და დასავლის გასაყარზე
მზისა და მთვარის გასაყარზე
დღისა და ღამის გასაყარზე
საკუთარ მხარ-თეძოზე წევს **პაცი**
და ნაღვლიანი ირონიით გაჰყურებს
ზრუნვით, ფუსფუსით, გლაჯაგლუჯით შეპყრობილ
მაშრიყისა და მაღრიბის ჭიანჭველებს...

თქვენ რას მასწავლით დერეფნისას?!...
დაბადებული
თუმცა არა ვარ დერეფანში,
მაგრამ გაზრდილი და აღზრდილი სწორედ იქა ვარ...

მე რას მასწავლით დერეფნისას! -
ზოგს მესამედი ცოდნა და წრთობა
თქვენს დათბუნებულ კლასებში და ფიზდარბაზებში
არ მიგიღიათ,
მე რომ დერეფნის ორპირ ქარში გამოვიჯეკე,
რაც იქ ორლესულ საუბრებით წუთისოფლის ქვიშა ვიგემე...

მაშ, რას მასწავლით დერეფნისას! -
მე დერეფანი
უკვე მაშინ ვიცოდი კარგად,
როცა დემოკრატიული სიტყვა "დერმო" ამ პატივში ჯერ
არ სუფევდა
და ფანებიც
ჯერ ამ სილაღით არ იკლებდნენ საკუთარ ჯიგარს...

ერთი მე მკითხეთ დერეფნისა!...

- რად მინდა სახლი, -
თქვა მამაჩემმა,
როცა ძველი ბანიანი სახლი დაშალა
სოფლის შუაში ოთხივ კუთხით სამზირ ადგილზე
და ახლისთვის მოასწორა ნამოსახლარი, -
- რად მინდა სახლი,
თუ კარი არ იქნება ღია,
თუ მიმსვლელ-მომსვლელს გვერდს აივლევს
და მეზობლებს ერთმანეთის ნახვას დაუშლის!..

ადგა და ფერდობს ორბის ბუდედ მიაშენა პატარა ჭერხო,
წინ კი დახურა დერეფანი - უზარმაზარი,
ისეთი, შიგ რომ სოფლის კალო ილეწებოდა...

დედა - უთქმელი,
ნებაყოფლობით - ხმისუფლებაჩამორთმეული...
მხოლოდ ეს მახსოვს,
უფრო სწორად, მეხილვება ხოლმე ხშირ-ხშირად,
რთვა-ქსოვისას ზოგჯერ ცრემლსაც უნებურად რომ
შეაქსოვდა...
ვერ გეტყვით როგორ,
მაგრამ ტაბლის გადმოდგმაში ვგრძნობდი საყვედურს -
დერეფნისგან დათარილებულს
და კიდევ... მამის წარბქვემოდან გამოხედვაში...

სოფლის კალოზე ზემო-ქვემოს, გაღმელ-გამოღმელს
მოჰქონდა საცეხვ-სალეწელი, საფქვავ-სამტკიცი,
ჭორი, მართალი, შურ-ბოროტი, მადლ-საციქველი,
თოკი, სანთელი, კოვზი, ტყავი, ნემსი, ფიწალი...
თითქოს იმისთვის,
რომ დერეფანს დაენახა საკუთარი სიცარიელე,
რომ სულიერიც და უსულოც გაჰყოლოდა საკუთარ საქმეს
და მიეგდო დერეფანი გულზეხელებდაკრეფილივით
სხვათა განცდით
სხვათა ბურბურით
სხვათა ხველებით და ორპირში გაფანტული კვამლის
ბოლქვებით...

მამაჩემს თეოს ძაღლი ჰყავდა - ნაღდი, ფხიზელი,
სიავის გამო ჯაჭვის ღრღნით გადარეული...
ისე შეექსა, შეეგუა გამვლელ-გამომვლელს,
ნაცნობს და უცნობს, მთლად დაკარგა ცნობის უნარი...
დიდი ბრძენივით შეჰყურებდა ყველა მოუბარს და
მხოლოდ თავს აკანტურებდა
და ამ კანტურით გამოთაყვან-გამოჟამყრუვდა
ისე, რომ მამამ ერთხელაც თქვა:
- თოფი უნდა დავჰკრა ამ წყეულს,
უდროოდ, ჩემიცოდვითსავსე, რამ დააბერა?!.

ვინ დაანება, - რას ამბობო?! ცოდვა არისო!..

მაშინ მივხვდი, რომ ის უკვე ჩვენი არ იყო,
ყველა აძლევდა სამადლო ლუკმას
და თითქოს მისი სიამაყეც სხვათა ხელის ყურებაზე
ჩამოხურდავდა...

თქვენ რას მასწავლით დერეფნისას!..

არ დამავიწყდეს:
ღამე ჩიტები იბუდებდნენ დერეფნის ჭერში
და გადამფრენი ფრინველებიც, თოვლჭყაპისგან
გზაარეულნი,
უფრო თამამად ისვენებდნენ, როგორც კუნძულზე -
სადაც...

- აბა, ავუშვათ ახლა საქმე! -
იტყოდა ვინმე სიცილით და აიშლებოდნენ,
თავთავიანთი დაჭიშკრული და დაგმანული სახლებისკენ
მიაშურებდნენ...

და რჩებოდა დერეფანი გაურკვევლად გაოგნებული
მშვიდობის დაუგდებლად სტუმარგაპარული
მასპინძელივით...
დარჩებოდა მოლაყბეთა მიეთმოეთის ნამუსრევი და
ნაკვალევი:
**არგნის წვერით ნაჩიჩქნი მიწა**
**ხის ნათალი**
ტყავის ნაფხეკი
ჩიბუხების ნაფერთხი
ნაპურჭყები თამბაქოს წვენი...

რომ მიწყდებოდა ხმამაღლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიჩუმე შეავსებდა სიცარიელეს,
გამოვიდოდა დედაჩემი ჩქარი ნაბიჯით,
აიკეცდა თავშლის ყურს პირზე -
ყოველთვის, როცა იგი გულის სათქმელს მალავდა,
ამ რიტუალს ასრულებდა კრიჭაშეკრული,
თითქო საწყევარ სიტყვებს ამწყვდევდა... -
გამოგვიდა დერეფანს ცოცხით,
ორიოდე ვედრო წყალსაც გამოაშხეფდა, -
იქნებ მილეთის ავი კვალის წაშლას ლამობდა...

ნეტა ჩემსავით იცნობდეთ დერეფანს!..

დღეობების დროს
ზეცა წყლით ნათლავს კაცთა ფეხნაზვედრს...
და ეს წყალი წმინდა ცრემლია...

მამა ძალიან ამაყობდა თავისი ღვაწლით
არ ახსოვდა არც ოჯახი, არც საქონელი, არც სამჭედლო
და არც წისქვილი
დერეფანს შეუნივთდა მისი ღირსება
აქ იჭედებოდა მისი გულქართლობის სახელ-დიდება
დერეფანი გახდა მისი ცელი, მისი ნამგალი, მისი ფარი და
მისი ხმალი
მისი გვარი და მისი წოდება
დერეფანთან ერთად აღდეგრძელებდნენ
და არავის მისცემდა უფლებას
დაეკეტა მისი სახელისთვის ქვეყანაში გაჭრილი სარკმელი...

იგი გახდა - განა სახლის - დერეფნის მასპინძელი
და მგონი მაშინაც დერეფნის ავ-კარგს აგვარებდა,
როცა დედაჩემის სულმა სხეული დატოვა,
პირზე შალისპირაკრულმა ნაღვლიანად გადაუფრინა
დერეფანს
და საფლავთგორს მიაშურა...
იგი საპატიოდ დაასვენეს მის საძულველ დერეფანში,
ძველით იანვრის ქარი უსტვენდა გამწარებით
და ეჯაჯგურებოდა დედაჩემის თავშლის ყურს,
თითქოს უნდოდა
მთელი სიცოცხლე დაგუბებული სათქმელისთვის გზა
გაეხსნა...

...ოღონდ სანამ ეს მოხდებოდა,
მამაჩემმა წყალი გამოაშხეპებინა დერეფანში და
დააგვევინა...

ეშმაკმა იცოდეს ამ დერეფნისა!..

ამ დერეფანს ახსოვს თავპირდაჩეხილი მოხუცებიც
და
რუსულ არაყზე გაგეშილი ახალგაზრდებიც...
სახელდახელო საორღობო ლაზღანდარობაც,
ბალნის ამშლელი მოგონებებიც
და კაცური საქმის გარჩევაც...
ორი ოჯახიც შეახვედრეს ერთურთს ნამტრობი
ორი სოფელიც
და ორი თემიც მოარიგეს რჯულის კაცებმა...

ერთნიც გვლოცავდნენ, მეორენიც და მესამენიც,
ვის არ უთქვამს: ღმერთმა უშველოსო!..
მაგრამ ეს ლოცვა ჩვენს სახლს და მამაჩემს რატომღაც
არ შველოდა:
რაც მახსოვს, სულ მარტო იყო,
სულ იმას ეკიდებოდნენ სათიბ-საძოვარს
და არც ვინმე ესარჩლებოდა
თითქოს ამ დერეფანში სირცხვილი იყო პატრონის
სატკივარზე საუბარი...

ამ სატკივარმა კი - თურმე - გვერდები გამოუჭამა
და უთქმელად ისე დაეცა,
საკუთარი დერეფნისხელა კავერნები გამოუჩნდა
ფილტვებში...
ოღონდ ეს ცოტა გვიან მოხდა,
როცა დერეფანი იყო და სახლი აღარ იყო,
რადგან მე წიგნს შევაფარე დერეფანში გამოქაჩლებული
თავი,
ხოლო დედაჩემმა - როგორც უკვე მოგახსენეთ...

რა გითხრათ დერეფნისა!..

სადაც დერეფანია, იქ ჭიშკარს ვინ დაგულავს...
ჰოდა, რაღა ორღობეზე,
მით უფრო ზამთარში,
პირდაპირ დერეფანზე იყო დადებული გზა...
აქ ავდარს შეფარება და სულის მოთქმაც შეიძლებოდა,
მუხლის ქარის და გულის ჯავრის ამოღებაც...
მერე რა, თუ ჩონჩორიკი რჩებოდა,
მერე რა, თუ ნაჭლიკ მიწას მოსწორება-მოშანდაკება
უნდოდა...
აბა, დერეფანი რისი დერეფანია?!.

ერთხელ კი იფეთქა მამაჩემმა...
ერთ ყინვიან ღამეს
ვიღაც ნაგვიანევ მოქეიფეს
სწორედ დერეფანი მოემყუდროებინა ჩასაკუკად
და თავისი ბარაქიანი ძეგლი დაედგა!..
- თავზე მიქნეს ამ ჩემანალებმა! -
ყვიროდა და იარაღის სამალავისკენ იწევდა...
ნეტა ვის ესროდა, რომ გაეშვათ, დერეფანს თუ ესროდა?!.
მე უფრო დედასი გამიკვირდა,
- სირცხვილია, გაჩერდიო, - ანამუსებდა, -
ამდენი მოგითმენია და ესეც მოითმინეო!..
- რა მოვითმინო, ქალო!.. - ცეცხლს აშლიდა მამაჩემი,
თითქოს სულ იმის ბრალი ყოფილიყოს,
თითქოს...

ერთ კვირაში მოვიდნენ ვიღაც მკვრივები
და ისე ზუსტად მიაგნენ სამალავს,
თითქოს მე კი არა, ისინი იყვნენ აქ ჭიპმოჭრილნი...

ჩაიარა მაგანაც -

თქვენ რა გაგეგებათ დერეფნისა!..

პაპაჩემმაც იქუხა ერთხელ მივიწყებულ ფილთა თოფივით:
- დერეფანში გაკეთებული ბავშვი ვის უნახავს?!...
იგი ზურგშექცევით იწვა ლაჭანზე
და მიწურის კედელს უყვიროდა
მჭახედ - მთის მდინარის ნაპირზე გაზრდილის ხმით...

მამაჩემი ჰყავდა მიზანში.
სულ ასე იყო - რაც თავი მახსოვს:
ერთმანეთს პირისპირ არ დალაპარაკებიან,
თითქოს არც იცნობდნენ ერთურთს...
იშვიათად, როცა სხვა გზა არ იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა მახლობელ ხეს, ქვას ან წყლის დოქს ეტყოდა
ორიოდ სიტყვას:
- ხალია მოსაჭრელი...
- ხარ-ჭოჭყი ამარილდა...
და - როგორც პატარობისას მეგონა -
ხეც, ქვაც და დოქიც
სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა მის ბრძანებას...

- ოჯახი ერთი არსამყოფოს იმედზე რჩება!..
რა გახდა ეს ეშმაკის სალაყბო?!.
ცეცხლს მივსცემ მაგ!..

მამაჩემი, როგორც ყოველთვის, გაერიდა მეხის დაცემას -
გაუგონრად ნაწყენი ჩანდა...

ალბათ მიხვდით,
მე ვიყავი ის არსამყოფო -
ამნაირი საქებარი პაპისიმედმა
სწორედ დერეფნის ერთგულებით დავიმსახურე...

თქვენ რას გაიგებთ დერეფნისას!..

პაპა - თურქის ომში ნამყოფი -
ჯიუტი და უთქმელი კაცი -
შუბლ და ფერდებდაკოჟრილი ნახიშტრებით და
ნახმლევებით -
ორ რამეს ვერ იტანდა ჭირისდღესავით:
დერეფანს და
შარაში ერთმანეთს აყუდებულ დედაკაცებს!..

შეიკრიბნენ მისი კბილა რჯულისკაცები,
გაამტყუნეს პაპაჩემი -
მწვანეალმურადენილი ქუდმოხდილ თავზე:
- არ გამოვა, სხვა დროა ახლა...
- ახლები რომ ინდომებენ, ჩვენ რას გავხდებით?..
- ან ცეცხლის წაკიდებას რა გაუბნებს,
კაცთ სასაცილო ხვარ გახდები ამ სიბერეში?!.
- შენ ერთი ხარ - ქვეყანა კი გაეჩვია თავისუფლებას!..

ეჰ, რომ იცოდეთ თქვენ დერეფნის ავანჩავანი!..

ერთხელაც გახდა ამბის მოწმე ეს დერეფანი! -
შექსპირის პირიც რომ ვერ შეძლებს იმის აღწერას:
თმებში ეცნენ მკლავდაკარწახებული ქალები,
ჯანიანად დაითრიეს ერთიმეორე -
ზოგი ჭორის გამო, ზოგი შურის გამო, ზოგი ჯიშის გამო...
ეს არ მომხდარა არც ოჯახში,
არც თემ-შარაში,
არც მამითადში და არც კიდევ დიდ დღეობაში,
ეს მოხდა დერეფანში...
და ამით დათარიღდა წარსულის დასასრული.

ამ ბღლარძუნში ერთ დედუკას
სარაფანი წამოეხადა...
და ამის შემდეგ - ნელა-ნელა სახელ-სირცხვილსაც
თითქოს ფარდა შემოაცვდა, შემოეფლითა...

დედამ წყალი გამოიტანა და დერეფანს გადააქივლა...

დრო გადიოდა -
დერეფანში უფრო სწრაფად, ვიდრე სახლებში...
ვეღარ ჰგუობდა ამიტომაც ერთმანეთს ხალხი,
აღარც ენდობოდა...
გახშირდა ფარულად ნაკეთები საქმე...
გაბევრდა ფოლად ნაგრეხი საბელი...

და სოფლის შარა ნაშარობად იქცა ნელ-ნელა,
ხოლო დერეფანი გაშარავდა...

და როდესაც თურქული დაერია საქონელს,
მამაჩემმა - მთავარმა დერეფნელმა -
დროებით "კარანტინის" გამოცხადება მოინდომა...
მაგრამ სოფელი გადაუდგა,
არ დაანება...
და მამაჩემი ერთი კვირა იწვა ჯავრისგან.

ხოლო პაპაჩემი...
მართლაც სასწაულად გადარჩა ამ ამბავს -
უკვე წინაპრებთან იყო წასული...

თქვენ რას გაიგებთ -
დერეფანი თვითონ წერს კანონებს
და მის სამართალში საკუთარი საერთოს ალახია...

"მუნჯის ენა მუნჯის დედამ იცის..."
დერეფნის ენა -
ვინ გაიგებს მის კილოს და ნახევარკილოს...
მის თავისუფალ გამოთქმებს და უკმაკურ ჩარტყმებს...
თვალდახელშუა შეიცვალა დარბაისლური -
დასწრაფდა
დაწყდა
დახურდავდა
ტრასისპირზე მოფარდულივით...
დაჰყვა მანერა მას იაფი თავმოთნეობის -
შიგჩართული ფრანგულ-რუსულ-ოსმალურებით...
სხვა სული აქვს დერეფნის ენას...

...და დერეფანი ისტორიით კი არა,
დღევანდელი სტუმრით და ხვალინდელის ლოდინით
ცხოვრობდა...
ვიღას მსტოვრული მზერა აღარ გააცილა მან!..

ერთხელ გაცუდდა ამინდი და მთებში თოვლმა წამოუშინა.
მეორე დილა რომ გათენდა,
დერეფანი სავსე იყო რუსის ტურისტით:
სიცივისაგან დაკრუნჩხულებს მზირებივით გამოევლოთ
მთელი სოფელი
და ამ ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეყუჟ-შეტმასნოდნენ
ერთმანეთს...
ქალებმა ივიშვიშეს,
კაცებმა ორ-ორი გადაახუხეს
და ხელად ჩარფუზანა გაიმართა სამასხარაოდ...

სოფელში გლოვა იყო,
მაგრამ დერეფანი უკვე თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა...

ბედად, წინადღეს
ქისტიც მოვიდა მეზობელთან - ძველი ყონაღი...
დერეფანი სტუმარს ფეხზე ადგომით შეხვდა,
თუმცა მაშინვე ამბისა და გეზისა ჰკითხეს.
მან მთებს გახედა და იტყოდა სანამ რაიმეს,
ერთმა მოხუცმა:
- სადმიმავლობის არ ჰკითხო ქისტს და ერთგულების!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დილას კი,
თითქოს დერეფნული ჩარფუზანას ჯიბრზე,
გაშალა მან დერეფანში ხიჩონი
და თავის წესზე ილოცა თავფეხშიშველმა...
მერე ადგა,
გადააფერთხა ხიჩონი შეხურებულ მსოფლიო მოქალაქეთ
და მასპინძელს განმარტოება სთხოვა...

დედაჩემმა იმ დილასაც გადააქივლა წყალი დერეფანს...

თუმცა წაიღო სახლ-მამული,
არ გეგონოთ ჯავრი მჭირდეს შეჩვეული ჭირის - დერეფნის...
ვერ დავუკარგავ მამაჩემის პატივისცემას:
ერთმა ნიჭიერმა, მაგრამ ხელმოცარულმა მხატვარმა,
უარისმთქმელმა ამქვეყნიურ გარიგებებზე,
დერეფნის თავში გამოკვეთა მამაჩემის ბარელიეფი.
ხოლო მეორე გენიოსმა - ქეიფების სიტყვის ოსტატმა
პირდაპირ გულში ამოშანთა სიტყვები ესე:

*ძველთა სათოფურთ მაგივრად*
*შენ დიდი გასჭერ ფანჯარა.*
*მშვიდად იძინე, ახლები*
*მოგიგონებენ ჩქარ-ჩქარა!*
დალოცეს ძეგლი.
იყო შპროტი, თბილი პური, ცივი არაყი
და - პირველად - გაწელილი დუდუკის ჰანგი...

თქვენ რას გაიგებთ დერეფნისას -
ამ დერეფანში
ჩაუვლია ჩემს ბავშვობას, ყმაწვილკაცობას...
განა სხვა რამე დამიტოვა მამაჩემმა მემკვიდრეობით?
ამ დერეფანმა გამაცილა წიგნების გზაზეც -
ხელის ცეცებით გავუყევი ბიბლიოთეკათა ტალანებს...
ესეც დერეფანივით მშობლიური აღმოჩნდა -
უსახლკაროთა და უქონელთა თავშესაფარი,
შენთვის არას მკითხველი,
სხვისი დადგენილი კანონებით განწესებული...

ნეტა, ვის ესმის დერეფნისა,
ან ვინ განსაჯოს,
როცა დერეფნისტები და ანტიდერეფნისტები

ერთურთს მწარედ აგლეჯენ ყურებს?!...

ერთი მე მკითხეთ დერეფნისა,
როცა ამაოების ირონიით
მივჩერებივარ
მაშრიყისა და მაღრიბის ჭიანჭველებს...

არილი



ნანა ექვთიმიშვილი

# სახეები



მე გამახსენდა იმ მეეზოვის სახე, რამდენიმე წლის უკან ჩვენს ეზოში რომ შემოვიდოდა და ჩემი მოკრძალებული გამარჯობა ძალიან რომ უკვირდა. ის იყო საშუალო სიმაღლის ხმელ-ხმელი კაცი, რომელსაც კბილებში უფილტრო სიგარეტი გაერჭო და გადაბმული, აჩეჩილი წარბები უთამაშებდა. ეტყობოდა, ვიღაცას ძველი შარვალი ეჩუქებინა, კოჭებამდე ძლივს სწვდებოდა, ტოტები ჩამოეშალა და ძაფებშემორღვეული, გადანაკეცში მტვერჩარჩენილი შარვალი უცნაურად გამოიყურებოდა. ის გვიდა ნელა, აუჩქარებლად, დროდადრო დაბლა ჩახრილ თავს უკან გადააგდებდა და ამობერილ ხორხზე თითებს დაისვამდა. იმ დროს, როცა ის ჩვენი ეზოს დაგვას იწყებდა თუ ამთავრებდა, აღარ მახსოვს, მე ჩემი გატენილი ჩანთით სკოლაში მივდიოდი და საუზმის ბოლო ლუკმას ვყლაპავდი. ის შემომხედავდა, ჩემს გამარჯობაზე თავს ოდნავ დახრიდა და მერე ისევ საქმეს აგრძელებდა. მე ძალიან მომწონდა ის კაცი, რადგან მეგონა, რომ ყველა მეეზოვე და მათ შორის ისიც, იმისათვის გვიდა, რომ ასფალტისა და ფოთლების ჭუჭყში ვინიცობაა რაიმე ეპოვა, მაგრამ მალე უფროსი დისაგან შევიტყვე, რომ მათ, ისევე როგორც სხვებს, სამსახურში - ხელფასს უხდიდნენ.

მე გამახსენდა იმ კაცის სახე, რომელიც შარშან ჩვენთან ერთად ავიდა სამარშრუტო ტაქსში და მძღოლს ფეხზე დავდგებიო, სთხოვა. მაშინ ზამთარი იყო. კაცი კანკალებდა და გაუგებრად ბუტბუტებდა. მერე ველარ მოითმინა და მძღოლს უთხრა, ახლა ყველაფერი სხვანაირად წავა, ჩვენ გავიფიცეთ და საჩივარი შევიტანეთო. ეს რომ თქვა, სწორედ მაშინ დავაკვირდი მის სახეს. ჭაღარა თმა ყურებზე ჩამოფხატოდა, კეფასთან დატალღოდა და ბალახის ღეროებივით ყალყზე ედგა. ლაპარაკისას ღვინის სუნს აფრქვევდა და მერე ისე გაერთო, რომ იქვე, ცარიელ სკამზე ჩამოჯდა. მზერა მისი უწინდებო, შიშველი კოჭებისკენ გამექცა. მერე შეშინებულმა გავხედე, ხომ არ შემამჩნია-მეთქი. მაგრამ ის დიდ, თაფლისფერ თვალებს გამალებით ახამხამებდა და ამბობდა, რომ თუ ის საქმე გამოუვიდოდათ, კარგ ფულს იშოვნიდნენ, ისიც და სხვა გაფიცულებიც. უეცრად გაჩუმდა, მიხვდა, რომ არავინ



უსმენდა. ნიკაპი უკანკალებდა. კარი ღია იყო და ხალხი ნელ-ნელა ამოდიოდა. კაცს გამხდარი ფეხები შეეტყუპებინა, მხრები თითქმის მოეკეცა და კუთხეში მიყუჟულიყო, ვინმესთვის რომ არ შეეშალა ხელი. მძღოლი წინ იცქირებოდა, ხანდახან სარკისკენ გააპარებდა თვალს და მგზავრებს ათვალიერებდა. უცებ, კართან პატარა ქალი მოცუნცულდა, ცალ ხელში კალათა ეჭირა, მეორეში - პური. თავი შემოყო და რომ დაინახა ადგილი აღარ იყო, გაბრუნება დააპირა. მძღოლი მოტრიალდა და კუთხეში მიყუჟულ კაცს უთხრა: - დავაჯინოთ რა მეგობარო...

კაცი მაშინვე წამოხტა, ბოდიში მოიხადა და ქალს ადგილი დაუთმო. მერე ისევ ამოვიდა და ფეხზე დადგა. მძღოლი ჯიუტად იცქირებოდა წინ და მანქანას არ ქოქავდა. კარი ისევ გაიღო და ზურგით მიბჯენილი კაცი კინაღამ გადაყირავდა. ახლა ვიღაც ბიჭმა შემოყო თავი და მძღოლმა ანიშნა ამოდიო.

- დავუთმოთ რა, მეგობარო... - უთხრა კაცს.

ის ჩავიდა და კარი მზრუნველად მოგვიკეტა.

მე გამახსენდა იმ კაცის სახე, რომელიც ადრე, ბავშვობაში ვნახე, როცა დედამ მე და ჩემი და მამის მოსანახულებლად, ციხეში წაგვიყვანა.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მთავარი კარი რომ გაგვიღეს და კიბეზე დავეშვი, იმ კაცმა მაშინ შემამჩნია. იქვე მდგომებმა გამიცინეს და მითხრეს, მამაჩემი ჩემს პირდაპირ რომ ღია ჭიშკარი იყო, იქიდან გამოვიდოდა, იმ დერეფანს გაივლიდა, სადაც ვიდექი და მერე პატარა კიბით დაბლა ჩავიდოდა. დედა და ჩემი და უკვე ამ კიბეს მიუყვებოდნენ. დედას ვთხოვე, აქ დაველოდები-მეთქი, დერეფანში დავრჩი და ჭიშკრის იქით, ლამის კილომეტრზე ვჭიმავდი მზერას. მერე კიბის თავთან დავდექი და ქვევით ჩავიხედე. სიგარეტის კვამლი მეცა თვალებში. ხალხის ზუზუნი ყურებს მიგუბებდა. ჩავედი. ნესტი იყო. კიბე პატარა ქვაფენილზე მთავრდებოდა. ხელმარჯვნივ პატიმრებისათვის იყო შესასვლელი, პირდაპირ - მნახველებისათვის და მეც იქით გამიშვეს. შავტანსაცმლიანი, პაპიროსიანი კაცები თავიანთ შესასვლელთან იდგნენ, ჯარისკაცები კი სთხოვდნენ, ოთახში მოეცადათ. მათი ოთახი შუშის იყო და თითო სკამთან თითო ტელეფონი იდო, რომლითაც პატიმრები შუშის აქეთ მყოფებს უკავშირდებოდნენ. ამ ამბავმა ძალიან გამამხიარულა. დედა მოვძებნე და ჩვენი ყურმილი ავიღე. მერე დავდე. მერე ისევ ავიღე. უკვე აღარაფრის მრცხვენოდა და ხმამაღლა ვიძახდი: ალო! ალო! დედა კი მაწყნარებდა, თუმცა ამ დღეს იშვიათად მიშლიდა რამეს. უცებ შუშის იქიდან ის კაცი მომიახლოვდა და ყურმილი აიღო. შენ რა კარგი გოგო ხარ, რა გქვიაო, - მითხრა და გამიცინა. მისმა ოქროს კბილმა ცოტა დამაბნია. ზემოთ ვარჩიე ასვლა. კიბე სწრაფად ავირბინე. კაცებთან დავდექი. ვერ ვისვენებდი. ცოტა ხანში ის ოქროსკბილიანიც ამომყვა. მიცინოდა და ერთი სული ჰქონდა, ჩემს თმაზე ხელი გადაესვა. მერე ერთმა ჯარისკაცმა გასიებული თავი ახლოს მომიტანა, ღაბაბი თითქმის მხარზე ჩამომადო და შორს გამახედა - აი, მამაშენი მოდისო. შავი სილუეტი შევნიშნე. სიგარეტს ეწეოდა და ჩქარი ნაბიჯით მოეშურებოდა. მე არც ვაციე, არც ვაცხელე, რკინის გორგოლაჭებიანი ჭიშკრის ზოლს გადავაბიჯე და გავიქეცი.

- Там нельзя детка! - მომაძახეს, მაგრამ მაინც გავრბოდი.

- Вернись! - ისევ მიყვიროდა ღაბაბიანი ჯარისკაცი.

მამამ ხელში ამიყვანა და იმავე გზით უკან წამოვედით. კისერზე ხელი მაგრად მქონდა შემოხვეული და სიმაღლიდან ამაყად გადმოვყურებდი იქ მდგომებს. ჯარისკაცმა მამაჩემს გაუცინა და უთხრა:

- Ну и дочка у тебя...

მერე იმ ოქროსკბილიანმა ფეხზე წამავლო ხელი და მითხრა, შენი სახელი რატომ არ მითხარიო? გავჩუმდი. მამამ მთხოვა მეთქვა. შევასრულე. კაცი იცინოდა და ტუჩების გვერდებზე ორი რკალი ეხატებოდა. საფეთქელთან შრამი აჩნდა. ხოტორა, წვეტიან თავზე ხელს ისვამდა, შუბლს იჭმუხნიდა და გულწრფელად გამოთქვამდა შურს, ჩემნაირი გოგო რომ არ ჰყავდა.

მერე დაბლა ჩავედით. მამა პატიმრებთან შეაგზავნეს, მე - მნახველებთან.

ჩემი და ძალიან წყნარად იქცეოდა, ყურმილი არც აუღია. თუმცა დღემდე არ ვიცი, ამის სურვილი ჰქონდა თუ არა.

მამა ჯარისკაცებს უბღვერდა და პროტესტის ნიშნად ყურმილს ზედაც არ უყურებდა. სხვებმაც მიბაძეს. შუშის ოთახში ჯარისკაცები შევიდნენ. ატყდა აყალმაყალი და როგორც აქედან შევატყვეთ, ისინი მამას სთხოვდნენ, ცოტა ხანი მოეცადა.

როგორც იქნა, გაფუყული, თვალებჩასიებული, ფორმიანი უფროსი, რომელიც უზარმაზარ გასაღებების ასხმას აჩხრიალებდა, წავიდა. ახლა კი გაუღეს პატიმრებს კარი და ჩვენთან შემოუშვეს. ატყდა ხვევნა-კოცნა, ტირილი. მე აღარ ვცელქობდი და თვალებით იმ კაცს ვეძებდი. მალე შევამჩნიე. კუთხეში ჩამუხლულიყო და ეწეოდა. ის აღარ მიცქერდა, აღარ ოხუნჯობდა. მოგვიანებით მამამ დედა მისკენ გაახედა და ყური მოვკარი, მაგას ცოლი გაექცაო, რომ უთხრა. კარგად ვერ გავიგე. კარგად კი არა საერთოდ ვერ გავიგე...

წამოსვლისას მამამ წერილი გამოგვატანა. იმ კაცის ყოფილა თურმე. თბილისში ჩასვლისას რომელიმე საფოსტო ყუთში უნდა ჩაგვეგდო.

გზაში დედას რამდენჯერმე ვთხოვე წერილი ეჩვენებინა. გაკრული ხელით დაწერილ მისამართს დავაკვირდი, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე.

მე გამახსენდა იმ კაცის სახე, რომელიც ერთხელ, მეტროთი სახლში რომ მივდიოდი, მოულოდნელად გაჩნდა და მოუსვენრობით ჩემი ყურადღება მიიქცია. ის ერთ ადგილზე ცქმუტავდა და გაქონილ ტუჩებს ილოკავდა. სქელი, დაბამბული სვიტერი ეცვა, ბუწუწები ჩემს ქურთუკს ეხებოდა. მე კი ძალიან მეშლებოდა ნერვები. კაცი პირის წკლაპუნს მოყვა. ამან სულ გამაგიჟა. სწრაფად მოვშორდი და ვაგონის სხვა კართან დავდექი. ის არც მამჩნევდა, ერთხელაც არ შემოუხედავს, მაგრამ მალე უკან გამომყვა, გვერდით მომადგა და ისევ ატეხა პირის წკლაპუნი. მერე ვაგონის ბოლოსკენ გავიქეცი და დავჯექი. ქურთუკის საყელო ავიწიე, ჩავძვერი და თვალები მოვხუჭე, მაგრამ ზედ ყურთან ისევ წკლაპუნი ჩამესმა. თავი ავწიე. გვერდით იჯდა. არ მიყურებდა, თვალები გაეშტერებინა და პირს ისევ მონდომებით აწკლაპუნებდა. მატარებელი გაჩერდა, წამოვხტი და გარეთ გავვარდი. ამოვისუნთქე. კაცი დაკეტილ კარს მოადგა და შემომხედა. პირი მოეკუმა. მიყურებდა. მატარებელი დაიძრა და თვალს მიეფარა.

მე გამახსენდა იმ კაცის სახე, რომელიც ამ ზამთარს დავინახე, თუმცა ზურგიდან, პროფილში მოვკარი თვალი და ისიც რამდენიმე წამით. პატარა ტანის, ათიოდე წლის ბიჭი მისდევდა. შვილი იყო, ალბათ. უკან მივყვებოდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის ვერ ვწეოდი.

შოკოლადებს დიდხანს უტრიალეს და ძლივს ერთი ამოარჩიეს. ამასობაში გავუსწარი, მერე დამეწიენ და ისევ ჩემს წინ აღმოჩნდნენ. უცნიდან კაცს ძალიან ვიწრო მხრები მოუჩანდა. თხელი ქურთუკი თეძოებზე შემოტმასნოდა და იქიდან სქელი, დაბამბული შალის ჯემპრი გამოჩროდა. გამხდარ ფეხებს მჩატედ ადგამდა და თასმები ძირს დასთრევდა. თავი ჩაექინდრა, ეტყობოდა, შოკოლადს ხსნიდა. უცებ ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- რამდენი მოგიტეხო?

ბიჭმა არც შეხედა, ისე უპასუხა: რამდენიც გემეტება და ისევ ჩუმად განაგრძეს გზა.

მინდოდა კაცის სახე დამენახა: სწორი ცხვირი, მეჩხერი წვერი, წვრილი თვალები, თხელი თმა... და როცა მთლიანად წარმოვიდგინე და დავიმახსოვრე, ისინი აღარსად ჩანდნენ.

მე გამახსენდა იმ კაცის სახე, რომელიც ორიოდ კვირის წინ, ზღვის ნაპირზე რომ მივსეირნობდი, მაშინ ვნახე.

ირგვლივ უამრავი ადამიანი ტრიალებდა, ქოლგებით, ნაყინებით, საზამთროებით...

კაცს სისხლიანი სახე ჰქონდა, კრიჭა შეეკრა და ჩაწიჯნიკებული კბილებით საკუთარი პერანგის ნაგლეჯი ეკავა. თვალები გადმოექაჩა და მუშტებს სახეში და თავში იცემდა. მერე იღრიალა და ტანსაცმელი შემოიფლითა. ნელ-ნელა გაშიშვლდა. არაფრის შერცხვა. ზღვისკენ გატანტალდა და ტალღებში ჩაეშვა. ბავშვები იცინოდნენ და საზამთროს ქერქებს ესროდნენ...

მე გამახსენდა იმ კაცის სიკვდილთან მებრძოლი სახე, რომელიც რამდენიმე დღის წინ ვნახე. საწოლის კუთხეში ვიჯექი და წყნარად ვუყურებდი. ის არ იძვროდა და სხვათა შორის, მე მგონი ქალი იყო. საწოლის მეორე მხარეს კი ვიღაც ახალგაზრდა კაცი იჯდა და ცდილობდა მომაკვდავისათვის რაიმე ეთქმევინებინა.

- რა გინდა რომ მითხრა?

ქალი დუმდა. ნელ-ნელა ვამჩნევდი ასაკსა და ნაოჭებს. მისი ტუჩები სიბერეს შეეთრია პირის ღრუში. დაშრეტილი თვალები ერთი წერტილისთვის მიეშტერებინა. თხელ, კეხიან ცხვირს ლამფის შუქზე სინათლე გასდიოდა.

- რა გინდა, რომ მითხრა? - არ ეშვებოდა კაცი. - გინდა მითხრა, რომ შენი ნივთები მანოლას გავატანო?

ქალი დუმდა.

- თუ გინდა მითხრა, რომ ჩემთან განშორების გეშინია?

ქალი არ იძვროდა და მეც ფრთხილად ვუსმენდი საწოლზე ჩამომჯდარ ღიპიან კაცს.

- იქნებ, გინდა მითხრა, რომ სიკვდილის გეშინია? - თითქმის ეჯაჯგურებოდა კაცი. - ჰა, არ გეშინია? იქნებ მოგაწყინე თავი, გავჩუმდე? ჰა... არ გავჩუმდე?

კაცმა მელოტ თავზე ხელები გადაისვა. ოფლი ჩაიფერთხა.

- თუ გინდა, მანოლას მოგიყვან, მაგრამ ის თავის ქმართანაა და დღედღეზე ბავშვს გააჩენს. მაგრამ, თუ მთხოვ, მოგიყვან...

ქალი იწვა და ხმას არ იღებდა, იშვიათად ახამხამებდა გაქვავებულ თვალებს.

კაცი კისერს ცხვრისახოცით იზელდა და გაპარტყნილ ცხვირს იჭმუხნიდა. მერე ბნელ ჭერს აღაპყრო თვალები და ჩაიჩურჩულა:

- უფ... დავიღალე მე და ჩემმა ღმერთმა...

უცებ ქალი გამოფხიზლდა, გაჭირვებით წამოიწია და პირიააცმაცუნა.

- რა... რა!... - გადაირია კაცი, - მითხარი, აბა... მითხარი!..

ქალი დაწყნარდა და ისევ გაირინდა.

- მითხარი, გეხვეწები, რა დაგიშავე... რა გინდოდა გეთქვა! დავიღალე მე და ჩემმა ღმერთმა, - გაიმეორა კაცმა და ამ სიტყვებს ჩაუკვირდა:

- გინდოდა გეთქვა, რომ დავიღალე და წავიდე? თუ შენ დაიღალე? თუ მანოლა დაიღალა... მე და ჩემმა ღმერთმა... - ისევ დამარცვლა კაცმა.

- თუ, არ მოგეწონა ასე რომ ვთქვათ... რა შუაშია ჩემი ღმერთი, ღმერთი ერთია, ხომ ასეა არა? თუ ღმერთი არ გწამს, თუ გწამს, მითხარი, მითხარი-მეთქი! - იღრიალა კაცმა და ქალს გამხდარ ყელში ეცა.

მე შემეშინდა და გამოვიქეცი.

და მე გამახსენდა ჩემი სიზმარი, რომელიც წუხელ ვნახე:

მე მივდიოდი სადღაც და ყველა შემხვედრის სახეს ჯიუტად ვიმახსოვრებდი:

მე შევხედე ქალს, რომელსაც ჟირაფივით გრძელ კისერზე მსხვილი მძივები შემოეხვია და დავიმახსოვრე.

მე შევხედე კაცს, რომელიც მტვერში გაგორებულ პამიდვრებს კრეფდა და დავიმახსოვრე.

მე შევხედე კაცს, რომელიც მის წინ მდგომი ქალის დუნდულებს მიშტერებოდა და დავიმახსოვრე.

მე შევხედე ქალს, რომელსაც ფეხები დიდი, თეთრი ნაჭრით საგულდაგულოდ შემოეხვია და მერე პატარა, შავ ფეხსაცმელებში წაეკვეტებინა და დავიმახსოვრე.

მე შევხედე ბავშვს, რომელსაც ხარბი თვალები ჰქონდა და ძალიან ნელა მიირთმევდა ნაყინს და დავიმახსოვრე.

და უცებ მე შევხედე კაცს, რომელიც ჩემს პირდაპირ იდგა და ჯიუტად იმახსოვრებდა ჩემს სახეს. მერე კი ზურგი შემაქცია და გაიქცა. გავეკიდე. დიდხანს ვსდიე. ძალიან დავიღალე. ღობესთან წავაქციე და დანა ამოვიღე.

მას თითქმის ლამაზი სახე ჰქონდა - მრგვალი, ჭკვიანი თვალები, საფეთქელთან ძარღვი უთამაშებდა, მძიმედ სუნთქავდა და გაოფლილ შუბლზე ხელს ნელ-ნელა და ფრთხილად ისვამდა. მე ვუყურებდი მის სახეს...

- არ მომკლა... - მთხოვა და ცრემლი გადმოუვარდა.

მე კი ვუპასუხე, რომ არ მომეკლა, მას ძალიან, ძალიან გაუჭირდებოდა.

12.08.97.

არილი



საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ინახავდა დიკინსონი "პორტფელში" თავის პოეზიას

ლელა სამნიაშვილი

ბიოგრაფია, როგორც პოეტის შემოქმედების ძირეულად განმსაზღვრელი თუ არა, მისი განუყოფელი ნაწილი, პოეზიის სრულყოფილად გაგებისათვის ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ემილი დიკინსონის შემთხვევაში, უდავოა, რომ პოეტის ლექსები მისი ბიოგრაფიის ცოდნის გარეშეც კარგად იკითხება, რადგან ისინი ისეთ მიკროსამყაროებზე ამახვილებენ ჩვენს ყურადღებას, რომლებიც ეფექტის მისაღწევად არანაირ სიუჟეტს არ საჭიროებენ. და მაინც, დიკინსონის ორსტრიქონიანი სიმბოლოებისა და დეფისების ნაკადით გადმოცემული ლექსები სრულად შეესაბამება პოეტის ბიოგრაფიას, რომელიც მიუხედავად უთვალავი ვერსიისა, ყველაზე ზუსტად დღემდე რამდენიმე ფაქტში თავსდება, - რომ ეს ბიოგრაფია იწყება 1830 წელს ამჰერსტში, იურისტის ოჯახში და აქვე მთავრდება 1886 წელს; რომ ემილიმ დაამთავრა ქალთა სემინარია, 30 წლის ასაკიდან შინ ჩაიკეტა და მთელი თავისი დარჩენილი წლები პოეზიას მიუძღვნა. დიკინსონის ბიოგრაფიისა და პოეზიის უსიუჟეტობა - თანამედროვე პოსტმოდერნთან ასოცირება - ლიტერატურის პერიოდიზაციის პირობითობის მაგალითადაც მივიჩნიოთ. ერთმანეთისგან სრულიად კონტრასტული უიტმენი და დიკინსონი - "ბალახის ფოთლების" მასშტაბური მსოფლმხედველობითა და ორსტრიქონიან ლექსებად დანაწევრებული ემოციებით - XIX საუკუნის ამერიკულ პოეზიაში ყველაზე დიდი ნოვატორები არიან. აქედან - დიკინსონმა საზოგადოებისგან იზოლაციით იგივე აქცენტი გააკეთა სამყაროს ფრაგმენტულ აღქმაზე, როგორსაც XX საუკუნის დასასრულის ხელოვნება აკეთებს სრულიად საპირისპირო მიზეზის გამო. ჩვენი თანამედროვე ადამიანის ცხოვრება სიუჟეტურობას კარგავს საზოგადოებრივი ფორმაციების ზრდისა და მათში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების ფონზე. გადაჭარბებული აქტივობის გამო ჩვენ მცირეოდენ მანძილზე თუ ვინარჩუნებთ კონკრეტულ მიზანსწრაფვას; სილამაზის აღქმა და ხელოვნებად გარდაქმნა კი ფრაგმენტზე ყურადღების გამახვილებით თუ ხდება შესაძლებელი. XIX საუკუნის ამერიკაში საზოგადოება თითქოს ჯერ კიდევ არ აფერხებდა ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების სიუჟეტურ აღქმას, მაგრამ დიკინსონმა ამ საზოგადოებისაგან გაუცხოებით უარყო ის, რისი უარყოფაც საუკუნის შემდეგ საზოგადოებაში ჩაკარგვის პირობებში გახდა საჭირო. როგორი ზედაპირულიც არ უნდა ჩანდეს დიკინსონის პოეზიასა და პოსტმოდერნულ აზროვნებას შორის კავშირების ძიება, - ტრაგიკულის უარყოფა კიდევ ერთი საინტერესო მომენტია, რომელიც ამ პოეზიას უკიდურესად თანამედროვე ხელოვნების ფილოსოფიას უსადაგებს. აღვნიშნოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ დიკინსონი თავის ლექსებში ძალიან ხშირად მიმართავს სიკვდილის თემას, თუმცა ამას მუდამ ამაღლებულის, მაგრამ არა ტრაგიკულის განცდით აკეთებს:

"სიკვდილს ისეთი ამაყი შეხვდა, -
შევრცხვით საკუთარ თავთან;
შეუცნობელი - ჩვენ რომ ვეკრძალვით, -
მისთვის - სასურველს ჰგავდა.
იგი ელტვოდა იდუმალ მხარეს -
ჩვენს თავს ფიქრსაც რომ ვუშლით,
და უნებურად - წუხილის განცდა -
გადაიზარდა - შურში".

თვითონ დიკინსონის პიროვნებასაც, მიუხედავად პოეტის მიერ სრულ მარტოობაში გატარებული წლებისა, ძნელად თუ ვუწოდებთ ტრაგიკულს. თუმცაღა, დიკინსონის ბიოგრაფიების უმრავლესობა ცდილობს, შეთხზას მი-



თი უიმედოდ შეყვარებული პოეტი ქალის შესახებ. მისი ლექსების ადრესატებად სხვადასხვა შემთხვევაში მოჰყავთ სხვადასხვა პიროვნებები - კოლეჯის ბიჭები, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები, ქალაქის მოძღვარი, მისი მეგობარი გოგონების ძმები და ზოგჯერ მათი ოფიციალური საქმროებიც კი. თუმცა, ამ ლექსების სტრიქონები, მკვლევართა აზრით, უმეტესად პლატონურ ურთიერთობებზეა აგებული. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, დიკინსონის მრავალი ლექსი ეძღვნება მის უიღბლო სასიყვარულო თავგადასავალს უცნობ ცოლიან მამაკაცთან. ემილი მას 1854 წლის გაზაფხულზე შეხვდა ფილადელფიაში. რადგან მათ ვერ შეძლეს მაშინდელი ზნეობრივი კანონების დარღვევა, ემილი მამის სახლში დაბრუნდა და შინ ჩაიკეტა, ხოლო მისი რჩეული თავისი ოჯახით კონტინენტის მეორე მხარეს გადასახლდა.

სხვა ვერსიის თანახმად, პოეტს დაეღუპა ორი მეგობარი. ამის მტკიცებულებად ხშირად მოჰყავთ ლექსები, სადაც "ორჯერ გადატანილ სიკვდილზეა" საუბარი, მაგრამ რომლებიც ამ შინაარსის მქონე სტრიქონზე სრულიად ორიგინალურად ვითარდებიან:

"ჩემი სიცოცხლე ორჯერ დასრულდა დასასრულამდე
და ვიცი, - რჩება ერთიც,
და უკვდავებამ - ფარდა მესამეს
უნდა ახადოს ჩემთვის.
ეს გიგანტური, უთქმელი გრძნობა -
იმ ორის მსგავსად მიცდის, -
სიკვდილი - ჩვენ ხომ სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე -

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა არაფერი ვიცით".

დიკინსონის პირველი, საყრდენ მასალად გამოსადეგი ბიოგრაფია 1938 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო ჯორჯ ფრისბი უიჩერის "ეს იყო პოეტი" ("This was a Poet", G.Withcher), სადაც მოცემულია ორი რეალური პიროვნების სახელი, რომლებიც ძვირფასი იყო დიკინსონისათვის - ბენჯამინ ფრანკლინ ნიუტონი, - მამამისის სასამართლო ფირმის ადვოკატი და ჩარლზ უოდსვორზი - პრესბიტერიანელი მინისტრი, მაგრამ უიჩერი თავს არიდებს ემილთან რომელიმე მათგანის სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობით დაკავშირებას.

დიკინსონის იდუმალ რჩეულად ასახელებენ სამუელ ბაულსსაც - "Springfield Republican"-ის რედაქტორსა და დიკინსონების ოჯახის მეგობარს. დიკინსონის ნაწერებში მიკვლეულია მისი წერილების რამდენიმე შავი პირი, რომლებიც ეძღვნება ვინმე "მეუფეს" და მეტად რთულ ემოციურ და რიტორიკულ შინაარსს შეიცავენ. "მეუფეში" მკვლევარები სამუელ ბაულსს ხედავენ. ფიქრობენ, რომ ეს წერილები არ გაგზავნილა, არამედ - მხოლოდ ბაულსის გულგრილობის გამო გამოწვეული ტკივილით დაიწერა. ისინი საფუძვლად დაედო უფრო გვიანდელ ლექსებსა და წერილებს, რომლებიც ბაულსმა დიკინსონისგან მიიღო.

ზოგიერთი მკვლევარი კი თვლის, რომ დიკინსონს ჰქონდა ლესბიანური სასიყვარულო კავშირები, რის საბუთადაც მოჰყავთ სატრფიალო განწყობის ლექსები, რომლებიც აშკარად ქალს (ან ქალებს) ეძღვნებათ.

უკანასკნელი კანდიდატურა ემილის სატრფოსი რიჩარდ სალტერ დიკინსონია - პოეტის შორეული ნათესავი.

1870-იან წლებში კი ემილი ორმხრივი სიყვარულის ნიშნად - მასაჩუსეტსის შტატის მოსამართლის, ქვრივის, მამამისის მეგობრის, ოტის პ.ლორდის ნაჩუქარ ბეჭედს ატარებდა.

1884 წელს ოტის ლორდის სიკვდილი დიკინსონისთვის მძიმე ტრავმა იყო. 1886 წელს კი პოეტი თვითონაც ავად გახდა და გარდაიცვალა.

დიკინსონის სხვადასხვა ბიოგრაფიების საუკეთესო შეჯამება 1974 წელს გააკეთა რიჩარდ სივოლსმა.

ემილი დიკინსონის შესახებ არსებობს ნაშრომები, სადაც პოეტის საზოგადოებისგან იზოლაციის მიზეზად არა უიღბლო სიყვარული, არამედ - დედის გარდაცვალების შემდეგ დაწყებული სულიერი დეპრესია მოიაზრება. სხვა ვერსიის თანახმად, დიკინსონი სახლში ფიზიკური ნაკლის გამო ჩაიკეტა, რაშიც მისი მხედველობის დეფექტს გულისხმობენ. დიკინსონის, მისი დისა და დედის ნახატების კვლევის შედეგად ასკვნიან, რომ მხედველობის დეფექტი სამივე ქალს ჰქონდა.

ზოგი ნაშრომი აკრიტიკებს დიკინსონის ლექსების საფუძველზე პოეტის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების ძიებას.

არსებობს თეორია, რომ დიკინსონის გარე სამყაროსგან იზოლაცია იყო პროტესტი მე-19 საუკუნის ამერიკის



თომას ჰიგინსონი და სამუელ ბაულსი




საზოგადოებისადმი, სადაც ქალი-პოეტი არ შეიძლებოდა ღირსეულად ყოფილიყო შეფასებული.

ემილი დიკინსონის მეამბოხე ბუნება უპირველესად თვითონ მის ლექსებში მჟღავნდება:

"მე - არავინ ვარ. შენ?! - შენც არავინ?
მაშ, ჩვენ ორნი ვართ, - სული იხარებს,
ოღონდ ნუ იტყვი, თორემ ორივეს
შეგვიძულებენ და გაგვრიყავენ.
მოსაწყენია - იყო ვიღაცა -
სხვა ყველას მსგავსი - ვინც ცხოვრობს, დავობს,
და ბაყაყივით - შენი სახელი -
ყიყინით მოსდო სანუკვარ ჭაობს".

ემილის სიმშვიდე, სიმარტოვე, გაუხმაურებელი ლექსები სწორედ რომ ნამდვილი ამბოხებაა. დიკინსონი ხომ ამერიკულ პოეზიაში ფაქტობრივად პირველი იყო, ვინც წესებისა და ნიმუშების წინააღმდეგ წავიდა და თავისი ლექსი იმ პერიოდისათვის თეორიულად სრულიად გაუმართლებელი - ელიფსური აზროვნებით სავსე, ხშირად გაურითმავი, ფილოსოფიურ მსჯელობათა და თითქოსდა მარტივი, მაგრამ მეტად ორიგინალურად გააზრებული სიმბოლოებით მანიპულირებული გახადა.

თომას ჰიგინსონი, - დიკინსონის თანამედროვე ყველაზე უფრო ლიბერალურად მოაზროვნე კრიტიკოსი და ესეისტი, რომელსაც ემილიმ თავისი ლექსები გაუგზავნა, რათა გაეგო "სუნთქავდნენ თუ არა ისინი", - აკრიტიკებდა მას, რადგან პოეტი "თავს ნაკლებად უწევდა კონტროლს"; რადგან ზერელედ ეძცეოდა თავის "პატარა შეცდომებს" და ამავე დროს, არასოდეს არ უშვებდა "დიდ შეცდომებს". ამ "შეცდომათა" გამო, - დიკინსონის რამდენიმე მცდელობა სიცოცხლეშივე გამოექვეყნებინა ლექსები, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მარცხით დასრულდა.

მოგვიანებით, ჰიგინსონი ემილის პოეზიის ტრიუმფს განიხილავს, როგორც "პორტფელის პოეზიის", ანუ საკუთარი ემოციებისგან განმუხტვის მიზნით და არა დასაბეჭდად დაწერილი ლექსების ტრიუმფს. 1891 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში კი ჰიგინსონი წერს, რომ პირველივე ოთხმა ლექსმა, რომელიც მას ემილიმ გაუგზავნა, დატოვა შთაბეჭდილება "სულმთლად ახალი, ორიგინალური პოეტური ნიჭისა"; მაგრამ დიკინსონის სიცოცხლეში ჰიგინსონმა ვერ მოახერხა "განესაზღვრა ადგილი ამ ლექსებისათვის ამერიკულ ლიტერატურაში". ის თავად არ იყო მზად ამ "ნამდვილი, მაგრამ უცნაური" პოეზიის გამოქვეყნებისათვის.

თვითონ დიკინსონის ნაწერებიდან ჩანს, რომ იგი თავს ყოველთვის სერიოზულ პოეტად მიიჩნევდა.

დიკინსონს ძირეულად არ შეუსწავლია მე-19 საუკუნის ამერიკული და ევროპული ლიტერატურის ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მიღწევა, მაგრამ თავისი აზრი ჰქონდა თანამედროვეების - უიტმენის, ედგარ პოს, ჰენრი ჯეიმსის, ლონგფელოს შესახებ.

პოეზია დიკინსონისათვის იმდენად იშვიათი რამ იყო, რომ მხოლოდ თავის თავსა და სუზან გილბერტს თვლიდა პოეტებად.

“თუ მე ვკითხულობ წიგნს და სხეული ისე მეთოშება, რომ ვერანაირი ცეცხლი ვერ გამათბობს, მე ვიცი, რომ ეს პოეზიაა. თუ მე ფიზიკურად ვგრძნობ, თითქოს თავის ქალა ამხადეს, მე ვიცი, რომ ეს პოეზიაა”, - წერდა დიკინსონი.

პოეტმა სიცოცხლეში იზოლირებული არსებობა - ლიტერატურული და საერთოდ, - საზოგადოებისგან იმიტომ აირჩია, რომ თავისი, ჭეშმარიტი ხელოვანის ინსტინქტით მიგნებული, სრულიად ახალი ფორმისა და ლაკონურობის ლექსები გადაერჩინა ამ საზოგადოების მიერ დაკანონებული ფორმულებით გადაწერისაგან. ემილი წერდა უბრალო რამეებზე - ფუტკრებზე, ჩიტებზე, ღმერთზე, სიკვდილზე, სიყვარულზე, - ოღონდ ისე, თითქოს უწინ ამაზე დაწერილი არც ერთი სტრიქონი არ წაეკითხოს.

დიკინსონი ბავშვობიდან მოსიყვარულე, სიცოცხლით სავსე, მაგრამ - მეამბოხე იყო. თუმცა არ იზიარებდა ოჯახის ტრადიციულ რელიგიურ შეხედულებებს, მამის, ამჰერსტის კოლეჯის რექტორის - ედუარდ დიკინსონის თხოვნით საფუძვლიანად კითხულობდა ბიბლიას. მისი ბევრი ლექსი ძალიან ჰგავს რელიგიურ ჰიმნებს. ამავე დროს - უფროსი ძმა და მეგობრები ადრეულ ასაკში ამარაგებდნენ ბრაუნინგის, ჰოთორნის, კოლრიჯის, კუპერისა და კიტსის წიგნებით. ემილი წლების მანძილზე ყველაზე ახლოს დედასთან და უმცროს დასთან, ლავინიასთან იყო, რომელმაც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინა უფროსი დის 1800-მდე ლექსის თანმიმდევრულად დაწყობილი 60 შეკვრა. ემილი თავის წერილებში ხაზს უსვამდა, რომ “დედისგან აბსოლუტურად განსხვავდება”; რომ “დედა - ჩვეულებრივად ფიქრობს და ჩვეულებრივ კანონებს ემორჩილება” და ამის გამო თვითონ “თავს ისე გრძნობს, თითქოს დედამისის შვილი არც იყოს. თითქოს “დედა არასოდეს არ ჰყოლია”. “მე არ ვიცი, როგორ გავიზარდო” - წერს ემილი. მას არ სურს - დედას დაემსგავსოს, - მისნაირად სწამდეს, გათხოვდეს, ქარგოს, სტუმარი გაართოს. თუმცა, წინდაწინვე იცის, რომ ამ პროტესტის გამო, შეიძლება მარტო დარჩეს. დედის უარყოფა არის უარყოფა დედის ხვედრისა. როდესაც ემილის მეგობარს პატარა ქალიშვილი შეეძინა, პოეტმა დღიურში ჩანაწერი გააკეთა “ბავშვებზე დიდი იმედის დამყარება შეიძლება. თუ იცოცხლეს - საზოგადოების ორნამენტები იქნებიან”. “ლამაზი გოგონები - გულუბრყვილონი და ბედნიერნი - არადა, შეიძლება ძალიან საინტერესოებიც იყვნენ, - მასწავლებელი რომ ჰყავდეთ”. მაგრამ თვითონაც ხომ საკუთარი პოეტური ნიჭის გარდა მასწავლებელი არ ჰყოლია.

მიუხედავად თავისი პროტესტისა, ემილი დიკინსონი თავისი ცხოვრებით, აზროვნებით, პოეზიით მუდამ ქალიშვილის როლს თამაშობდა, - ის მუდამ ურჩი, მაგრამ, ამავე დროს, მოსიყვარულე გოგონა იყო. მამაკაცებს - მამას, მასწავლებლებს, რედაქტორებს, ღმერთს - ის მამების სახედ აღიქვამს. მათზე წერს, როგორც თვითკმაყოფილ და საქმით გართულ არსებებზე, არადა ისინი არც თუ ისე ჭკვიანები არიანო”:

“ღმერთი ნამდვილად შურიანია -
არ სურს ირწმუნოს ის, რასაც ხედავს -
რომ ჩვენ - მას კი არ ვეთამაშებით,
არამედ - ვართობთ ერთმანეთს - დღემდე”.

მაგრამ დიკინსონი არასოდეს ტოვებს იმას, რასაც “მამის სახლს” უწოდებს, რადგან გულის სიღრმეში თვლის, რომ ეს სახლი, ეს სამყარო მას იმპულსს აძლევს ლექსების წერისათვის. პოეზია კი - ბედნიერებაა და მისი ამბოხება არ შეიძლება დასრულდეს შეშლილობით, სასოწარკვეთით და თვითმკვლელობით.

დიკინსონს თავისი ლექსების ხმამაღლა წასაკითხად არასოდეს უძებნია ლიტერატურული წრეები, თანამგრძნობი ქალი-პოეტები, ის თვლიდა, რომ მის თანამედროვე საზოგადოებაში ჩუმად ყოფნა ნამდვილი პოეზიის გადარჩენისათვის ერთადერთი შანსია. მას სწამდა, რომ დიდი პოეტია, რომ თუ აღიარება არა აქვს, ეს მის საკეთილდღეოდ ხდება. “ღმერთმა უბოძა ყველა ფრინველს პურის ნატეხი / და მე კი მხოლოდ ერთი ნამცეცი /ვშიმშილობ, რათა არც ის შევჭამო / პირს არ ვაკარებ - მტანჯველ სიმდიდრეს”. ჩვეულებრივ საკვებს ის უარყოფს. უბრალო შექება მისთვის ჩვეულებრივი საკვებია. თანამედროვე ქალი-პოეტის სტატუსი საფრთხეს უქმნის მის ამბიციას, იყოს “დიდი, ოდესმე”. ეს მისი სტრატეგიაა - იშიმშილოს და გაუცხოებულად დარჩეს, რათა თხზას პოეზია. და მისი პოეზია, და ნებისმიერი ერთი ლექსი - ემილის ბიოგრაფიაა:

“ხმამაღლა ბრძოლა სიმამაცეა,
მაგრამ ჭრილობა უფრო მწველი აქვს -
ვინც მარტოდმარტო მიუძლვის მკერდით
მტრისაკენ - ჯვრის კავალერიას;
ვინც იმარჯვებს და არ განდიდდება,
ვინც ბრძოლის ველზე ეცემა მარტო
და მომაკვდავი ვისი თვალებიც -
მშობლიურ ხედებს ამაოდ ნატრობს.
გვჯერა - ზეცაში ელით მსვლელობა -
ანგელოზების მდუმარე გუნდის
მწკრივს შემატებენ ღვთაებრივ ნაბიჯს
და თოვლის ძვირფას, უნათლეს მუნდირს”.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაულ ცელანი



* * *

გადაარჩიე ნუშისგულები.
გადაარჩიე, და ყველაზე უმწარესი, ძილს რომ გიფრთხობდა,
მე გადმომეცი.

თვალს რომ ახელდი და ჯერ ვერვინ ვერ გხედავდა, მე შენს
მზერას ვეძებდი უკვე
და საიდუმლო ძაფის ბოლოს ჩემსკენ ვითრევდი,
რომელსაც ცვარი მოჰყვებოდა შენი ფიქრების
და წვეთ-წვეთობით ავსებდა ჭურჭელს,
სადაც ესვენენ უცხოთაგან საიმედოდ დაფარული ჩემი სიტყვები.

და იქ პოვებდი შენს ერთადერთ ნამდვილ სახელს, შენად
გაჩენილს,
და საკუთარი თავისაკენ უდრტვინველად მიაბიჯებდი.
მსუბუქად ვცემდი ჩემს უროებს მოწკრიალე გრდემლკადონზე
შენი სიჩუმის
და შენსკენმსწრაფი ჩემი სმენა
კვდებოდა და გეხვეოდა მკვდარი ხელებით,
მერე კი, ერთად მიმავალნი, საღამოს კვეთდით.

მე გადმომეცი უმწარესი,
გადაარჩიე ნუშისგულები.

## ცინერარია

კედელს შხუილით გადაევლო გადამფრენი შუბების გუნდი.
ამოგვყლორტია გულებიდან წყალმცენარენი, ჩვენზემოთ კი
უკვე ზღვა არის.
შუადღის ვარსკვლავ-მედუზების სინათლისგან გადამწვანდა
ფსკერზე გორაკი -
დაცლილი არის შხამისაგან მისი სიმწვანე, როგორც თვალი,
ახელილი სიკვდილის იქით...
ხელისგულებით დიდხანს ვხაპეთ ძირგამსკდარი ნავიდან წყალი:
წყალი, რომელიც სიბნელიდან ამოინთხა და სატევრით ველარ
გადაჭრი.
მახსოვს, რაღაცას მიმღეროდი, და ჩვენ ერთად გადავწანით
ნისლში მესერი:
ვინ იცის, იქნებ გულისცემამ ხელახლა გაგვთქვას,
მოგვაკითხავს როცა ჯალათი;
ვინ იცის, იქნებ შებარბაცდეს ჩვენზემოთ კოშკი და ყიჟინით
სახრჩობელა წამოიმართოს;
ვინ იცის, იქნებ სახე წვერმა დაგვისახიჩროს ან გაწითლდეს
ქერა თმა შენი.
ამოგვყლორტია გულებიდან წყალმცენარენი, ზემოთ -
ზღვა არის.

## ბრეტონის ნაპირი

თავმოყრილია ყველაფერი, რაც კი გვინახავს,
რათა მე და შენ გვითხრას, მშვიდობით.
ზღვა, მიწისაკენ ღამეების მსროლელი ჩვენთვის,
ქვიშა, ჩვენსავით გაბნეული იმ ღამეებში
და ჟანგწითელი ფერის ღერო მთის მანანასი,
რომელშიც პირველად შეგვემთხვა სამყარო.

* * *

მოხვედი ჩემთან საათებით სავსე პეშვებით, მე კი გითხარი:
თაფლისფერი არა გაქვს თმები.

ტანჯვის სასწორზე დააფინე შენი ნაწნავი, მან გადაწონა
სიმძიმე ჩემი.

ზღვით მოსულებმა, მათ დატვირთეს გემბანები და წაიღეს
გასაყიდად
ნეტარების ბაზრებზე თმები -

შენ შემომცინე სიშორიდან, მე კი, ჯერაც მსუბუქ გარსში
შეყუჟული,
შენსკენ ავტირდი.
შემოგტიროდი: თაფლისფერი არა გაქვს თმები! ისინი ზღვის
წყალს,
ხოლო შენ კი ნაწნავებს ყიდი...

შენ აჩურჩულდი: მათ აავსეს სამყარო ჩემით, მე დაგიტოვე
გულისხევში
ვიწრო ბილიკი!

თქვი: აიფარე წელიწადთა ხმელი ფოთოლი - უკვე დრო არის,
რომ მოხვიდე
და მეამბორო!

თაფლისფერია წელიწადთა ხმელი ფოთოლი, ხოლო შენი
თმა - არა...

## ნაჯახებით მოთამაშე

შვიდი საათი ღამეში და ამდენივე სიფხიზლის წელი,
ნაჯახებით მოთამაშე,
წევხარ შენ ჩრდილში აღმსდგარი მკვდრების
- ო ხეები, რომელიც შენ არ მოგიჩეხავს, -
თავით ართქმულის ბრწყინვალებისკენ,
ხოლო ფეხებით - სისაწყლისკენ იმის, რაც ითქმის.
წევხარ შენ ასე, ნაჯახებით მოთამაშე,
და თანდათან ელვარდები, როგორც ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარიანა

თმა იასამნად აღარ გიყვავის, შენი სახე - სარკის შუშაა.
როგორც სოდომი ბაბილონისკენ, ერთი თვალიდან მეორესკენ
იწევს ღრუბელი.
კოშკს ისე მოწყვეტს, როგორც ფოთოლს, და გოგირდის
ბუჩქნარივით აბუყბუყდება.

ელვად იპობა შენი ბაგე - ბნელ უფსკრულში ვიოლინოს
ნამსხვრევი მოჩანს.
ხემს აატოკებს თოვლისფერი კბილებით ვიღაც: მშვენიერო
ლერწამო, ამღერდი!

საყვარელო, შენ ხომ ჯერაც ლერწამი ხარ, ხოლო ჩვენ - წვიმა;
უძვირფასესი და უბადლო ღვინო არის შენი ტანი და ვეწაფებით;
პურის ყანაში გარიყული ნავი არის შენი გული, მივაცურებთ
ჩვენ მას ღამისკენ;
სილურჯით სავსე ქოთანი ხარ და მსუბუქად ზედ გვეღვრები,
როცა ვიძინებთ.

აი, კარვის წინ იკრიბება ისეული, ჩვენ კი გმარხავთ, შენით
მთვრალები.
აი, სამყაროს საფლავის ქვაზე აწკრიალდა ჟანგიანი მონეტა
სიზმრის.

* * *

ის თმას ივარცხნის, მკვდარს ვარცხნიან როგორაც, ისე.
ის გულისპირში ჩაცურებულს, ატარებს ცისფერ

ნატეხს, რომელიც სამყაროა, ბაწარზე აცმულს.
მცოდნე სიტყვების, ის იღიმის მხოლოდ და მაცდურ

ღიმილს, ღვინოში გაზავებულს, მოგაწვდის თასით.
და თუ გსურს იყო სამყაროში, მორჩილად დაცლი.

შენ ხარ სურათი, რომელსაც ის ნატეხში ზვერავს,
როცა კი დახრის სიცოცხლისკენ ფიქრიან მზერას.

## სანთლის შუქზე

წიგნს გადაფურცლავს ბალნიანი თითებით ბერი: სექტემბერია.
ნაადრევ თოვლად დაემხობა იაზონი მაღალ ყანაში.
ტყე სამაჯურად მოგეძღვნება; როგორც მკვდარი, გაუყვები
დაჭიმულ კანაფს.
სილურჯეთაგან უბნელესი ჩაგეღვრება გაშლილ თმაში,
სიყვარულზე გიამბობ ამბავს:
ღრუბლებისა და ნიჟარების, და წვიმაში გაკვირტული ნავების
ამბავს,
ამბავს ფურცვლისას თითებშორის გამსხლტარი კვიცის -
წყვდიადი კარსაც შემოამტვრევს, მე კი გიმღერი:
როგორ ვცხოვრობდით აქ?

## კენოტაფი

მიმოაბნიე, მგზავრო, შენი ყვავილები, გაბედულად მიმოაბნიე:
შენ მათ ჩააწვდენ სიღრმეებს,
ბაღებს.

ვინც აქ უნდა წოლილიყო, ის არ წევს
არსად. მაგრამ გვერდით მისწოლია მთელი სამყარო.
სამყარო, რომელმაც თვალი აახილა,
რათა განასხვაოს სხვადასხვა ფერები.

მას კი, ამდენი რამის მნახველს, თავი ყოველთვის
ბრმებთან ეჭირა:
რაც ხვდებოდა, წყვეტდა უკლებლივ:
ის წყვეტდა სურნელს -
დაინახეს, არ შეარჩინეს.

და ის წავიდა, უცნაური იგემა წვეთი:
ზღვა.
და თევზები -
თუ გაცურდნენ მისკენ თევზები?

## სიმღერა უდაბნოში

გამოინასკვა თაიგული უშავესი ფოთლებისგან მახლობლად აკრის.
მივაჭენებდი შავ ბედაურს და შიშველი სატევარით სიკვდილს
ვზარავდი.
ხის თასებიდან ვსვამდი ნაცარს, ამოხაპულს ჩაფერფლილი
წყაროდან აკრის.
ცის ნანგრევებში მივიწევდი და სახეზე დაშვებული მქონდა
ზარადი.

ანგელოზები მომკვდარიყვნენ და ბრმა იყო უკვე ღმერთიც
მახლობლად აკრის.
არავინ დარჩა - მანუგეშოს, მათგან, ვინც აქ დადიოდნენ მდუმარ
ლანდებად.
ორადჟაიპო მთვარის დისკოც, პატარა და უნედლესი ყვავილი
აკრის.
ხელისთითები გაიხლართნენ ჟანგმოდებულ ბეჭდებშორის
ეკალბარდებად.

და მეც დავემხე, რომ ვმთხვეოდი, როგორც მცველი და
მლოცველი, სიწმინდეს აკრის.
ღამეს აბჯარი გარღვეოდა და შეხსნილი საკინძედან ჟონავდა
სისხლი.
მე კი, მოღიმარ ძმად ქცეული, უკვე რკინის ქერუბიმი ვიყავი აკრის.
ამოვიძახე კვლავ სახელი და ვიგრძენი: ამიალდნენ ღაწვები
რისხვით.

* * *

მერყევო გულო,
წარმართებმა შენთვის აშენეს
ეს ქალაქი სანთლებსა და საათებს შორის,
და ჰა, ამხედრდი
და წყაროსკენ გააჭენე ალვის ხეები,
იქ, სადაც ასობს ჟღერად ისრებს
მდუმარების მეციხოვნეთ ღამის ფლეიტა
და წყალს უხვედრებს ასარეკლად,
ხოლო ნაპირზე
მიმოდის ფიქრი, შენიღბული, სმენადქცეული:
არაფერი
არ ამჟღავნებს აქ თავის სახეს,
სიტყვა კი, თავზე რომ დაგნათის,
გვიმრის ღერზე შეცოცებულ
ხოჭოს იჯერებს.

გერმანულიდან თარგმნა **ზვიად რატიანმა**

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

იასუნარი კავაბატა

# ღამეული თამაში კამათლებით



იასუნარი კავაბატა (1899-1972), ცნობილი იაპონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1968). იბეჭდებოდა 1921 წლიდან; გამოცემული ჰქონდა წიგნები: „მხიარული გოგონები ასაკუსადან“ (1929), „თოვლიანი მხარე“ (1937), „ათასი წერო“ (1951), „მთების ხმა“ (1953), „ძველი დედაქალაქი“ (1961).

1.

როცა მოხეტიალე დასი ერთ-ერთ საპორტო ქალაქში გაჩერდა, მიძუტას ოთახი იმ ოთახის გვერდით აღმოჩნდა, სადაც მოცეკვავე გოგონების საძინებელი იყო. ოთახებს ფუსუმა ჰყოფდა.

ისმოდა მოლოზე ტალღების დგაფუნი... ისმოდა ქვაფენილზე გემისკენ მიმავალი მეზღვაურების ღამეში გაბნეული ნელი ნაბიჯის ყრუ ბრაგუნი... მაგრამ, ყური ამას მიჩვეული ჰქონდა, მის გულში ეს სხვა, მსგავსი ღამეების მოგონებას იწვევდა, ძილს კი ხმაური უშლიდა, რომელიც მეზობელი ოთახიდან მოდიოდა.

საათზე მეტია ისეთი მონოტონური კაკუნი იდგა, გეგონებოდა ჭილოფზე კენჭებს აგორებენო.

ნეტავი რა შეიძლება იყოს? - ფიქრობდა მიძუტა და უცებ მიხვდა: "კამათლების ხმაა, ეტყობა მოცეკვავე გოგონები ერთობიან, ვინ იცის, იქნებ ფულზედაც თამაშობენ".

მაგრამ, გარდა იმ ხმაურისა, იქიდან მძინარე ქალიშვილების ფშვინვის მეტი არაფერი ისმოდა.

ესე იგი, მხოლოდ ერთს ღვიძა. მეზობელ ოთახში სინათლე ენთო.

კაცებს, რომლებიც მიძუტას საძინებელში იწვნენ, რა ხანია ეძინათ.

ხმაური სულ უფრო აღიზიანებდა. შეწყდებაო, ერთხანს ითმინა, მაგრამ, ამაოდ!

მხოლოდ კაკუნი კი არა, გაგორებული კამათლების შხრიალიც უსიამოვნოდ სწვდებოდა მის ყურთასმენას, ასე ეგონა, კამათლებს შიგ თავში უკაკუნებდნენ.

მორჩა, ველარ დავიძინებ, - გაიფიქრა გუნებაში და გაბრაზებულმა გადაწყვიტა, გავალ, ერთი მაგრად ვუყვირებო.

ხმაური კი ისევ მეორდებოდა.

ბოლოს წამოდგა და ტიხარი გაწია.

- როგორ, ეს შენ ხარ, მიტიკო?

იდაყვებზე დაყრდნობილი მიტიკო ლოგინზე პირქვე იყო წაწოლილი. ვაჟს ნამძინარევი სახე მიაპყრო და გაღიმება სცადა. მარცხენა ხელს, რომლის ხელისგულზეც კამათლები ელაგა, კვლავ მექანიკურად ატრიალებდა.

- მკითხაობ? - მიაჩერდა მიძუტა ქალიშვილს.

- ვმკითხაობ? არა, სულაც არა!

- მაშინ, რას აკეთებ?

- არაფერს...

მიძუტა სასთუმალს მიუახლოვდა.

მიტიკომ ხელები სახეზე აიფარა, თავი მხრებში წარგო, მერე თვალები მოისრისა და მარცხენა ლოყაზე ჩამოშვებული კულული ყურზე გადაიწია.

პატარა, სიფრიფანა ყურის ბიბილოები ჰქონდა.

- ვერ ხედავ, რა ხანია ყველას სძინავს, - თქვა ჩურჩულით მიძუტამ.

- ვხედავ.

- ამ კამათლებს ასე გაუთავებლად რად აგორებ?

- ისე, უბრალოდ.

- მერედა, უცნაურად არ გეჩვენება?

მიტიკომ სასთუმალთან ხელის ფათურით რაღაც მოძებნა, მუჭში მოიქცია და ხელისგული უსიტყვოდ გაშალა.

- ოო, - გაოცებული მიძუტა ლოგინის წინ მუხლებზე დაეშვა.

ხუთივე კამათელი ერთნაირად ძველი და შელახული იყო.

მიტიკოს ხელისგულზე დალაგებული კამათლებიდან მიძუტამ მხოლოდ ერთი კამათელი აიღო - მიტიკოს საოცრად გრძელი, ლამაზი, ნატიფი თითები ჰქონდა და, გაახსენდა, ცეკვის დროს როგორი ნაზი, გრაციოზული, როგორი მეტყველი იყო ეს ხელები.

- ეს ხუთი ცალი რად გინდოდა? - ჰკითხა და კამათელი გაუწოდა.

მიტიკომ კამათელი ჭილოფზე გააგორა - სამიანზე დაჯდა.

- კმარა, უკვე ღამის ორი საათია.

- ჰო, - თავი დაუქნია გოგომ და კამათელი ისევ გააგორა. ამჯერად კამათელი იაქზე იჯდა.

- შენი ამ კაკუნის გამო თვალი ვერ მოვხუჭე.

- აჰ, უკაცრავად! მინდოდა ათი ათასი დამეთვალა.

- ათი ათასი?

- ჰო, მაგრამ, ამაღამ ალბათ ვერ მოვასწრებ.

მიძუტას ელდა ეცა. ნუთუ მართლა ათი ათასამდე უნდოდა ანგარიშის ათვლა?! ყოველ გაგორებაზე ექვსიანიც რომ დამჯდარიყო, ხოლო კამათელი ათასჯერ გაეგორებინა, მაშინაც მხოლოდ ექვსი ათასს თუ ათვლიდა.

- ვთქვათ, ათი ათასზე აიყვანე, რაიმე კარგი მოხდება თუ რა?

- მაგაზე არ მიფიქრია.

- მაგაზე თუ არ გიფიქრია, მით უფრო დიდი სიგიჟეა კამათლების ღამღამობით ასე გაუთავებელი გორება!

- ჰო, - დაეთანხმა მიტიკო და კამათელი ისევ გააგორა.

- გაჩერდი!.. ახლავე გაჩერდი!

მიტიკომ ცერად გამოხედა, თავი ბალიშში წარგო და გაირინდა.

- სულელო, - წაიბურდღუნა მიძუტამ და დასაძინებლად გავიდა.

მაგრამ, მეზობელ ოთახში სინათლე არ ჩამქრალა. მიაყურა და მიხვდა - ქალიშვილი ისევ კამათლებს აგორებდა, ოღონდ, ხმა არ გაეღო, ჭილოფზე ლეიბი დაეგო.

2.

მეორე დილას მიძუტამ წუხანდელი ამბავი დასში ასაკით ყველაზე უფროს მსახიობ ქალს - ნორიკოს უამბო.

- უცნაური ახირებაა! მისი წყალობით მთელი ღამე ისე გავათენე, თვალი ვერ მოვხუჭე.

- ნუთუ ეს ამბავი აქამდე არ იცოდით? თამაშის სიყვარული დედისაგან იმემკვიდრა. დედამისი თამაშს თავს კულისებშიც არ ანებებს.

- მართლა?

- მის ამ გატაცებას დიდი ხანია ყველა მიეჩვია, ყურადღებას აღარავინ აქცევს.

- ჰოო? მერედა დედამისი ვინ არის, ან ასე რატომ გადაიღო დედამისის ეს ჩვევა?

და აი რა უამბო ნორიკომ:

- თქვენთვის, ბატონო მიძუტა, ალბათ, ადრეც იყო ცნობილი, რომ მიტიკოს დედა გეიშაა. ახლა მას მესამე თანრიგის პატარა ჩაის სახლი აქვს, სადაც სულ სამიოდე ქალიშვილი მუშაობს. ისე, არც თვითონ დედამისი სარგებლობს მაინცდამაინც კარგი რეპუტაციით.

კამათლები იმ ოთახშიაც შეაქვს, სადაც სტუმრები საკეს შეექცევიან. ჩაიწყობს კიმონოს ქამარში და სტუმრებთან შესული ქამარს რომ შეიხსნის, კამათლები რაკარუკით ცვივა იატაკზე. ამას განგებ, ყურადღების მისაქცევად სჩადის, მერე ვითომ განცვიფრებული წამოიკივლებს და კამათელს გააგორებს.

სტუმრები ცდუნებას ვერ უძლებენ და თამაშში ერთვებიან. მართალია ფსონი არც ისე დიდია, მაგრამ წლების მანძილზე კარგა გვარიანი თანხის შეგროვება შეძლო.

ამბობენ, ამ საქმის ნამდვილი ოსტატია, შეუძლია კამათელი ისე გააგოროს, ის ციფრი დასვას, რასაც მოისურვებს, ნუთს ისე არ ტოვებს, არ ივარჯიშოს, წლების მანძილზე გასაოცარ ოსტატობას მიაღწია.

"ეს ქალი ამ ადამიანურ სისუსტეებს ასე მოხერხებულად როგორ იყენებს, ეს ხომ გეიშას დაბალი დონის მაჩვენებელია!" - უკვირდა მიძუტას. მაგრამ შეეცადა, სხვაგვარად აეხსნა მისი ეს საქციელი: იქნებ კამათლით თამაში ხელოვნებაა? იქნებ ქვენა გრძნობები არ ამოძრავებს, იქნებ თამაშის დროს რაღაც სხვას, რაღაც უფრო დიდს განიცდის, კამათლების გაგორების პროცესი იქნებ სიხარულს ან რაღაც სევდას ჰგვრისო?

ეს რომ არა, ქალიშვილსაც ასე რატომ გაიტაცებდა ეს თამაში?

- ნეტავ მიტიკო რას გრძნობს, კამათელს რომ აგორებს? - იკითხა მიძუტამ.

- არ ვიცი, იქნებ უბრალოდ დედას ჰბაძავს.

- გამოსდის?

- მერედა, არ იტყვი, როგორ!

- ფულზედაც თამაშობს?

- არ ვიცი, ვერ გეტყვით... ისეა ამ ხელოვნებას დაუფლებული, მასთან თამაშს ვერავინ ბედავს, ჰოდა, დგას და მარტო აგორებს კამათელს.

- მარტო... - ჩაილაპარაკა მიძუტამ.

მიტიკოს ალბათ არ სურს, დასში დედამისის ეს ჩვევა იცოდნენ, თუ ასეა, ყველას თვალწინ ასე მოურიდებლად რატომ აგორებს კამათლებს, რატომ ახსენებს ყველას ამ ამბავს?

მიძუტა მიხვდა, რომ ნორიკოს მაინცდამაინც დიდად არ აინტერესებდა მიტიკოს ეს გატაცება.

წამოდგა და ტუალეტში გავიდა, საშინაო ფეხსაცმელი დერეფანში გაიხადა. ტუალეტის ფლოსტებს რომ იცვამდა, ნაბიჯის ხმა მოესმა, მიტრიალდა და მიტიკო დაინახა - იგი მის საშინაო ფეხსაცმელთან იდგა და ტუალეტიდან გამოსულ მიძუტას ფეხი შიგ ადვილად რომ წაეყო, ცხვირებს გასასვლელისაკენ უბრუნებდა. საოცარია, ეს გოგო უმნიშვნელო წვრილმანსაც ყურადღებას აქცევსო, - გაიფიქრა.

ზღვაში ღრმად შეჭრილ კლდეზე მოცეკვავე გოგოები ისხდნენ.

- ცხელა, ნეტავი ნაყინი მაინც მოგვცა, - მოესმა მეორე სართულზე თავის ოთახში მწოლარე მიძუტას.

ალუბლის ყვავილობის სეზონი ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ, ისე, როგორც ალუბლის ყვავილობის ჟამს, ზღვას მსუბუქი ნისლი გადაჰკროდა, ზღვის თეთრი ჩიტები თითქოს ნისლის მთრთოლვარე ტალღებში დაცურავდნენ.

მიძუტა მოცეკვავე გოგოებთან ჩავიდა.



ხელი მიტიკოს მდუმარედ გაუშვირა.

ისიც ეტყობა მიხვდა, ჯიბიდან ხუთივე კამათელი ამოიღო და გაუწოდა.

მიძუტამ კამათლები ქვაზე დაყარა.

ორი ზღვაში ჩასრიალდა.

მერე დანარჩენი სამიც მოკრიფა და ისინიც ზღვაში გადაუძახა.

- ოი! - წამოიყვირა მიტიკომ, კლდის პირას მიდგა და ქვევით უსიტყვოდ ჩაიხედა. ქვევით ტალღებს დგაფუნი გაჰქონდა.

მიძუტა გაოცებული დარჩა - ეგონა მიტიკო გაბრაზდებოდა, უფრო აშკარად გამოხატავდა გულისტკენას.

მალე მოცეკვავეებმა კონცერტის ჩასატარებლად ბალაგანისაკენ გასწიეს. მიძუტა სასტუმროში დარჩა. იდგა და ზღვაში იმ ადგილს გასცქეროდა, სადაც კამათლები ჩაცვივდა.

დასი, რომლის წევრი მიძუტაც იყო, რა ხანია გზაშია. მიძუტამ იგრძნო, სახლზე სევდა როგორ შემოაწვა. ახლა იგი იმაზე ფიქრობდა, რა საინტერესო იქნება, ტოკიოში რომ დავბრუნდები, მიტიკოს დედას შევხვდე, კამათლების დიდოსტატსო.

ნავსადგურში გაჩერებულ გემზე სინათლეები აინთო.

3.

საგასტროლო მოგზაურობა უკვე თვეზე მეტია გრძელდებოდა. ერთ-ერთ ქალაქში მიძუტამ მოცეკვავე გოგოები იმ გორაზე დაპატიჟა, რომელიც სიროიამას (1) სახელითაა ცნობილი. ალუბლის ყვავილობის ჟამი იდგა. გოგოები ცომის გუფთას და დენგაკუს (2) დააცხრნენ. მათმა ამ უწესო საქციელმა მიძუტა, ცოტა არ იყოს, დააბნია. ხომ შეიძლებოდა, მათ შორის, ვინც აქ ალუბლის ყვავილობის საცქერად იყო მოსული, წარმოდგენაზე მომსვლელებიც ყოფილიყვნენ.

ადგილ-ადგილ ყვავილს ფურცელი დასცვენოდა, ტოტებზე მხოლოდ მტვრიანა და ბუტკო იყო დარჩენილი. მოსეირნე საზოგადოება მოცეკვავე გოგოებს ამრეზით უყურებდა, ისინი კი ამას აინუნშიაც არ აგდებდნენ, თავი უტიფრად და გამომწვევად ეჭირათ. დენგაკუს ჭამას რომ მორჩნენ, ყველას თვალწინ ტუჩები არხეინად გაილოკეს და პომადა წაისვეს.

პომადა მიტიკომაც ამოიღო, მაგრამ, ვიდრე წასმას დაიწყებდა, ტუჩები მოკუმა და წინ ოდნავ წამოწია. მისი ქორფა, უპომადო ბაგე საოცრად ლამაზი და მომხიბვლელი იყო.

მიძუტა ნელა მიუახლოვდა მიტიკოს. ისეთი სახით უყურებდა, თითქოს ეს მისთვის რაღაც მოულოდნელი აღმოჩენა ყოფილიყოს - ქალიშვილს პატარა, უთვალავდო ცხვირი ახლოდან სიყვარულით ნაძერწ ფუნაფიფეს სამშვენისს უგავდა.

ხალხში წასმასა და მორთვას მიჩვეულ მიტიკოს თავი უხერხულად არ უგრძვნია.

მიძუტასთვის კი მიტიკო, რომელიც ამ აყვავებულ ალუბლებს შორის ტუჩზე პომადას იმავე პოზაში ისვამდა, როგორც თეატრალურ საპირფარეშოში, სრულ სიახლეს წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენდა. ეს ბაგე, ცხვირი, ეს მრგვალი, მშვენიერი სახე, პატარა სარკისკენ ცერად დახრილი თვალები გულს ნეტარი ოცნებით უვსებდა.

სცენაზე მიტიკო არც ისეთი ეფექტურია, ცხოვრებაში კი იმაზე გაცილებით მშვენიერია, ვიდრე აქამდე მეგონა, - გაიფიქრა მიძუტამ და ისე, რომ თავადაც არ ელოდა, უთხრა:

- ვერ გამიგია, როგორი ხარ?

მიტიკომ ვაჟს გაოცებულმა შეხედა:

- რატომ?

- მხოლოდ მაშინ დაილაპარაკებ, ვინმე თუ გამოგელაპარაკა, ისე ხმას არასოდეს იღებ.

- ჰოო? მე მგონი, გეშლებათ.

- ყოველ შემთხვევაში, მე თუ არ დაგელაპარაკე, ისე ხმასაც არ მცემ. უცნაური გოგო ხარ.

მიტიკო თითქოს ჩაფიქრდა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ტუჩები, რომელზეც ღია ფერის თეატრალური პომადა ესვა, ნამდაკრულივით უბრწყინავდა.

მიძუტას ასაკუსაში (3) ერთი ჯიხური გაახსენდა, სადაც მსახიობებისათვის კოსმეტიკა იყიდებოდა. ამ ქალაქიდან გამგზავრება რომ დააპირეს, მოცეკვავე გოგოებმა სწორედ იმ ჯიხურში შეიძინეს ყველაფერი. მიტიკოს კი არ უზრუნია ამაზე, ეტყობა სხვების კოსმეტიკით სარგებლობდა, რაც, ცხადია, არ სიამოვნებდა ზოგიერთს.

- აი, იმ მინდორში კომბოსტოს ნათესია, - თქვა მიძუტამ და მდინარის მოპირდაპირე ნაპირს გახედა.

- ლამაზია აყვავებული ჩინური კომბოსტო.

- ჰოო? კი მაგრამ, შენ ხომ ქალაქში გაიზარდე, მისი სილამაზისა რა უნდა გესმოდეს?

- განსაკუთრებით ყვავილების ლარნაკშია ლამაზი, ოღონდ, ბევრი არა, ერთი ან ორი ფოთოლი...

- გინდა, ჩავიდეთ იმ მინდორზე?

მიტიკომ თავი დაუქნია.

მიტიკოსთან ერთად გზად საგალანტერიო ჯიხურში შევილი, საჭირო კოსმეტიკას ვუყიდი, თეატრალურს თუ ვერ ვიშოვი, შეიძლება ჩვეულებრივითაც დაკმაყოფილდეს, სხვის კოსმეტიკით სარგებლობას ყველაფერი სჯობიაო, - გაიფიქრა მიძუტამ.

- მე და მიტიკო ცოტას გავისეირნებთ, - უთხრა მოცეკვავე გოგოებს.

- თქვენ იცით, არ დაიბნეთ, - წაუქილიკეს გოგოებმა.

- საით გაგიწევიათ, შეიძლება მეც წამოვიდე? - ერთერთმა მოცეკვავე ქალიშვილმა მიძუტასკენ გამოსწია, მაგრამ უკანვე გაბრუნდა და მიტიკოს შურიანი მზერა გააყოლა.

მიტიკო გაწითლდა, თავი დაბნეულმა დახარა.

ვაჟი ფერდობზე ისე დაეშვა, ქალიშვილისთვის არაფერი უთქვამს.

- წამოვიდე? - წამოეწია მიტიკო.

- ჰო.

მიტიკო ვაჟს უკან გაუბედავად გაჰყვა.

- შენ რა, სულ ასე გაჩუმებული ივლი, ვიდრე არ დაგელაპარაკები?

- არა, - ჩაილაპარაკა მორცხვად მიტიკომ და სახე მხიარულმა ღიმილმა გაუნათა.

საგალანტერიო ჯიხურთან მიძუტა მიტიკოს მიუბრუნდა:

- პომადა და, რა ვიცი, რაც გინდა ის იყიდე.

გოგომ ვაჟს შეშინებულმა შეხედა, სახეზეც აშკარად ეტყობოდა, ამის გაკეთება არ სურდა:

- სულ ასე სხვებისას თუ იხმარ, შენს დაქალებს არ მოეწონებათ, აგითვალწუნებენ.

გოგომ თავი დაუქნია და საყიდლებს გულგრილი თვალიერება დაუწყო. ცოტა რომ გაეთამამებინა, მიძუტამ უთხრა:

- ნახე, მგონი კამათლებიც იყიდება.

- უი, მართლა? - წამოიძახა მიტიკომ და სახეგაბრწყინებული გამყიდველს მიუბრუნდა: - თუ შეიძლება, კამათლები მომეცით, ხუთი ცალი, აი, ისინი.

- ხუთი? სამწუხაროდ ორის მეტი არა გვაქვს, - თქვა გამყიდველმა ქალმა და კამათლების ასაღებად მიტრიალდა.

- მაშინ ეგ ორი მომეცით.

მერე მდინარის პირას ნაყარზე გავიდნენ.

ნაყარს ზემოთ, მოასფალტებული სასეირნო ბილიკის ნას-

წვრივ, ნაძვების ხეივანი იყო. ბალახით გადაბიბინებულ ნაპირზე წყვილები იწვნენ.

- სასტუმროს მოსამსახურე ამბობს, მას შემდეგ, რაც ეს გზა მოაასფალტეს, ქალაქში ზნეობა დაეცაო, - თქვა სიცილით მიძუტამ და მდინარისაკენ დაეშვა.

ფართო, კლდოვან კალაპოტს ბალახი მოსდებოდა. კალაპოტის შუაგულში მდინარის წვრილი ზოლი მოჩანდა.

მდინარის პირას მიძუტა ერთ უზარმაზარ ლოდზე ჩამოჯდა.

მიტიკოც გვერდით მიუჯდა და უმალ კამათლის გორება დაიწყო.

გაზაფხულის ჩამავალ მზის სხივებში მდინარე ვერცხლისფრად ლაპლაპებდა.

მიძუტამ ერთხანს უყურა, მიტიკო კამათლებს როგორ აგორებდა და ბოლოს უთხრა:

- იქნებ იმკითხაო?

- ვიმკითხაო? რაზე?

- რაზეც გინდა.

- არა. მითხარით, რაზე გიმკითხაოთ და ვეცდები, კარგი რამეები გითხრათ.

- ასე იყოს.˙ ერთიანზე თუ დაჯდა, ესე იგი ერთმანეთი შეგვიყვარდება.

- არა, არ მინდა, - იუარა მიტიკომ, მაგრამ მაშინვე დაიხარა, ქვაზე მტვერს სული შეუბერა და სახედადინჯებულმა ხელი ისე გადაუსვა, თითქოს ეფერებაო. - კამათლებს სულ ჭილოფზე ვაგორებ, ქვაზე იქნებ არც გამომივიდეს, ესე იგი, სხვაგვარად უნდა განვეწყო, - ჩუმად ჩაიბუტბუტა თავისთვის. "სხვაგვარად უნდა განვეწყოო" - ამ სიტყვებმა ვაჟს სიცილი მოჰგვარა, მაგრამ, როცა დაინახა, მიტიკო კამათლებს როგორი შთაგონებული სახით დაჰყურებდა, თვითონაც ყურადღებით დაუწყო ყურება.

მიტიკომ ღრმად ამოისუნთქა და ორი კამათელი გააგორა.

- ხედავ! - წამოიძახა გახარებულმა და მიძუტას გაბრწყინებული თვალები შეანათა.

ორივე კამათელი იაქზე იჯდა.

- ოო, მართლაც ოსტატურად გამოგდის.

ქალიშვილმა იგრძნო, მთელი მისი არსება ენითუთქმელმა სიხარულმა როგორ მოიცვა.

- ყოჩაღ! აბა ერთხელ კიდევ სცადე.

- კიდევ? - გაიმეორა მიტიკომ მიმქრალი ხმით, - გამოვა კი? არა, არ მინდა, - თქვა და ქვას ხელი გადაუსვა. ჩამავალი მზის სხივები მისი ყურის პატარა ბიბილოებში აღწევდა.

4.

დასი გასტროლებზე სხვა ქალაქში რომ ჩავიდა, მიძუტამ მოცეკვავე გოგოების ოთახში შეიხედა. მიტიკო, როგორც ყოველთვის, კამათლებს აგორებდა.

- შეგიძლია ხუთივე ერთდროულად ერთიანზე დასვა?

- არ მინდა! ბატონო მიძუტა, ამდენჯერ ერთიდაიგივეზე რატომ მასმევინებთ.

ქალიშვილმა ბალიში მუცლისკენ შეიცურა, ზედ გადაწვა და ჭილოფისკენ წაიხარა.

- ნუთუ ხუთივე ერთიანზე დაჯდება?

- არა, არ გამოვა. - მიტიკომ კამათლები მუჭში მოიქცია და დაყარა.

უსურვილოდ დაყრილი კამათლები აქეთ-იქით უაზროდ გაიბნა. მიტიკომ დახედვაც არ ისურვა.

- მეძინება, - ჩაიბუტბუტა თავისთვის და თავი ხელებზე ჩამოდო.

მიტიკო უწინდებოდ იყო.

ძველი, თითქოს ხანგრძლივი მგზავრობისაგან ქანცგაცლილი ქვედა კაბის კალთიდან შიშველი, მკვრივი, ლონიერი ფეხები უჩანდა, ფეხის წვერებზე ხშირი ცეკვისაგან თითები ოდნავ დეფორმირებული ჰქონდა.

შორიდან ტაძრის დაფდაფის ხმა მოისმა.

მიძუტამ კამათლები წამოკრიფა და გაგორება სცადა.

გოგომ თავი წამოწია, კამათლებს თვალი დაბნეულმა გააყოლა, მერე ერთი კამათელი აიღო და გააგორა.

კამათელი იაქზე დაჯდა.

კიდევ ერთხელაც ისრიალა, კამათელი ამჯერადაც ერ-

თიანზე იჯდა.

მერე ერთმანეთის მიყოლებით დანარჩენი სამიც გააგორა და სამივე კამათელზე ისევ ერთიანი გამოჩნდა.

მიტიკომ კამათლები მოკრიფა, ერთიანები ზევით მოუქცია და გვერდიგვერდ ისე ჩაამწკრივა, როგორც ბავშვები ამწკრივებენ კუბებს.

- რა მშვენიერი ამინდია! ხომ არ გამერეცხა? - თქვა მოცეკვავე ტოკიკომ და სახლის სახურავებს დაფიქრებულმა გახედა. - ბატონო მიძუტა, თუ გინდათ, გაგირეცხავთ, თქვენი საცვლები მომიტანეთ.

- გამირეცხავ?

- არც ისე დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ, გაგირეცხავთ, ოღონდ, ახლავე მომიტანეთ.

- გმადლობთ, გასარეცხი არაფერი მაქვს.

- ძალიანაც კარგი. მე კი ვიფიქრე, მარტოხელა კაცია, ცოტას დავეხმარები-მეთქი.

თქვა ტოკიკომ და კუთხეში მიდგმული ჩემოდანი გახსნა:

- ბატონო მიძუტა, თუ შეიძლება, ცოტა გაიწიეთ.

მიტიკოც სარეცხისთვის მოემზადა, წამოდგა და ვაჟს ხელი უსიტყვოდ გაუწოდა. მიძუტამ თავი გააქნია:

- არა, გასარეცხი არაფერი მაქვს, მართალს გეუბნები.

ისე, როგორც მარტოხელა კაცებს სჩვევიათ, მიძუტაც გაახვევდა თავის ჭუჭყიან თეთრეულს გაზეთში და სასტუმროში ტოვებდა.

ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდევაც, მოცეკვავე ტოკიკომ უცებ საცვლების გარეცხვა რომ შესთავაზა.

მალე დანარჩენებმაც იმ ორის მაგალითს მიბაძა და, არ ვიცი, აბანოს, არ ვიცი, აუზის მხრიდან ხმადაბალი სიმღერა გაისმა.

მიძუტა გალერიის მზიან მხარეს იატაკზე დაწვა და თვალები დახუჭა. გოგოების სიმღერას რომ უსმენდა, უცებ წარმოიდგინა, რომ ასაკუსაშია.

ეტყობა, ძალზე დიდი დრო გავიდა, რაც შინიდან წამოვიდა, რაც სულ გზაშია.

სალამოს, რა ხანია, ფარდის აწევის დრო იყო, ნორიკო კი თეატრალურ საპირფარეშოში არ ჩანდა, არ ჩანდა ერთ-ერთი ვაჟი მსახიობიც.

წარმოდგენის მონაწილეებმა ერთმანეთს გაოცებულმა გადახედეს და სასტუმროში სასწრაფოდ კაცი აფრინეს, მაგრამ ნორიკოს ბარგი სასტუმროში აღარ იყო.

მერე მისი ამბავი ყველას სათითაოდ გამოჰკითხეს და აღმოჩნდა, რომ ნორიკოსა და იმ ახალგაზრდა მსახიობს შორის რაიმე განსაკუთრებული არავის არაფერი შეუნიშნავს. ნორიკოს ქმარი, მიუხედავად თავისი მძიმე ხასიათისა, ასაკუსაში, სადაც ის ცხოვრობდა, საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ნორიკოც მართალია ერთი თავნება და თავქეიფა ქალი იყო, მაგრამ, ძნელი დასაჯერებელია, ასე უცებ ქმართან გაცილება გაებედა. ეტყობა ქმარმა მისი სხვა დასისთვის მიყიდვა გადაწყვიტა და სასწრაფოდ შინ დაბრუნება მოსთხოვა, ის ახალგაზრდა მსახიობი კი, ეტყობა, უბრალოდ, თანამგზავრად გაიყოლა. ან იქნებ ქმრისაგან რაც შეიძლება შორს ყოფნა გადაწყვიტა და მას რომ არ მიეგნო, მოხერხებული მომენტი შეარჩია, კანსეიში (4) გაიქცა. ასე იყო თუ ისე, ნორიკო თვალსა და ხელს შუა გაქრა, ამის ნამდვილი მიზეზი კი ალბათ მხოლოდ დასის წამყვანმა მსახიობებმა იცოდნენ.

მსახიობები, რომლებიც დღევანდელი წარმოდგენის ბედით ძალზე შეწუხებულები იყვნენ, ნორიკოს შემცვლელის ძებნაში ამაოდ აწყდებოდნენ ერთმანეთს.

ბოლოსა და ბოლოს დასის მეთაური ტომომაცუ იძულებული გახდა, ადგილობრივი იმპრესარიოსათვის ბოდიში მოეხადა და წარმოდგენა არ შედგებაო - გამოეცხადებინა. იმპრესარიომ ბოდიში მშვიდად მიიღო, მაგრამ სთხოვა, მოცეკვავე გოგოები გავლენიანი პირების მიერ მოწყობილ იმ ბანკეტზე გაეგზავნა, რომლითაც იგი დაინტერესებული იყო.

ტომომაცუმ მოცეკვავეები ბალაგანიდან პირდაპირ რესტორანში წაიყვანა და როცა მიძუტამ თეატრალურ საპირფარეშოში შეიხედა, გარდა რეკვიზიტორისა, იქ უკვე აღარავინ იყო.

რეკვიზიტორი უწესრიგოდ მიმობნეულ თეატრალურ კოსტიუმებსა და ფეხსაცმელს არც თუ ისე ხალისით ალაგებდა.

- ეს რა ფეთხუმები არიან! ჭკვიანი კაცი დიდი ხანია თავს უშველიდა. აქედან გაიქცეოდა, მე კი, როგორც ხედავთ, ისევ აქ ვცოდვილობ. ისეთი ბინძური და არხეინები არიან, მალე ალბათ ფეხსაცმელში მატლები გაუჩნდებათ... - შესჩივლა მიძუტას, რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ერთად შეაგროვა და კუთხეში მიყარა.

კედელზე ჩამოკიდულ თეატრალურ კიმონოებს შორის მიძუტამ მიტიკოს ჟაკეტიც შეამჩნია, როგორც ჩანს, ბანკეტზე წასვლის წინ ტანსაცმელი გამოიცვალაო, - გაიფიქრა და ჟაკეტის ჯიბეში ხელი ჩაყო - კამათლები ჯიბეში ელაგა.

- დედამისისაგან განსხვავებით, ეტყობა, დაავიწყდა ბანკეტზე წაღება, - წაიბურდღუნა თავისთვის და ხუთივე კამათელი ჭილოფზე დაყარა.

ჭილოფი ჭუჭყიანი იყო.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირველად ათვალიერებდა თეატრალურ საპირფარეშოს - ჭრელი, ღია ფერის, უკვე საკმაოდ შელახული თეატრალური კიმონოები რატომღაც კვერცხის ნაჭუჭებს აგონებდა.

მიძუტამ კამათლები რამდენიმეჯერ ზედიზედ გააგორა.

- ფუჭი და მოსაწყენი საქმეა, - მოესმა კარებში ჩამდგარი მსახიობის - ჰანაოკას ხმა.

- მოსაწყენი?

- რა თქმა უნდა. ვითამაშოთ?

- რატომაც არა, ვითამაშოთ, მაგრამ, რაზე?

- თუნდაც მიტიკოზე.

მიძუტამ უცებ აიწია და ერთბაშად გამხიარულებულმა თქვა:

- შეიძლება, ოღონდ, თვითონ ყაროს კამათელი.

- არა, არ გამოვა. მაგას მირჩევნია, ერთი ჭიქა სასმელით გამიმასპინძლდე. საუბედუროდ კაცად დავიბადე, ბანკეტზე არ დამპატიჟეს. დალევა კი გაზაფხულის ამ მშვენიერ ღამეს ძალზე სასიამოვნო რამ გახლავთ!

მიძუტამ კამათლები ჯიბეში ჩაიწყო და წამოდგა.

5.

ტრაქტირში ჰანაოკა ერთთავად შარზე იდგა, ერთთავად ჩხუბის დაწყებას ცდილობდა.

- მმ-ითხარი, რრას ფიქრობ მიტიკოზე?

ჩააცივდა მიძუტას გემოზე გამომთვრალი.

- რას გულისხმობ?

- რას გულისხმობ, რას გულისხმობ... რას და, არ გეჩვენება, რომ უცნაურია.

- ისე, ოდნავ...

- მე კი ვეჭვობ, მაგასთან, როცა ჯერ ისევ პატარა გოგო იყო, ხომ არავინ იცულლუტა, თავი ხომ არავინ შეიქცია?

- შეუძლებელია! - თქვა მიძუტამ და ჰანაოკას გაოგნებულმა შეხედა.

- ეგ გოგო მომწონს... ჰოდა, ჩუმად ვუთვალთვალებ.

- როგორ თუ უთვალთვალებ? რას ჩმახავ!

- არა, არ ვჩმახავ. დღემდე ეს არავისთვის მითქვამს. სწორედ აქ და სწორედ შენთვის გადავწყვიტე ჩემი ეჭვი გამეზიარებინა. მიძუტა, რას მირჩევ, როგორ გავიგო მისი საიდუმლო?

- არავითარი საიდუმლო იმას არა აქვს.

- არა აქვს? - გაიმეორა ჰანაოკამ და მიძუტას არეული თვალები მიაპყრო. მერე მხრებში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია, - ესე იგი, ჩავთვალოთ, რომ არა აქვს, არა?.. მაშინ, ერთი სათხოვარი ამისრულე, მიძუტა, დიდი სათხოვარი - ერთხელ... ერთადერთხელ მაინც აიძულე, გული გადაგიხსნას.

- როგორ?

- ხომ შეგიძლია, რაიმე კარგი როლი მისცე? ჰოდა, გულს ისიც მაშინვე გადაგიხსნის. მე კი დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი ისედაც გასკდება.

ჰანაოკას წინადადება მიძუტას საინტერესოდ ეჩვენა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

- ჰო, აბა რას იტყვი? - არ ეშვებოდა ჰანაოკა.

- შეიძლება მართალიც ხარ.

- გამიგე, მე მასზე სერიოზულად ვფიქრობ.

ეტყობა მართლა უყვარს, თვალს არ აცილებს, მაშასადამე ვერც მის სიტყვებს აუვლი გვერდს უბრალოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტიკო ახლა ჩვიდმეტი წლისაა, დასში რომ მოვიდა, თხუთმეტისა იყო, აი მანამდე რა ხდებოდა, არავინ იცისო.

მიძუტამ ჰანაოკა ძლივს გამოათრია ტრაქტირიდან. იგი შუა გზაში გაწვა, ცას ახედა და აბურდღუნდა:

- უჰ, რა მთვარეა!.. რა მთვარეა!

ვიწრო ქუჩა იყო, გრძელი, პირქუში მთები მრისხანედ წამოსდგომოდა აქეთ-იქით. მიძუტას თვალწინ მიტიკოს ბაგე, სიფრიფანა ყურები, ცხვირი, გრძელი, ნატიფი თითები, შიშველი, ღონიერი კანჭები წარმოუდგა... უცებ აუტანელი გულისრევა იგრძნო და ჰანაოკას გვერდით მიწაზე დაეშვა.



შორიდან მოცეკვავე გოგოების სიმღერა მოისმა.

- ეჰეჰეი! - ძარღვებდაძაგრულმა იყვირა ჰანაოკამ.

- ეჰეჰეი! - იყვირა მიძუტამაც.

მთები ექოდ არ აბრუნებდა მათ ხმებს - მთები დუმდნენ. სულ უფრო ახლოვდებოდა მოცეკვავე გოგოების სიმღერა, ხელიხელჩაკიდებული მოაბიჯებდნენ ბნელ ქუჩაზე.

შუა გზაში გაშხლართული ახალგაზრდების დანახვაზე გოგოებმა მხიარულად შესძახეს:

- შეხედეთ, შეხედეთ, ორივენი გატრეტილი მთვრალები არიან! მოიცა, ახლავე მოგეხმარებით!

- ბატონო მიძუტა, შემთხვევით მიტიკო ხომ არ გინახავთ? - ჰკითხა ერთ-ერთმა მოცეკვავეთაგანმა.

- მიტიკო? განა ის თქვენთან ერთად არ იყო?

- იყო, მაგრამ, ერთი წუთით გავალო და უკან აღარ შემობრუნებულა.

- არ შემობრუნებულა? - დაიღრიალა ჰანაოკამ, ფეხზე ბარბაცით წამოდგა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

"ყველაფერი ნათელია, შეცდომა გამორიცხულია", - გაიფიქრა შეშფოთებულმა მიძუტამაც.

მაგრამ, სასტუმროში რომ მივიდნენ, მიტიკო უკვე ლოგინში იწვა.

- რატომ გამოიქეცი?

- დიდი ეშმაკი ვინმე ხარ! -

მოცეკვავე გოგოები მიტიკოს თავთით დაუსხდნენ და დაღლილი ფეხები გაჭიმეს.

- მობრძანდით, მობრძანდით! - შეაგება ღიმილი მიტიკომ.

ასე მოხერხებულად დაუძვრე მთვრალ სტუმრებს, მარტოდმარტო გაბედო ღამის ქალაქში სიარულიო - ამან კიდევ უფრო გაუღვივა ჰანაოკას მიერ ჩათესილი ეჭვის თესლი მიძუტას.

ღვინის სუნით აქოთებული ქალიშვილს ლოგინზე ჩამოუჯდა და თავი ხელებში წარგო.

- თავი გტკივათ? ალბათ ღვინის ბრალი თუა? - ჰკითხა წარბშეჭმუხვნილმა მიტიკომ თანაგრძნობით.

- ჰო, - მიძუტამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და კამათლები ლოგინზე დაუყარა.

მოცეკვავე გოგები აყივყივდნენ, მიტიკოს კამათლების გაგორება სთხოვეს.

ლოგინისკენ თავწახრილმა მიტიკომ კამათლები ხელისგულზე ჩაიმწკრივა, შუა კამათელი ერთიანზე დასვა, ორი აქეთ-იქითა - ორიანზე, ორი განაპირა - ოთხიანზე.

აი ასე: :: : . : ::

მერე თითქოს ღმერთს წყალობას შესთხოვსო, ხელი წინ გაიწოდა და ნელა ისე დაატრიალა, კამათლებს რიგითობა არ შესცვლოდა.

ისეთი დაძაბული, ზეშთაგონებული სახე ჰქონდა, მოცეკვავე გოგოებმა სუნთქვაც კი შეიკრეს.

მიტიკომ ხელი თანდათანააჩქარა და კამათლები უცებ დაყარა.

- ვაიმე, გამოვიდა! - იყვირა პირველმა თვითონვე.

თავი სწრაფად გადააქნია და წელში გაიმართა.

ყველანი გაოცებულები გაირინდნენ -

თანაბარი მანძილით დაცილებული კამათლები მარაოსავით გაშლილი ელაგა.

ხუთივე კამათელი ერთიანზე იჯდა.

მიძუტამ შვებით ამოისუნთქა. საწოლზე გაუნძრევლად მჯდომარე მიტიკოს შიშველ მუხლებს დააცქერდა. სასტუმროს საძინებელი კიმონოს ქვეშიდან გოგოს მოკლე, ქათქათა პერანგი უჩანდა.

დასცქეროდა მიტიკოს შიშველ მუხლებს და ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჰანაოკას ნათქვამი ის სიტყვები წარმოუდგენელი სისულელე იყო.

- ღამე მშვიდობისა, - ქალიშვილს თავზე ხელი ოდნავ გადაუსვა.

- გმადლობთ, - მიტიკომ თავი დაუქნია, მზერა გააყოლა და დასძინა: თავის ტკივილმა თუ არ გაგიარათ, დამირეკეთ, მე ჯერ არ ვიძინებ.

ვაჟი თავის ნომერში წავიდა.

მიტიკოს ოთახიდან ისევ კამათლების კაკუნი ისმოდა. მაგრამ მიძუტას ეს ხმა ახლა უკვე ისე აღარ აღიზიანებდა, როგორც იქ - საპორტო ქალაქის სასტუმროში.

თუ ჩაუფიქრდები, იმისთვის, რათა ყველა კამათელი იაქზე დამჯდარიყო, ის, რომელიც ხელისგულზე შუაში იდო, რვაჯერ უნდა გადაბრუნებულიყო, იმის აქეთ-იქით - შვიდჯერ, განაპირა კამათლები - ხუთჯერ. ესე იგი, მიტიკოს არ დავიწყებია ის, რაც მდინარის პირას, ქვასთან უთხრა. მაგრამ, როგორი მონდომება, შეუპოვრობა იყო საჭირო, ამისთვის რომ მიეღწია! იაქზე დამჯდარმა თითოეულმა კამათელმა მიძუტას თვალწინ ზღაპრული ფეიერვერკივით გაიბრწყინა.

"გულს... მაშინვე გადაგიხსნის!.." - გაუელვა თავში ჰანაოკას ნათქვამმა სიტყვებმა.

ასაკუსაში გამეფებული ატმოსფეროს გამო, განათლებული ჭაბუკები თავშესაფარს იქაურ თეატრებში ჰპოვებდნენ - წერდნენ სცენარებს, დგამდნენ რევიუებს, ხატავდნენ დეკორაციებს, მოკლედ, ყველაფერს აკეთებდნენ, ოღონდ უფრო საკუთარი სიამოვნებისათვის. და აი, მიძუტაც სწორედ ერთი იმ ახალგაზრდათაგანი იყო.

ეგ არის, მისთვის, როგორც დილეტანტისათვის, შთაბეჭდილებების ეს სიახლე უკვე ჩავლილი ამბავი გახლდათ. და აი ერთ დღესაც გაიფიქრა: - იქნებ დროა, ყველაფერ ამას გამოვემშვიდობო, "ბოდიში" საბოლოოდ მოვუხადო.

ანდა იქნებ მიტიკოსთან ერთად იდუმალთან შესახვედრად გავწიოო?

ამ აზრმა დიდხანს არ მისცა მოსვენება, თვალი არ მოახუჭინა.

მიტიკოს ოთახიდან კვლავ კამათლების კაკუნი ისმოდა.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

ხრილი

შენიშვნები:

1. გორაკი ქალაქ კაგოსიმაში, რომელზეც მომხვდურთაგან თავდასაცავი სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი.

2. დამუავებული ლობიოსა და სოიოს ხაჭოსთან ჩაზელილი წიწაკის ხის კვირტები.

3. ტოკიოს რაიონი, ცნობილია თავისი გასართობი დაწესებულებებით.

4. ქალაქების - კიოტოსა და ოსაკას მიჯნაზე მდებარე რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარგარეტ კრაიდლი**

# ზევიდან ქვევით



მარგარეტ კრაიდლი - დაიბადა 1964 წელს ზალცბურგში (ავსტრია); ცხოვრობს ვენაში, წერს პიესებს და პროზაულ ნაწარმოებებს. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: "ჩემი ხმა" (გრაცი 1995); "მე დედოფალი ვარ" (კლაგენფურტი 1996); განხორციელდა დადგმები მისი პიესების მიხედვით: "მოედნებზე", "სპორტსმენის დრამა", (კობლენცის სახალხო თეატრი 1992); "ნახევარ-ნახევარი" (გრაცის შტატპარკ ფორუმის თეატრი, 1993); "წყლის ქვეშ" (ვენის სახალხო თეატრი 1994); "მადლიერი ქალები" (ბერლინი 1997).

1994 წელს მიიღო რაინჰარდ პრისნიცის სახელობის პრემია.

## 1 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

მაგიდა ორი სკამი

მაგიდაზე ფურცელი და ფანქრები

იოჰანა მაგიდასთან ზის

კოსტუმში გამოწყობილი იოჰანა ფანქარს თლის

გეორგი ვარდება ღრუბლიდან

გეორგს პიჯაკი აცვია წევს და არ ინძრევა

იოჰანა ფანქარს თლის

გეორგი დგება

მიდის მაგიდასთან

იოჰანა გეორგს ძალით

სვამს სკამზე

იოჰანა მიუწევს გეორგის

ფურცელს და ფანქრებს

**იოჰანა:** *დამიხატე ხე.*

გეორგი ხატავს იოჰანა

თლის გეორგი ხატავს

გეორგი ხელს უშვებს ფანქარს

**იოჰანა:** *ასე არა.*

იოჰანა დგება

ფარდა

## 2 ფარდა

ხე

მაგიდა ორი სკამი

ხეზე ანა ზის

მაგიდასთან გეორგი ზის

შარვალ-ხალათი აცვია

იოჰანა ქვედაბოლოსა და ტყავის ქურთუკში გამოწყობილა

**ანა:** *მშვენიერი კაცია.*

გეორგი ხატავს

**გეორგი:** *ზევიდან ქვევით.*

**ანა:** *ხმაურიც შესძლებია.*

**გეორგი:** ზევიდან ქვევით.

იოჰანა გეორგისკენ ტრიალდება

**ანა:** *ხალათი შეხსნია*

იოჰანა მაგიდაზე გადაწვება

**ანა:** *ოჰო ჰო ჰო.*

იოჰანა გეორგს თავზე ხელს უსვამს

**ანა:** *შშშშშშ*

იოჰანა გეორგს თავზე ხელს უსვამს

**ანა:** *ახლა ახლავე.*

იოჰანა გეორგს კოცნის

**ანა:** *ქალმა თავისი აბრეშუმის კაბა სულ*

*სულ წამოიხადა*

იოჰანა კვნესის

**ანა:** *ჰაერი ჰაერი.*

იოჰანა წამოხტება

**ანა:** *მმმჰჰჰ.*

იოჰანა ზურგით ტრიალდება

ანა ხიდან ჩამოდის

ანას საზაფხულო კაბა აცვია

და ქერა თმა აქვს

ანა გეორგს მიმართავს

**ანა:** *ცივა.*

გეორგი არ პასუხობს

**ანა:** *ზღვის ხმა მესმის.*

გეორგი შეინძრევა

**ანა:** *ოთხი დღე ოთხი დღე მეტი არა.*

გეორგი კვნესის

ანა გეორგს შარვალზე ავლებს ხელს

ანა იცინის

ფარდა

## 3 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

მაღალი აბაზანა

აბაზანაში ანა ზის

დილის ხალათში გახვეული

იოჰანა აბაზანასთან დგას

**ანა:** *მისი სიცილი მესმის.*

იოჰანა ზურგით ტრიალდება

**ანა:** *რომ იცოდე რა იოლია. რადიოს უკანასკნელ ხმაზე ვაღრიალებ. კოფთას ვიხდი. სარკესთან მივდივარ. საბაზანოში შევდივარ. კარებს ვიკეტავ. ონკანს ვუშვებ. თმებს კეფაზე ვიხვევ. თითებს წყლით ვისველებ. საპაზანოს ნიჟარაში ვეყუდები. ორ თითს პირში ვიდებ. კბილებს ვაჭერ. ხელებს ვიბან. სახეზე ცივ წყალს ვისხამ. ერთ ჭიქა წყალს ვსვამ.*

ღრუბლიდან გეორგი ვარდება

გეორგი ფეხზე დგება პიჯაკი აცვია

იწყებს გახდას

იოჰანა ანასკენ ტრიალდება

**ანა:** *ჰო მიდი.*

იოჰანა ანას პირზე კოცნის

**იოჰანა:** *ეს მესამე დღეა.*

იოჰანა ანას თითებს იდებს პირში

**იოჰანა:** *ერთი თითი ორი თითი სამი თითი.*

ანა კვნესის

**იოჰანა:** *ოთხი თითი.*

ანა იცინის

იოჰანა ზურგს აქცევს

გეორგი აბაზანაში

ჯდება გეორგი ანას

ხელს უსვამს

ჩურჩულებს

**გეორგი:** *ზევიდან ქვევით.*

**ანა:** *ქალი ხელს მიწევს.*

**გეორგი:** *ზევიდან ქვევით.*

**ანა:** *მემანქება.*

**გეორგი:** *ზევიდან ქვევით.*

**ანა:** *ქალი კივის.*

ფარდა

## 4 ფარდა

მაღალი აბაზანა

ქაფი ბევრი ქაფი

იოჰანა აბაზანასთან დგას

იოჰანას საღამოს კაბა აცვია

თმებს იჩეჩავს ჯაგრისით

თავი ქვევით დაუხრია

**იოჰანა:** *გვერდიდან თავდახრით ამოხედე გაუღიმე გვერდზე გაიხედე კვლავ გაუღიმე ტუჩები ოდნავ გახსენი აუცილებლად ხმადაბლა ილაპარაკე ხელები თავისუფლად გეჭიროს არავითარ შემთხვევაში ტანს არ მიაყუპო და ერთმანეთზე არ გადაიდო ფეხები ოდნავ დააშორე ერთმანეთს ჯდომისას უკან მსუბუქად გადაიხარე თავიც უკან გადასწიე შთაგონებული მზერა შორეთისკენ მიმართე სიარულის დროს მსუბუქი რწევა არ დაგავიწყდეს.*

იოჰანა თავს უკან აგდებს

**იოჰანა:** *გაუღიმე გვერდზე გაიხედე კიდევ გაუღიმე ტუჩები ოდნავ დააშორე ერთმანეთს ხმადაბლა ილაპარაკე ხელები თავისუფლად მოხრილი ფეხები მსუბუქად დააშორე ერთმანეთს დაჯდომისას უკან გადაიხარე და ზევით იყურე სიარულისას მსუბუქი რწევა არ დაგავიწყდეს.*

იოჰანა ჯაგრისს აბაზანაში მოის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრის

**იოჰანა:** *ხელი თმაზე გადაისვი გადაისვი შეხედე გაუღიმე მერე კიდევ გაუღიმე გადაისვი შეხედე გაუღიმე საკუთარ მკერდზე მოისვი საკუთარ ბარძაყებზე მოისვი. კვლავ გაუღიმე შეხედე გვერდზე გაიხედე.*

ფარდა

## 5 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

მაღალი ფანჯარა მიხურულია

ანა ფანჯარასთან დამდგარა

საღამოს კაბაში გამოწყობილ ანას თმები ზევით აუწევია

**ანა:** *წარმოვიდგენ ზღვას და კაცს. გემბანზე დიდ აფრასთან დგას.*

ღრუბლიდან მარტინი ვარდება

პიჟამოიანი მარტინი წევს არ ინძრევა

ანა ტრიალდება

და ფანჯრიდან იყურება

**ანა:** *სოფლის გზა სოფლის გზა გორაკი და გორაკზე მტვრის ღრუბელი მტვრის უზარმაზარი ღრუბელი ახლოვდება აი მეორე ღრუბელიც უფრო მომცრო და ჩქარი ახლოვდება.*

სიწყნარეა.

**ანა:** *ჩაიარა უკვე გაქრა.*

სიწყნარეა

**ანა:** *ორი ღრუბელი დავინახე*

ანა თმებს იშლის

მარტინი ზეზე დგება

ანა ფანჯარას აღებს

ფანჯრიდან ხტება

ფარდა

## 6 ფარდა

ხე

მაღალი ფანჯარა ღიაა

ხეზე ანა ზის

იოჰანა ფანჯარასთან დგას

კოსტიუმში გამოწყობილი იოჰანა ფანჯრიდან იყურება

მარტინი მიწაზე წევს

შარვალ-ხალათითაა

**ანა:** *ახლა ახლავე.*

**იოჰანა:** *ეს პირი ეს თვალები ეს მუსკულატურა*

მარტინი კვნესის

იოჰანა შემოტრიალდება

**ანა:** *მე შენ გკოცნი მე შენ გემრიელად გკოცნი.*

იოჰანა მარტინისკენ მიტრიალდება

ანა კვნესის

**ანა:** *ჩემო მშვენიერო.*

**იოჰანა:** *აბა მარჯვენა წინამხარი. აქეთ-იქით ამოძრავე. კიდურები წამოსწიე. ხელიც.*

იოჰანა კივის

**იოჰანა:** *ხელი ზევით-მეთქი.*

იოჰანა ზურგისკენ ტრიალდება

ფანჯარას ხურავს

ხიდან ანა ვარდება

საზაფხულო კაბა აცვია

და ხვნეშის

**ანა:** *საოცრად მშვენივრად ვილაპარაკე.*

ფარდა

## 7 ფარდა

კარადა

ორი სკამი

ერთ-ერთ სკამზე იოჰანა ზის

ქვედაბოლო და ტყავის ქურთუკი აცვია

იოჰანა ხმამაღლა და ნელა წარმოთქვამს

**იოჰანა:** *იმ ქალს არანორმალურად თეთრი კანი აქვს.*

სიწყნარეა

**იოჰანა:** *თმები კი შავი.*

სიწყნარეა

**იოჰანა:** *ფეხებს შუა იღლიებში მუცელსა და ბარძაყებზე*

სიწყნარეა

**იოჰანა:** *არც კი ინძრევა.*

სიწყნარეა

**იოჰანა:** *თვალები ღია აქვს. ფეხები ულონოდაა ჩამოშვებული. ხელები სახეზე დაუწყვია.*

საშინელი ბრაგა-ბრუგი ისმის შიგნიდან

კარადის კარების მიდამოებში

იოჰანა ყვირის

**იოჰანა:** *მარცხენა მაჯასთან. მარჯვენა წინამხართან იდაყვიდან მაჯამდე*

კარადაში სიწყნარეა

იოჰანა კვნესის

**იოჰანა:** *მის ხელზე მეჭირა ხელი.*

*იოჰანა იცინის*

**იოჰანა:** *ვეუბნებოდი ქვედაბოლოზე ცეცხლს მოგიკიდებო.*

საშინელი ბრაგა-ბრუგის ხმა შიგნიდან

კარადის კარებთან

იოჰანა ტაშს შემოკრავს

**იოჰანა:** *ქვედაბოლო წინდები ფეხები*

იოჰანა წამოხტება

კარადის კარებზე აბრახუნებს

კარადაში სიწყნარეა

იოჰანა იცინის

**იოჰანა:** *ყველაფერი დავინახე.*

იოჰანა სკამზე ჯდება

**იოჰანა:** *მშვენიერი ბავშვია.*

ჩუმი კაკუნის ხმა შიგნიდან

კარადის კარების მიდამოებში

**იოჰანა:** *ჩემი მშვენიერი ბავშვი.*

კარადაში სიწყნარეა

იოჰანა წამოდგება

კარადასთან მიდის

იოჰანა ჩურჩულებს

**იოჰანა:** *ჩემი ცეცხლი.*

ფარდა

## 8 ფარდა

კარადა

სკამი

სკამზე ანა ზის

დილის ხალათშია

**ანა:** *ის ქალი მშვენიერია. ულამაზესი თეთრი ფეხები აქვს. არაფერს ამბობს. მხრებში იხრება. იდაყვები სხეულზე მიუჭერია და ხელები ჩამოუშვია. არაფერს ამბობს. ფანჯრის რაფაზე ზის.*

ანა იცინის

**ანა:** *თვალები სულ ზევით მიურბის. სახეც სულ ზევით-ზევით მიაქვს.*

ანა იცინის

**ანა:** *სადღაც მაღლა ამბობს მეო.*

ანა კვნესის

**ანა:** *ფანჯრის რაფაზე შემომჯდარა.*

ანა კვნესის

**ანა:** *ინძრევა ინძრევა.*

ანა ხელს მაღლა წევს

იმანჭება

ანა ყვირის

**ანა:** *თმებში წავავლე ხელი.*

კარადიდან იოჰანა ვარდება

საღამოს კაბა აცვია

ანა იცინის

**ანა:** *მთელი ბღუჯა თმა შემრჩა ხელში.*

ფარდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

მაღალი ფანჯარა გაღებულია

ანას ქვედაბოლო და კოფთა აცვია

ფანჯრიდან იყურება

იოჰანა კოსტუმშია

ფანჯრიდან იყურება

ანა: *ორ გოგონას ვხედავ. უყურე. ორ ნაწნავებიან გოგონას. ნელ-ნელა მიდიან.*

სიწყნარეა

ანა: *ყვავილებს კრეფენ. მერე სხედან და კრავენ. შეხედე.*

იოჰანა ანას მიმართავს

იოჰანა: *ნება მომეცი.*

ანა ტრიალდება

იოჰანა კოფთას უხსნის

ანას ბუზჰალტერი აცვია

იოჰანა იცინის

ანა კოფთას იკრავს

იოჰანა ზურგს აქცევს

ანა ფანჯარას ხურავს

ანა: *მესმის როგორ იცინის. სამი წელია უკვე აქაა. მეორე სართულზე. მესმის, როგორ მღერის. რვა საათზე სასეირნოდ მიდის. შეხედე. მდინარეზე გადადის.*

იიოჰანა ბოლთას სცემს

ანა: *ტყავის წითელი ქურთუკი აცვია. წითელი თმა აქვს.*

იოჰანა იცინის

ანა ხმამაღლა ამბობს

ანა: *არა.*

იოჰანა იცინის

ანა ხმას უდაბლებს

ანა: *წაბლის ხე.*

ანა ნელა და ხმამაღლა წარმოთქვამს

ანა: *ტყავის ქურთუკი. ამოსხმული ჩექმები. ქვედაბოლო და ტყავის ქურთუკი.*

ანა ხმას უდაბლებს

ანა: *აგერ ისიც გაჩერდა.*

სიწყნარეა

იოჰანა ანასკენ ტრიალდება

ანა: *წყალი ძალიან ცივია. ბევრად უფრო ცივი.*

იოჰანა ანას საჯდომზე ავლებს ხელს

იოჰანა: *გამხდარი. პატარა. ნაოჭებიანი.*

ანა ზურგს აქცევს

ნელა და ხმამაღლა ამბობს

ანა: *წვეტიანი წითელი ჩექმები. ტყავის.*

ანა ტრიალდება

ფანჯრიდან იყურება

ანა კვნესის

ანა: *კარგი წყალი.*

იოჰანა იცინის

ღრუბლიდან გეორგი ვარდება

კოსტუმიანი გეორგი ფეხზე დგება

ანა კვნესის

იოჰანა გეორგისკენ ტრიალდება

იოჰანა ხმამაღლა ამბობს

იოჰანა: *მარცხენა ხელი მარჯვენა საიდუმლო ფოსოში. მარჯვენა ხელი მარცხენა საიდუმლო ფოსოში.*

გეორგი ზურგს აქცევს

ფანჯარასთან მიდის

გეორგი ანას გვერდში ამოუდგება

და ფანჯრიდან იყურება

იოჰანა ბოლთას სცემს

ანა: *საძილე ოთახის ფანჯრები ხილის ბაღში გადის. ოთახი გრძელია. საწოლები ერთმანეთის მიყოლებითაა ჩარიგებული. კედლებზე შვედური შპალერია აკრული. ცისფერი.*

ანა ჩურჩულებს

ანა: *შემპირდა ცისფერ თეთრეულს მოგცემო.*

იოჰანა იცინის

ანა ხმამაღლა და ნელა ამბობს

ანა: *ზიზილები ჩემს საწოლზე აწყვია.*

გეორგი კვნესის

უკანალზე ხელს ავლებს

იოჰანა წამოიყვირებს

ანა იცინის

ანა: *ყვითელი მთვარე ყვითელი ვაშლი.*

გეორგი კვნესის

ანა ჩურჩულებს

ანა: *ყვითელი ყვითელი ძლიერ ყვითელი.*

გეორგი იცინის გეორგი კვნესის

იოჰანა ფანჯარას მივარდება

გამოაღებს და ყვირის

იოჰანა: *ეს სულ ასე შვება.*

ანა იცინის

იოჰანა ყირავდება

გეორგი კვნესის

ანა: *ის აღარ ინძრევა.*

ფარდა

## 10 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

მაღალი ტალღები

ნაპირზე იოჰანა წევს

ცისფერი საბანაო კოსტუმი აცვია

და წითელი თმა აქვს

იოჰანა გვერდზე ტრიალდება

იოჰანა: *არ დავიძინებ.*

იოჰანა გვერდს იცვლის

იოჰანა: *დავიძინებ.*

იოჰანა გვერდს იცვლის

იოჰანა: *ეს უკვე მეორედ ხდება მის თვალწინ რომ ვიძინებ*

იოჰანა ხვნეშის

იოჰანა: *კაბა უკნიდან ეკვრება.*

ტალღებში ანა გამოჩნდება

ანას თეთრი საბანაო კოსტუმი აცვია

და ქერაა

ანა იოჰანას მიუჯდება

იოჰანა ხვნეშის

იოჰანა: *არ ინძრევა*

იოჰანა ხვნეშის

ანა ზღვას გაჰყურებს

იოჰანა: *ულამაზესი ფეხები. ულამაზესი.*

ანა ხვნეშის

ანა: *ბოროტი წყალი.*

იოჰანა წამოჯდება

და ზღვას გაჰყურებს

იოჰანა: *ცივი ხელები აქვს.*

ანა კვნესის

ანა: თითები.

იოჰანა ნელა და ხმამაღლა ამბობს

იოჰანა: *თითებს ამოძრავებს.*

ანა ნელა და ხმამაღლა ამბობს

ანა: *არაა მტკივნეული. სულ არაა მტკივნეული.*

იოჰანა: *არა.*

ანა: *კარგია.*

ანა გვერდზე გადავარდება

იოჰანა: *ჩვეულებრივად გამოიყურება. არაფერი განსაკუთრებული.*

იოჰანა ხვნეშის

იოჰანა: *ძალიან დიდი პირი აქვს.*

ღრუბლიდან მარტინი ვარდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

შარვალ-ხალათიანი მარტინი გაუნძრევლად წევს

**იოჰანა:** *ის ქალი ჩემზე ბევრად დიდი არ ჩანს. ერთად რომ ვიცეკვეთ, თითქოს უფრო დიდი იყო.*

მარტინი ხვნეშის

**იოჰანა:** *შემოტმასნილი კაბა. ოქროს სამაჯურები.*

მარტინი ხვნეშის

გვერდზე ბრუნდება

**იოჰანა:** *ოქროს სამაჯურიან მკლავებს მიწვდის.*

მარტინი ხვნეშის

გვერდზე ტრიალდება

**იოჰანა:** *კარადას აღებს. კარადაში ფეხსაცმელები აწყვია. ოცდათექვსმეტი წყვილი ფეხსაცმელი.*

მარტინი ხვნეშის

გვერდზე ტრიალდება

იოჰანა ხმამაღლა და ნელა ამბობს

**იოჰანა:** *წითელწვრილცხვირიანი ლაკის ჩექმები*

მარტინი დგება

მარტინი ანას მიუწვება

**იოჰანა:** *ლაკის ჩექმები*

მარტინი ანას ეფერება

ჩუმად ამბობს

**მარტინი:** *ზევიდან ქვევით*

**იოჰანა:** *მერე გაეღვიძა. ბევრი ვიცინეთ. მერე ისევ დაეძინა.*

მარტინმა ხმას აუწია

**მარტინი:** *ზევიდან ქვევით*

**იოჰანა:** *ჰო, იცინა. აი, აბრეშუმის კაბა აცვია. მის ზურგს ვხედავ. ჰო, ზურგს კისერს მკლავს მკლავებს წვეტიან იდაყვებს*

მარტინი ყვირის

**მარტინი:** *ზევიდან ქვევით*

იოჰანა იცინის

**იოჰანა:** *ცისფერი ცისფერი ცისფერი.*

იოჰანა წამოდგება

და ზღვას გაჰყურებს

**იოჰანა:** *რა კარგია. როგორი სითბოა.*

ფარდა

## 11 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

მაღალი ტალღები

ნაპირზე ანა დგას

საღამოს კაბა აცვია ზიზილა უკავია

ანა ზღვას გაჰყურებს

**ანა:** *არა. ჰო ჰო.*

ანა იცინის

**ანა:** *აფეთქება.*

ანა ჩურჩულებს

**ანა:** *ჰო.*

ანა ზიზილას ზღვაში აგდებს

ანა ტრიალდება

**ანა:** *ხელები გადარჩა. ფეხები გადარჩა.*

ანა კაბას იხდის

ნელ-ნელა იხდის

კვნესის

**ანა:** *ესეც ასე.*

ანა ხმამაღლა ამბობს

**ანა:** *აქ. აქვე.*

ანა ხმას უმაღლებს

**ანა:** *აქვე. ასე.*

ანა კაბას ხელს უშვებს

ტრიალდება

ჩურჩულებს

**ანა:** *გრძელი თმები მაქვს*

ანა იკაწრება

**ანა:** *კოჭებზე მცემს*

ანა იღრიჭება

**ანა:** *თან შავია.*

ანა ილოკება

**ანა:** *ტანზე შემოტმასნია.*

ანა იცინის

ანა თავით ყირავდება

**ანა:** *აბა კიდევ ერთხელ.*

ანა წამოდგება

შეტრიალდება

კვნესის იკრუნჩხება

ანა იცინის

შემოტრიალდება

ანა ჩურჩულებს

**ანა:** *მომკრო პასაჟები.*

სიწყნარეა

ანა ზღვას გაჰყურებს

ანა ნელა და ხმამაღლა ლაპარაკობს

**ანა:** *აი, ახლა ქურთუკს იხდის. კოფთა არ აცვია. ფეხსაცმელებიც გაიხადა. საათი მოიხსნა. ქვედაბოლოს იხსნის და ფეხებზე იცურებს. მარჯვენა ხელით დანას იღებს. ღრმად ისუნთქავს. ხმამაღლა ყვირის. უფრო ღრმად ისუნთქავს. ყვირის. ხელი უკანკალებს. ზურგს ჭიმავს. მარჯვენა ხელი უკანკალებს. მარცხენას აშველებს. მარცხენა ხელით მარჯვენას უჭერს.*

ანა ყვირის

ანა მოსხლეტით ეცემა

სიწყნარეა

**ანა:** *კიდევ ერთხელ.*

ანა წამოდგება

მარცხენა ხელი

მარჯვენა იღლიის ფოსოშია

მარჯვენა ხელი

მარცხენა იღლიის ფოსოშია

ანა შედის წყალში

ფარდა

## 12 ფარდა

ღრუბელი დიდი ღრუბელი

ღრუბლის უკან მარტინი და გეორგი

ჩურჩული ყვირილი და კვნესა

## ფარდა

# რობერტ მენასე*

## მარგარეტ კრაიდლის შესახებ

მარგარეტ კრაიდლთან კაცები რაღაც სულ ღრუბლიდან ცვივიან. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ყველაფერი საუკეთესო ზევიდან გვეძლევა? ან იქნებ იმას, რომ, მართალია, ცა მაღალია, სამაგიეროდ მიწაა მაგარი?

მარგარეტ კრაიდლისათვის სამოქმედო სივრცე სცენაა, სადაც ყოველ მოძრაობას რაღაც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ძნელია, ამ ავტორზე ლაპარაკი. ყოველი სიტყვა ორაზროვანი ხდება. სცენები, სულ სცენები. ის ჩემთვის სცენას დგამს. მკითხველი თუ მაყურებელი სულ ერთმანეთს მიყოლებულ სცენებს ადევნებს თვალს. თითქოს ეს ფრაზა უფრო დრამატულად ჟღერს და რეალურ სურათს ვერ გვიხატავს. თუმცა, ზუსტად განსაზღვრავს მარგარეტ კრაიდლის ცხოვრებისეულ თუ შემოქმედებით მრწამსს. სწორედ ასე, უფრო დრამატული, ვიდრე სინამდვილეშია. ეს იმაზეცაა დამოკიდებული, ჩვენ ტექსტში ჩავღრმავდებით, თუ პირიქით, იქიდან ამოვალთ.

სამწუხაროდ, ჯერ არ მინახავს კრაიდლის პიესებზე შექმნილი სპექტაკლები (ბევრი არც ყოფილა, სულ რამდენიმეა და ძალიან წარმატებულიც). თუმცა სულ ვუყურებ ხოლმე კრაიდლის წარმოდგენებს, კერძოდ მაშინ, როცა მის პიესებს ვკითხულობ. ძალიან მომწონს, რასაც ვხედავ: სცენაზე სიტყვების ცვენა კი არაა, ადამიანების ცვენაა. ეს წმინდა თეატრალური ნაწარმოებია: სამყაროს არენაზე ადამიანები არა მარტო გამოდიან, არამედ ზოგიერთი თავისი უეცარი გამოჩენით ციდან მოვლენილს ემსგავსება ხოლმე.

კრაიდლის პიესებში ყოველთვის ნათლად ვხედავ რეჟისორსაც. შეიძლება ითქვას, იგი მთავარი ფიგურაა მის სცენაზე: სარეჟისორო მითითებანი ტექსტის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილებია. ისინი არა მარტო უნდა შეასრულო, სიტყვიერადაც უნდა გამოხატო. ტექსტი რეჟისორსაც თავის ნებაზე ათამაშებს და სცენისკენ ექაჩება.

მარგარეტ კრაიდლი ძლიერი ავტორია. ის სწორ გზაზე დგას და დიდ მნიშვნელობასაც შეიძენს. თუმცა ჯერჯერობით სიტყვათა მნიშვნელობას უდგას კვალში და აქეთ იმორჩილებს. სულაც არ გამიკვირდება, თუ ერთ დღეს ღრუბლიდან მისი მკითხველების ცვენა დაიწყება.

---

** რობერტ მენასე - (დ.1954) მწერალი, ესეისტი, მთარგმნელი*

*1981-86 წ.წ. კითხულობდა ავსტრიული ლიტერატურის კურსს სან-პაულუს უნივერსიტეტში (ბრაზილია). შემუშავებული აქვს ლიტერატურაში სოციალური პარტნიორობის თეორია. პირველმა მიიღო დოდერერის (1991) და ზახერ-მაზოხის (1994) პრემიები. გამოქვეყნებული აქვს რომანები, ესეები.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# "ახალი მოლოდინების" ფაზა

*"რობინზონ კრუზო შეიბნენ,*
*მიწას გაჰქონდა გრიალი,*
*რობინზონმა კრუზო დასცა,*
*დააწყებინა ღრიალი."*

*გურამ დოჩანაშვილი,*
*"ხორუმი ქართული ცეკვაა"*





გასული წლის 27 ნოემბერს, კავკასიური ინსტიტუტის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე, ფილოსოფოსმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საპარლამენტო არჩევნების წინ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სივრცეს "მოლოდინების ველი" უწოდა. მან თქვა, რომ არასამთავრობო სექტორმა და პრესამ მთელი წინასაარჩევნო პერიოდი იმის მოლოდინში გალია, რომ საარჩევნო სიაში ზურაბ ჟვანია სწორედ მას ჩასვამდა. ჭიაბერაშვილის აზრით, მოლოდინების ველში აღმოჩენილმა მესამე სექტორმა მტკიცედ თვითონაც არ იცოდა, რა სურდა.

* * *

განვლილმა ერთმა წელიწადმა დაადასტურა, რომ არა მხოლოდ მესამე სექტორი, არამედ მთელი საზოგადოება აგრძელებს "მოლოდინების ველში" ცხოვრებას და სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება პრობლემა - რა გვსურს ჩვენ. აშკარაა გარდაქმნების, ახალი აზროვნების, ახალი პოლიტიკური პარტიის თუ ახალი ლიდერების დეფიციტი. პარლამენტისა და მთავრობის ხელახლა დაკომპლექტება საკმარისი არ აღმოჩნდა თვისებრივი ცვლილებებისთვის. შესაბამისად, საზოგადოებამ ახალი, მძაფრი მოლოდინების ფაზაში შეაბიჯა.

მთავარი მოლოდინი უკავშირდება იმ რეალობას, რომ უახლოესი 2-3 წლის მანძილზე უნდა გადაწყდეს, როგორი პრეზიდენტი ეყოლება ქვეყანას ედუარდ შევარდნაძის შემდეგ და, შესაბამისად, როგორი ქვეყანა იქნება საქართველო.

არსებობს მოლოდინი, რომ ეს წლები მშვიდად ვერ ჩაივლის და საბოლოო შედეგის დადგომამდე თითოეული ჩვენგანი მოწმე და მონაწილე იქნება ამბიციების, ემოციების, მსოფლმხედველობების და ფინანსური ინტერესების ჭიდილისა.

პოლიტიკურ სპექტრში მოსალოდნელია მუდმივი მოძრაობა მანამ, სანამ თანამოაზრეები და თანამებრძოლები საბოლოოდ მოძებნიან ერთმანეთს, სანამ პრეზიდენტობის ახალი კანდიდატები საბოლოოდ დაალაგებენ პოლიტიკურ ინტერიერს. ამიტომ, ის პოლიტიკური სიახლეები, რისი მოწმეც უკვე შეიქნა ქართული საზოგადოება, ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისია და გადაჭარბებულ შეფასებას არ იმსახურებს.

მაგრამ რადგან ქვეყნის და მისი პრეზიდენტის ბედს საბოლოოდ მოსახლეობა წყვეტს, თითოეული ჩვენგანის ვალია, თვალი მივადევნოთ პროცესებს და ვიფიქროთ იმაზე, რაც დღეს ხდება ან ხვალ მოხდება. შეძლებს თუ ვერა მომავალი არჩევნებისთვის საზოგადოება ხელისუფლებასთან უფრო სრულფასოვანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ვიდრე ეს გასულ არჩევნებში იყო; განხორციელდება თუ არა ის "ახალი მოლოდინები", რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი განიცდის - იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოვისურვებთ და შევძლებთ ჩვენი საერთო ინტერესების დაცვას.

* * *

ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, რაც "ახალი მოლოდინების" ფაზაში განხორციელდა, არის განხეთქილება საპარლამენტო უმრავლესობაში და ახალი ფრაქციის შექმნა პარლამენტში; აგრეთვე, ახალი მოძრაობის დაარსება პარლამენტს მიღმა. საინფორმაციო საშუალებებმა ფართოდ გააშუქეს ეს სიახლე, მაგრამ ბევრი შეკითხვის პასუხი ვერ მოძებნეს. ეს ისეთი შეკითხვებია, რომელთა ნაღდი პასუხებიც პოლიტიკის ღრმა კულუარებში ძევს, მაგრამ სავარაუდო პასუხებს ჩემი კოლეგები ყოველდღიურად სთავაზობდნენ საზოგადოებას. დღეს ჩვენც - მკითხველთან ერთად - სწორედ ამას შევეცდებით.

* * *

**პირველი შეკითხვა:** რისთვის შეიქმნა ახალი ფრაქცია, ანუ რა არის მისი არსებითი ფუნქცია?

ამ შეკითხვაზე მინიმუმ სამი სავარაუდო პასუხი არსებობს.

1. შესაძლოა, "ახალი ფრაქციის" შექმნის მიზანია, გააღრმაოს კრიზისი უმრავლესობაში და დააჩქაროს მისი საბოლოო დაშლა.

თავდაპირველად უმრავლესობას ჩამოსცილდა ფრაქცია "აფხაზეთი"; შემდეგ შეიქმნა "ახალი ფრაქცია"; თუ პროცესი ამით არ დასრულდა, შესაძლოა, მომავალი თვეების ან წლების განმავლობაში უმრავლესობას კიდევ რამდენიმე ჯგუფი გამოეყოს და, საბოლოოდ, ოფიციალურად ჩამოყალიბდეს ახალი საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც უმცირესობაში დატოვებს რეფორმატორთა გუნდს და რომელიც ბუნებრივად შეეცდება პარლამენტის ხელმძღვანელობის შეცვლას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ფუნქციას შეიძენს დღევანდელი უმცირესობა და მრეწველთა ფრაქციის როლიც გაიზრდება.

29 აგვისტოს "ახლმა თაობამ" გამოაქვეყნა ინტერვიუ ნაციონალისტური პარტიის ლიდერთან - ზაზა ვაშაყმაძესთან - სათაურით: **"ვინ მოასწრო აბაშიძის დაბევება - ჟვანიამ თუ ლეკიშვილმა?"** ამ ინტერვიუში აღორძინების კავშირთან დაახლოებული ზაზა ვაშაყმაძე ამბობს, რომ მისი ინფორმაციით და ანალიზით, მმართველ პარტიაში დღის წესრიგში დგას პარლამენტის თავმჯდომარის "დაჩოჩების" საკითხი: **"ლაპარაკი მიდიოდა იმაზე, თუ როგორ შექმნილიყო პარლამენტში ახალი უმრავლესობა. აქ საუბარი იქნებოდა გარდამავალ პერიოდზე. ჟვანიას გუნდი რომ არ გაძლიერებულიყო, ახალ არჩევნებამდე შეიქმნებოდა ახალი უმრავლესობა, რომელშიც იქნებოდნენ მრეწველები, აღორძინება და მოქალაქეთა კავშირის კონსერვატიული ძალები. ჟვანია კი უმცირესობაში მოხვდებოდა."**

შესაძლოა, სინამდვილეში, ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბების ვერსია უსაფუძვლოა და მას ხელოვნურად ამკვიდრებენ. მაგრამ ზოგიერთი მინისტრის დამტკიცების ისტორია და ზოგიერთი სადავო კენჭისყრისას ხმების გადანაწილება ამ ვერსიას არსებობის უფლებას ანიჭებს.

2. მეორე ვერსიის თანახმად, უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავლესობიდან პატარ-პატარა ფრაქციების გამოცალკევება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ შესაძლებელია "ახლი ფრაქციის" შევსება თანამოაზრეებით. ეს ვერსია გულისხმობს არა მხოლოდ ფრაქციის, არამედ - პარლამენტს მიღმა არსებული ახალი მოძრაობის გაძლიერებასაც. ამ პროცესის მიზანი შეიძლება იყოს პროდასავლური ორიენტაციის ახალი ლიდერის წამოწევა - ჟვანიას საპირწონედ და ალტერნატივად.

ამ კონტექსტში უკვე ბევრჯერ გაიჟღერა შეკითხვამ: **"ვინ დგას გამყრელიძისა და გაჩეჩილაძის უკან?"** პასუხად დასახელდა არაერთი პიროვნება, მათ შორის, ვაჟა ლორთქიფანიძე, ნიკო ლეკიშვილი და პაატა შევარდნაძე. გამყრელიძის ბიზნესთან და ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით, 22 სექტემბერს პარლამენტში გაიჟღერა კახა თარგამაძის გვარმაც და მეორე დღესვე "ალიაში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც ვკითხულობთ: **"როგორც ვაშლიჯვრის ოფისიდან გამოსული ხმები მეტყველებს, შიდა წრეში შევარდნაძის მემკვიდრეებად კახა თარგამაძე და ზურაბ ჟვანია დასახელდნენ"** (თეა რუსიტაშვილი).

ბუნებრივია, მორიგ არჩევნებამდე დარჩენილ წლებში პრეზიდენტობის კანდიდატები ციდან ვერ ჩამოცვივდებიან, ისინი უნდა მოვიაზროთ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც დღეს უკვე მოღვაწეობენ პოლიტიკურ ასპარეზზე და რომლებსაც საზოგადოება იცნობს. ამ თვალსაზრისით, ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი გვარი საინტერესოა, მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივია ამ კონტექსტში პაატა შევარდნაძის მოხსენიება. მისი გვარი, შეიძლება, განსაკუთრებით არასასურველი აღმოჩნდეს ორივე მხარისთვის: შეშფოთება შეიტანოს ჟვანიას ბანაკში და პოტენციური მომხრეები ჩამოაცილოს ახალ მოძრაობას. ასე რომ, არ არის გამორიცხული, პაატა შევარდნაძის დაჟინებული ხსენებით ვინმე ჟვანიას და გამყრელიძის დაზარალებას ერთდროულად ცდილობდეს.

მეორე მხრივ, უნდა ვაღიაროთ, რომ შევარდნაძის გვარი, ასეა თუ ისე, საქართველოში თავის საგანგებო წონას ინარჩუნებს.

თუ მეორე ვერსია - ახალი ლიდერის წამოწევა - რეალობას უახლოვდება, ჯერჯერობით, საზოგადოებისთვის ბუნდოვანია, ვინ შეიძლება რეალურად იდგეს ახალი მოძრაობის და ახალი ფრაქციის უკან. საფიქრებელია, რომ ამ კითხვას პასუხი ბევრ სხვა კითხვაზე ადრე გაეცემა.

3. მესამე ვერსიის თანახმად, შესაძლოა, "ახალი ფრაქციის" შექმნას არავითარი გაგრძელება არ მოჰყვეს იმის გარდა, რომ ჟვანიას და გამყრელიძის გუნდებმა გააგრძელონ ერთმანეთის "ჩაძირვა", ერთმანეთზე კომპრომატების მოძიება და გამოქვეყნება. ამ ვერსიის თანახმად, განხეთქილების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჟვანიას ირგვლივ შემოკრებილი აქტიური გუნდის დაშლაა. შესაძლოა, ამ გუნდს, თავისი აგრესიული პოლიტიკით, ზედმეტი პრობლემები შეექმნა ბალანსის და ფრთხილი პოლიტიკის მოყვარული პრეზიდენტისთვის; აგრეთვე, ზოგიერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკისთვის. ამიტომ, შესაძლოა, ვიღაცამ იზრუნა ამ გუნდის გათიშვასა და დაპირისპირებაზე: ამიერიდან მათი საბრძოლო ენერგია მიმართულია არა საერთო მეტოქის წინააღმდეგ, არამედ - ერთმანეთის დასასუსტებლად. რაც მთავარია, ისინი ასუსტებენ ერთმანეთს და ცალ-ცალკე აძლიერებენ პრეზიდენტს. თუ ეს ვერსია რეალობას ასახავს, მომავალში მოსალოდნელია პრეზიდენტის მხარდაჭერა გამყრელიძის გუნდის მიმართ, რადგან "ახლები", ჯერჯერობით, ჟვანიას გუნდს კონკურენციას ვერ უწევენ. შესაძლოა, სწორედ ამ მხარდაჭერის გამოხატულებაა ახალი მოძრაობა, რომლის საინიციატივო ჯგუფში აღმოჩნდა პრეზიდენტის ერთგული არაერთი გავლენიანი პიროვნება.

* * *

ზემოთ განხილული სამივე ვერსია - ახლი უმრავლესობის შექმნა, ახალი ლიდერის წარმოჩენა, ან ჟვანიას გუნდის გათიშვა და დასუსტება - თავისთავად გულისხმობს, რომ დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე დამოუკიდებლად არ მოქმედებენ - მათ გადაწყვეტილებებს უჩინარი ხელი მართავს.

**მეორე შეკითხვა**: რამდენად შესაძლებელია, რომ ამ ტანდემს ვინმე თავისი ინტერესების გასატარებლად იყენებდეს?

რასაკვირველია, თავად გამყრელიძე და გაჩეჩილაძე ასეთ შესაძლებლობას მთლიანად გამორიცხავენ - როგორც საჯარო გამოსვლებისას, ისე პირად საუბარში. ისინი გულწრფელად ენდობიან საკუთარ ალღოს და პოლიტიკურ გამოცდილებას: მათ ვერავინ გამოიყენებს.

თუმცა, ეჭვისთვის საფუძველი მაინც არსებობს. ამის დასტურად ერთი ცნობილი ამბავი უნდა გავიხსენოთ.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოება ელოდა განუკითხაობის ხანის დასრულებას და ედუარდ შევარდნაძის იმ წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას, რომ დამნაშავეების დასჯისას მას ხელი არ აუკანკალდება.

რამდენად მოსალოდნელი იყო ცვლილებები, ეს მთავრობის ახალ შემადგენლობას უნდა წარმოეჩინა. პარლამენტი საბრძოლოდ იყო განწყობილი და მთავრობის თვისებრივ შეცვლას უჭერდა მხარს. ალბათ, ამ პროცესის მოსამზადებლად, 1999 წლის ბიუჯეტის შესრულება 27 აპრილს უმრავლესობის სხდომაზე უარყოფითად შეფასდა. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა გიგი წერეთელმა ფრაზამ, რომ თუ პარლამენტი 1999 წელს მთავრობის საქმიანობას დადებითად მიიჩნევს, **"პარლამენტს აზრა უნდა შევუცვალოთ და დავაწეროთ - "ფსიქიატრიული საავადმყოფო"**. ბიუჯეტის შესრულება არადამაკმაყოფილებლად შეაფასა კონტროლის პალატის მაშინდელმა თავმჯდომარემ რეზო შავიშვილმაც.

ამის შემდეგ ჩატარდა ეკონომიკური პროფილის ხუთი საპარლამენტო კომიტეტის ერთობლივი სხდომა და კიდევ ერთხელ საჯაროდ გამოცხადდა, რომ მთავრობა "ოროსანია". ეს ნაბიჯები ბუნებრივად ამზადებდა იმ პროცესს, რომ პარლამენტს "ოროსანი" მთავრობა აღარ დაემტკიცებინა და, პრეზიდენტთან შეთანხმებით (შესაძლოა, პრეზიდენტზე ზეწოლით), იგი ახალი მინისტრებით დაეკომპლექტებინა.

მაგრამ გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ტანდემმა იჩქარა და პირადი ინიციატივის გამოჩენა გადაწყვიტა. მათმა მაშინდელმა თანამოაზრემ - კობა დავითაშვილმა - დაიწყო ხელმოწერების შეგროვება 1999 წელს მთავრობის საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შესაქმნელად. იმის გამო, რომ უმრავლესობა უკვე შემზადებული იყო მთავრობის საქმიანობის უარყოფითი შეფასებისთვის, პარლამენტარებმა ამ ინიციატივას ხელმოწერებით დაუჭირეს მხარი. პირველი ადამიანი, რომელმაც იკითხა, ვისთან იყო შეთანხმებული კომისიის შექმნა, აღმოჩნდა მეასე ხელმომწერი - ედვარდ სურმანიძე. მას უპასუხეს, რომ - არავისთან, რაც სრულიად სიმართლე იყო. ამ პერიოდში არც ჟვანია და არც სააკაშვილი თბილისში არ იმყოფებოდნენ. პარალელურად, ტრადიციონალისტები აგროვებდნენ ხელმოწერებს იმ მოთხოვნით, რომ პარლამენტს დაეწყო მსჯელობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე და მინისტრთა კაბინეტზე.

პრეზიდენტმა თბილისში დაბრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული ლიდერები მკაცრად გააკრიტიკა ამ ხელმოწერებისთვის და მასთან შეუთანხმებელი ინიციატივებისთვის. მან კატეგორიულად მოითხოვა პარტიული დისციპლინის გამკაცრება და ანტისამთავრობო ხელმოწერები პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობად შეაფასა.

იმის მიუხედავად, რომ საპარლამენტო კომისიის შექმნის სურვილი სრულიად ეთიკური და კანონიერი იყო, პრეზიდენტმა მთავრობის დაკომპლექტების წინ მძაფრი კონფლიქტის მოწყობით, იმპიჩმენტის ხსენებით, ფაქტობრივად, განაიარაღა საბრძოლოდ განწყობილი უმრავლესობა. ზურაბ ჟვანია იძულებული შეიქნა, უყოყმანოდ დამდგარიყო პრეზიდენტის გვერდით და გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ტანდემი გაეწირა. შედეგად, მოიგო პრეზიდენტმა, რომელიც, როგორც შემდეგ დადასტურდა, სულაც არ აპირებდა მთავრობის განახლებას. მან ძველი შემადგენლობიდან 14 მინისტრს დაუჭირა მხარი. ასეთი კონფლიქტის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დათანხმდა.

გამოიყენა თუ არა ვინმემ დავით გამყრელიძის და ლევან გაჩეჩილაძის აქტიურობა ძველი მთავრობის ხელახლა დასამტკიცებლად? უკარნახა თუ არა თუნდაც ერთ-ერთ მათგანს ვინმემ, რომ ასეთი ინიციატივა დადებითად იმოქმედებდა მათ იმიჯზე - მით უმეტეს, რომ დაახლოებით ამ პერიოდში საუბარი იყო გამყრელიძის და გაჩეჩილაძის გადანაცვლებაზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში?

ამ კითხვებზე პასუხი საზოგადოებისთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, თუ გამყრელიძე და გაჩეჩილაძე საკუთარი გათვლებით მოქმედებდნენ, აშარაა, რომ მათ პოლიტიკურმა ალღომ უმტყუნა. მათი შემდგომი პრობლემები სწორედ ამ პირადი ინციატივის გვიანი შედეგებია.

* * *

ახლა განვიხილოთ ის ვერსია, რომ დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე დამოუკიდებლად მოქმედებენ და მათი შეცდომების მიზეზი მხოლოდ მწირი პოლიტიკური გამოცდილებაა.

ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე გვქონდეს მოვლენების განვითარების ორიდან ერთ-ერთ სცენართან.

1. გარდაქმნების სურვილით ანთებული, აქტიური ბიზნესიდან პარლამენტში მოსული პიროვნებები განიხიბლნენ მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორული გუნდით. მათ პოლიტიკაში დაინახეს უფრო მეტი კომპრომისი და სიცრუე, ვიდრე წარმოედგინათ და გადაწყვიტეს, პასუხისმგებლობებისგან გათავისუფლებულებმა, დამოუკიდებლად იმოქმედონ; საკუთარი პასუხისმგებლობა საქმით გამოხატონ და არა ლაყბობით. დაახლოებით ასე ჟღერს მოვლენების განვითარების ის სცენარი, რომელსაც მეამბოხე ჯგუფი საზოგადოებას სთავაზობს. ამბოხის თემას ჩვენ ქვევით დავუბრუნდებით.

2. შესაძლოა, გამყრელიძის და გაჩეჩილაძის პროტესტს საფუძვლად დაედო ამბიციების მაღალი ხარისხი. მათ სურდათ, ქვეყანას უკეთ გაეცნო თავისი გმირები. პარლამენტში მოსვლის შემდეგ მათ სურდათ გადასვლა მთავრობაში და - მინისტრების პოსტებზე საქმიანობით - საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენა. ახლა კი მათ ამოძრავებთ წყენა იმის გამო, რომ ჟვანიამ არ შეასრულა პირობა და, თანადგომის ნაცვლად, პირველივე კონფლიქტურ სიტუაციაში გაწირა ყოფილი თანაგუნდელები. ასეთია პრესის ერთი ნაწილის აზრი გამყრელიძის და გაჩეჩილაძის მიერ ახალი მოძრაობის და ფრაქციის შექმნის ნამდვილ მიზეზებზე.

* * *

იმ შემთხვევაშიც, თუ მეამბოხეები დამოუკიდებლად მოქმედებენ და იმ შემთხვევაშიც, თუ მათი გამოუცდელობით ვინმე გაცილებით გამოცდილი სარგებლობს - რაკი ურთიერთდაპირისპირებული ორი მხარე წარმოიშვა, - ამ ბრძოლაში შენაძენს და დანაკარგს ვერც ერთი მათგანი ვერ აცდება.

იმის მიუხედავად, რომ ახალი ფრაქცია მხოლოდ წინა კვირის ორშაბათს დაფუძნდა, მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ ნამატსა და დანაკარგზე პირველი საუბარი უკვე შესაძლებელია.

**მესამე შეკითხვა**: რა სარგებლობა მოუტანა განხეთქილებამ გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ჯგუფს?

ა) ახალ მოძრაობაში მათ თანამოაზრეთა რიგებში აღმოჩნდა ბევრი ისეთი ადამიანი, რომელსაც საზოგადოება ენდობა და აფასებს. ამან "ახალი სახეების" ამბოხს მნიშვნელობა და ალტერნატიული ფონი შესძინა.

ბ) თავად დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე კვირანახევრის განმავლობაში გაცილებით აქტიურად დაფიქსირდნენ საზოგადოების ცნობიერებაში, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში.

გ) საზოგადოებაში აშკარად იგრძნობა განხიბვლა არსებული პოლიტიკური ძალებით. თუ "ახლების" მიერ ხელისუფლების კრიტიკა იქნება არგუმენტირებული და მათ მიერ მოპოვებული კომპრომატები - საინტერესო, მეამბოხეებს შეიძლება ჰქონდეთ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი. ამას ხელს უწყობს გამყრელიძის რესპექტაბელური იმიჯი და სიმპათია, რასაც გაჩეჩილაძე იწვევს საუბრის გულწრფელი და ემოციური მანერით. ეს ის შთაბეჭდილებაა, რასაც ბოლოხანს საზოგადოებაში ხშირად მოისმენთ.

**მეოთხე შეკითხვა**: რა ვნება მოუტანა განხეთქილებამ გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ჯგუფს?

ა) მათი ამბოხი, სინამდვილეში, მხოლოდ ამბოხის სიმულაციაა - რადგან ჭეშმარიტი მეამბოხე არის ის, ვინც ამბობს "არა"-ს და, ამის სანაცვლოდ, კარგავს ყველაფერს.

ჭეშმარიტი ამბოხის სიმბოლოდ რჩება ანტიგონე, ოიდიპოსის ასული, რომელიც ღვთაებრივი კანონის აღსასრულებლად დაუპირისპირდა თებეს მეფის - კრეონტის, ანუ ბიძამისის მიერ გამოცემულ კანონს. აი, რას ეუბნება ანტიგონე კრეონტს, რომელიც თავისი ძმისშვილის ტყუილზე დაყოლიებას და ამით მის გადარჩენას ცდილობს: **"რა მესაქმება თქვენს პოლიტიკასთან, თქვენს გასაჭირთან, თქვენს საქმეებთან. მე ჯერ კიდევ შემიძლია, უარი ვთქვა. უარი ვუთხრა ყველაფერს, რაც არ მომწონს. ჩემი თავის მსაჯული მე თვითონა ვარ. თქვენ კი, თქვენი ბრწყინვალებით, უსუსური ხართ, რადგან ძალაუფლება გსურთ... თქვენ მეფე ხართ, ყოვლის შემძლე, მაგრამ ჩემი გადარჩენა არ შეგიძლიათ. თქვენ მარტო ჩემი დასჯა შეგიძლიათ"** (ჟან ანუი, "ანტიგონე"). ის, ვისაც არ უნდა, დასჯილი იყოს; ის, ვისაც ბევრი აქვს დასაკარგი და არ შეუძლია, უთხრას "არა" იმას, რაც ნამდვილად არ მოსწონს - ჭეშმარიტი მეამბოხე ვერ იქნება. მოქალაქეთა კავშირის მიმართ მძაფრი აგრესია და პრეზიდენტის მიმართ ფრთხილი პროტესტი გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ამბოხს სიყალბედ აქცევს. სიყალბის სიყალბითვე დათრგუნვის მცდელობა "ახლებს" ყველაზე სერიოზული დანაკარგით ემუქრება.

ბ) რეფორმატორებთან პოლიტიკური პაექრობა გამყრელიძისა და გაჩეჩილაძისთვის წამგებიანია ერთი მთავარი მიზეზით: მათ პირისპირ და საჯაროდ ეუბნებიან, რომ პარლამენტში საკუთარი ბიზნესის ლობირებას ახდენენ, - რაზეც "ახლების" დამაჯერებელი პასუხი საზოგადოებას არ მოუსმენია. გასულ თვეებში ისინი გამოვიდნენ ბიზნესის და პოლიტიკის ოფიციალური შეთავსების ინიციატივით, რასაც პირდაპირ კრძალავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუცია. განსაკუთრებით წამგებიანი "ახლებისთვის" აღმოჩნდა ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერების საკითხი, როდესაც მათ საჯაროდ გაიბრძოლეს გადასახადის გაიაფების წინააღმდეგ.

**მეხუთე შეკითხვა**: რა სარგებლობა მოუტანა განხეთქილებამ რეფორმატორებს?

ა) პოლიტიკაში გაცილებით გამოუცდელ მეტოქესთან დაპირისპირებამ მათ შეუქმნა საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის ასპარეზი, მათ შორის, საჯარო დებატებში.

ბ) რეფორმატორების მიერ დეკლარირებულ აგრესიულ გეგმებს ზუსტად "მოერგო" შეტევა იმ საჯარო პირებზე, რომლებიც, მათი ღია შეფასებით, მოსახლეობის ხარჯზე მდიდრდებიან. თუ ცხოვრების თუნდაც ოდნავ გაიაფება მოხერხდა, ამ თემაზე წინასწარი მძაფრი ბრძოლები მოსახლეობის თვალში საგანგებო ეფექტს გამოიღებს.

გ) საზოგადოებას ექმნება შთაბეჭდილება, რომ გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ფინანსები დაეჯახა ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკურ ამბიციებს. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეს დაპირისპირება არ წყდება "მილიონერების" სასარგებლოდ.

**მეექვსე შეკითხვა**: რა ვნება მიიღო რეფორმატორების გუნდმა განხეთქილების შედეგად?

ა) "ახლებთან" დაპირისპირებამ მკვეთრად წარმოაჩინა, რომ ორმაგი სტანდარტი მისაღებია რეფორმატორებისთვის. დღეს სააკაშვილი საუბრობს იმის შესახებ, რომ გამყრელიძე "ალდაგის" სადაზღვევო ბიზნესს ლობირებს, როდესაც ტექდათვალიერების გაიაფებას მხარს არ უჭერს. მაგრამ რამდენიმე თვის წინ სწორედ პარლამენტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ "ალდაგის" ყოფილი პრეზიდენტი დავით გამყრელიძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ დაენიშნათ, ხოლო ღვინის ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წარმომადგენელი ლევან გაჩეჩილაძე - ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარედ.

ეს 'არაპირდაპირ, მაგრამ ფაქტობრივად ნიშნავდა ინტერესთა კონფლიქტს, მაგრამ მაშინ ეს ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილება იყო. ყოველ შემთხვევაში, შორიდან სწორედ ასე ჩანდა. საზოგადოებამ იცოდა, რომ ბიზნესიდან მოსულმა ამ ორმა ადამიანმა ნაწილობრივ დააფინანსა მოქალაქეთა კავშირის და პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია. საზოგადოებამ ისიც იცოდა, რომ მათი ახალი თანამდებობები პირდაპირ გადიოდა მათ ბიზნეს-სფეროებზე. პრაქტიკულად, შეიქმნა საჯარო პრეცედენტი, რომ თუ ადამიანი ფულს გადაიხდის, შეიძლება, გახდეს ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც მას ოლიგარქად აქცევს.

დღეს საუბარია "ალდაგსა" და გამყრელიძეზე, მაგრამ არავინ ახსენებს გაჩეჩილაძეს, რომელმაც არანაკლებ ღია ლობირება გაუწია საკუთარ ბიზნესს. მიმდინარე წლის 11 თებერვალს პარლამენტმა 150 ხმით 9-ის წინააღმდეგ მოახდინა რატიფიცირება რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისა, რომელიც წამგებიანი იყო ქვეყნისთვის პოლიტიკურად, წამგებიანი იყო ბიუჯეტისთვის ფინანსურად, მაგრამ მომგებიანი იყო ექსპორტიორებისთვის, მათ შორის, ლევან გაჩეჩილაძის ბიზნესისთვის.

ამ ხელშეკრულებას ხანგრძლივი ისტორია აქვს: იგი საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო 1994 წელს იმ პაკეტში, რომელმაც საქართველოში რუსული ბაზები დააკანონა. პარლამენტი ამ ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარს აცხადებდა ექვსი წლის განმავლობაში. მაგრამ საკითხი პუტინის თხოვნით გააქტიურდა იმის შემდეგ, რაც შევარდნაძე არჩევნების წინ მოსკოვს ეწვია. ამ პრორუსული დოკუმენტის მიღებას ყველაზე აქტიურად ლობირებდა სწორედ ლევან გაჩეჩილაძე: არა შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე, არამედ - ღვინის ექსპორტიორი; არა სახელმწიფო მოღვაწე, არამედ - ბიზნესმენი. ამ თემაზე ჟურნალ "არილში" ნინო ზურიაშვილის წერილი გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 17 თებერვალს. მაგრამ მაშინ ლევან გაჩეჩილაძის აქტიურობა მიუღებელი არავისთვის ყოფილა, თითო-ოროლა ჟურნალისტის გარდა. რეფორმატორებმა კი დღეს აღმოაჩინეს, რომ "ახლებს" პარლამენტარობა, თურმე, საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის სჭირდებათ.

ორმაგი სტანდარტი უნდობლობას იწვევს და ბადებს ლოგიკურ ეჭვს, რომ პარლამენტში, ლობირების თვალსაზრისით, "აღმოსაჩენი" გაცილებით მეტია, ვიდრე "აღმოჩენილი".

* * *

"ახალი მოლოდინების" ფაზა ჯერ მხოლოდ იწყება. "მოლოდინების ველი", რომელიც ნამდვილად არსებობს, ასპარეზს უქმნის თითოეულ პოლიტიკურ ძალას და ლიდერს ("ძველსაც" და "ახალსაც"), რათა მოიპოვოს საზოგადოების მხარდაჭერა. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უალტერნატივო ედუარდ შევარდნაძის შემდეგ, საზოგადოებამ არ მიიღოს უალტერნატივო პაატა შევარდნაძე, ან უალტერნატივო კახა თარგამაძე, ან უალტერნატივო ზურაბ ჟვანია, ან ვინმე სხვა.

ამ თვალსაზრისით, "ახალი ფრაქცია"□რომელიც დაფუძნდა პარლამენტში და ახალი მოძრაობა, რომელიც არასაპარლამენტო ძალებს აერთიანებს, - საზოგადოებრივად სასარგებლო პრეცედენტია.

პრეზიდენტი ამბობს, რომ იგი განსხვავებას ვერ ხედავს "ახლებსა" და "ძველებს" შორის; რომ იგი აღშფოთებულია კამათის ტონალობით და რომ ორივე მხარეს მოუწოდებს, **"დაიცხრონ ნერვები და იმუშაონ ერთად"**. პრეზიდენტის აზრით, **"ქვეყანა, რომელიც მყარად ვერ დგას ფეხზე, ძალიან უნდა უფრთხილდებოდეს პროგრესული ძალების ერთიანობას"**.

პრეზიდენტის ეს შეფასება ნიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში მომხდარი განხეთქილება, უბრალოდ, რობინზონისა და კრუზოს ბრძოლაა და სხვა არაფერი. პრეზიდენტის ეს შეფასება ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ყველა ვერსიას ეწინააღმდეგება. შესაძლოა იმის გამო, რომ ჩვენ ცუდად გავთვალეთ. ან, შესაძლოა, იმის გამო, რომ გულწრფელობა პოლიტიკოსისთვის სავალდებულო არ არის. ყოველ შემთხვევაში, მას ეს სიტყვები ცოტა ადრე და ცოტა სხვა ვითარებაში რომ ეთქვა, კონფლიქტი საერთოდ არ მოხდებოდა.

რით დასრულდება განხეთქილება პრეზიდენტის მომხრე ძალებს შორის, ან ვის რას მოუტანს დაპირისპირება, რომელიც სულ უფრო და უფრო დაუნდობელ ხასიათს იღებს, - ამ თემებზე ფიქრს, ჩვენს მკითხველთან ერთად, მომავალში გავაგრძელებთ.

**არილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ფაჩუაშვილი

# არ იტირო სექტემბერო



## იყო ერთი დირექტორი

სექტემბერში მასწავლებლები გაიფიცნენ, ხელფასებს ითხოვდნენ. არადა იყო დრო, როცა გვეგონა, რომ ისინი ტუალეტშიც კი არ დადიოდნენ...

საბურთალოს ძველი უბნის ძველ სკოლაში იყო ერთი დირექტორი, რომელზეც პარტიზანული სიფრთხილით ამბობდნენ, "კაგებეშნიკი" არისო. მაშინ ეს ჯერ კიდევ არ იყო სალანძღავი სიტყვა და ყველას შიშს ჰგვრიდა. იმასაც ჩურჩულებდნენ, ძველი "რაზვედჩიკიაო", ოღონდ სად რას ზვერავდა, დანამდვილებით არავინ იცოდა.

თავად დირექტორი საზოგადოებადმცოდნეობას ასწავლიდა მაღალ კლასებს და სულ ულმერთობის დამტკიცებას ცდილობდა. ამბობდა, ძროხას რომ ჰკითხო, ღმერთი როგორიაო, იტყვის ჩემნაირიო. ასე გამოიგონაო ყველამ თავისი ღმერთი და ყველა სულელიაო.

დასვენებებზე ეს იატაკმყურე ობიექტი პირქუში იდუმალებით დადირექტორობდა დერეფნებში და თუ შემთხვევით ნულ ჯგუფელები დაეტაკებოდნენ (სხვები კედლებს იყვნენ გაკრული), ღრიალით გულს უხეთქავდა ერთი წუთით საჭოჭრაოდ შეკრებილ კლასის დამრიგებლებს, რა ამბავია ეს პატარა ბავშვები აქო.

მისი ხმის გაგონებაზე ძველი ბიჭები ტუალეტში "ბიჩოკებს" ყლაპავდნენ. ვინც გაებმებოდა, საჭირო ოთახიდან საჭირ-ბოროტო ოთახში ხვდებოდა და "ოთხში ილებოდა". დირექტორმა კისერში იცოდა მოჭიდება, ოთხად მოგკეცავდა და გრდემლად გაქცევდა.

ამ დროს მისი დახშული კაბინეტი მიწისძვრის ეპიცენტრს ემსგავსებოდა, სადაც დოლაბივით მუშტები მეტისმეტი მონდომებით დევნიდნენ ფილტვებიდან მომწამვლელ ნიკოტინს. საკმარისი იყო დაგეთვალა, რამდენჯერ შეზანზარდებოდნენ კედლები იქიდან გამოვარდნილი ბრაგუნით, რომ ზუსტად მიმხვდარიყავი, რამდენჯერ დაადებინეს ცრუ პირობა სიგარეტის მოყვარულს.

იმ სკოლაში ერთი ოროსანი ბიჭიც სწავლობდა, რომელიც თანანიშნიანებს შორის ყველაზე გამორჩეული იყო და ამის გამო ბევრიც ხვდებოდა. რასაც დირექტორი და სასწავლო ნაწილები აკლებდნენ, მშობლები უნაზლაურებდნენ და ასე იწრთობოდა მეცხრე კლასამდე, ვიდრე "პროფში" გააგდებდნენ.

სკოლის დამთავრებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ იმ ბიჭის კლასელები ერთ-ერთი მშობლის ქელეხში შეიკრიბნენ. მათ შორის ყველასათვის საყვარელი ის ოროსანიც იყო. სწორედ მან თქვა, ჩვენი დირექტორი ჩვენ უბანში ვნახე კომბოსტოს ყიდდაო. რომ მივესალმე, ისე "გაუტყდა", კინაღამ ტირილი დაიწყოო, მაგრად შემეცოდაო!

ხაშლამამ გემო დაკარგა.

## ნეტავ რა არის მოთმინების მიღმა

11 სექტემბერს იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს დავით გარეჯში მისი სახელობის მონასტერში, რომელსაც ნათლისმცემლის უდაბნოს ეძახიან, წირვა-ლოცვა აღესრულება.

ვინც იქ დადის, იცის, რომ იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში ამაოება გაცამტვერებულია და საკმარისია ნაბიჯი გადადგა, რომ იგი ფეხქვეშ გათელო. რაც უფრო უახლოვდები მონასტერს, მით უფრო ნათლად გესმის ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაი.

ფეხებზე თუ ერთი დაიხედე, მიხვდები, რა ამაოდ ცდილობს მტვერი დაგამძიმოს; მაგრამ საკმარისია, წყურვილის გრძნობას დაემორჩილო, რომ მტვერიც კი აუტანელ ბორკილად იქცევა და აღარ გიშვებს მოთმინების მიღმა.

ბრუნდები.

აქეთ კიდევ სექტემბერია. სწავლა იწყება და ბირჟები ივსება.

ქუჩებში ჭიპის გოგონების ახალი ტიპი დაპლიაჟობს. მათ ისე აქვთ ქალური ღირსებები ამოქანდაკებული, რომ შეუიარაღებული თვალითაც კარგად ჩანს, საქართველოში ნამდვილად მოიმატა რადიაციის დონემ.

და არა აქვს მნიშვნელობა, ოცდამეერთე საუკუნე უკვე დადგა თუ ჯერ კიდევ გზაშია. მთავარია, ჩვენსკენ რაღაც ახალი მოდის - ისევ იმ ნაგვისმაგვარი, ისტორიას რომ ჩავაბარეთ, ოღონდ სხვა მხრიდან და ლამაზად შეფუთული.

აქ მას ეჯახება ხმა მღაღადებლისა: ვინ გიჩვენა თქვენ სივლტოლაი მერმისა მის რისხვისა, ყავთ უკვე ნაყოფი სინანულისაი.

გაუწყალდეს თავის დედას ის წყურვილის გრძნობა. ნეტავ რა არის მოთმინების მიღმა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კახაბერი

ოცდაშვიდში სოხუმი დაეცა და სექტემბერმა გამახსენა ეს ამბავიც.

კახაბერ ჯოჯუა ავლანელთა ბატალიონში ყველაზე სუსტი აღნაგობისა იყო და ამის გამო კინაღამ ცოცხალი გადარჩა. თვენახევრიანი წვრთნის შემდეგ ბატალიონის საბოლოო დაკომპლექტებისას კომისიამ მისი ფიზიკური მონაცემები დაიწუნა და სახლში ყოფნა ურჩია, მაგრამ კახას ისე უნდოდა აფხაზეთში წასვლა, რომ შემადგენლობაში მაინც მოხვდა.

ბიჭებმა მას "გიგანტ მისლი" შეარქვეს. ზოგი ისე ეძახდა, სხვას შეიძლება წყენოდა, მაგრამ კახა ყველას უცინოდა. თუ ვინმე ავად გახდებოდა, ისე ემსახურებოდა, თითქოს ევალებოდა. დისციპლინასაც ზედმიწევნით იცავდა და ზოგჯერ სხვის მაგივრადაც ყარაულობდა, როცა მაგარ ბიჭებს ღამით გაღვიძება უჭირდათ.

ბოლოს სხვებზე ზრუნვის ეს თვისება ბრძოლაშიც გამოვლინდა და იმ შევსებიდან კახა პირველი მოკვდა. ეს რამხელა ვაჟკაცი ყოფილაო, ჰყვებიან მისი სიკვდილით გაოცებული თანამებრძოლები.

სნაიპერს რომ მკლავი გადაუმტვრევია, კახას, თურმე, ერთხელაც არ დაუკვნესია. მერე, როცა საკაცეზე დაუწვენიათ და მანქანისკენ გაუქანებიათ მეგობრებზე ზრუნვის უკანასკნელი შანსი მისცემია და გამოუყენებია კიდეც - სნაიპერის მორიგი ტყვია საკუთარ გულში, საკაცეზე მწოლარეს მიუღია. ერთიც ამოუსუნთქია და სულიც განუტევებია.

რა ექნა აბა, დიდებაში ეჩქარებოდა (ისე სიკვდილი რომ დომოდა, ავლანეთში მოკვდებოდა). შევიდა და მამულისთვის დაცემულებს უთხრა, ბიჭებო გაგიმარჯოთო.

სადა ხარ, კაცო ამდენხანსო, უპასუხეს თავდადებულებმა.

## არ იტირო სექტემბერო

სექტემბერო, იმის მიუხედავად, რომ შენით იწყება სახელისუფლო, სასწავლო, კულტურული ცხოვრება, აგრეთვე - შემოდგომაც და დაკარგულზე გლოვაც, ჩვენ მაინც იანვარს ვუკლავთ ღორებს.

ეს იმიტომ ხდება, რომ გარშემო ამაოების კორიანტელია და ყველაზე პატივცემულ ადამიანებსაც კი ერთი უჩინმაჩინის თვისება აქვთ - საკმარისია ჰალსტუხიანი თეთრი პერანგები გაიხადონ, რომ მათგან აღარაფერი დარჩება.

ზოგი რაღაცას ხვდება და იფურთხება კიდეც, მაგრამ საკუთარი შარვლის დანერწყვის მეტს ვერაფერს აკეთებს და თავკერძობის მსხვერპლი ხდება.

დანარჩენები დილით ლოგინებიდან დაღლილები დგებიან, საღამოს სახლებში გათიშულები მიითვლიმებიან და ახალ წელსაც მაშინ ზეიმობენ, როცა იანვარს ჩვენთვის ზამთარში თოვლიც კი ენანება.

მაინც არ იტირო სექტემბერო! შენა ხარ საეკლესიო ახალი წელი.

**არილი**

> შენიშვნა: "არილის" წინა ნომერში გამოქვეყნებული დავით ზურაბიშვილის წერილი - "თავისუფლების საფრთხობელა" - დაიბეჭდა თავისუფლების ინსტიტუტის პროექტის "რელიგიის თავისუფლება საქართველოში" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული კომისიის სახსრებით. წერილში მოყვანილი მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს აშშ მთავრობის ან თავისუფლების ინსტიტუტის ოფიციალურ პოზიციას.

### ვაცლავ ჰაველი

# ევროპელები



მიაჩნიათ თუ არა ევროპის ხალხებს საკუთარი თავი "ევროპელებად", თუ ეს მხოლოდ ისეთი ფიქციაა, რომელიც გეოგრაფიის ტრანსფორმირებას ცდილობს "სულის მდგომარეობად". ეს კითხვა მრავალგზის იჩენს თავს, განსაკუთრებით კი, მაშინ, როცა დებატები ეხება სუვერენიტეტის დონეს, რომელიც ქვეყნებმა ევროკავშირს უნდა გადასცენ. ბევრს მიაჩნია, რომ თუ ნაციონალურმა კუთვნილებამ უკანა პლანზე გადაიწია, საერთო-ევროპული კუთვნილების ქიმერული კონცეფციის სასარგებლოდ, მას ცუდი დასასრული ექნება.

როდესაც საკუთარ თავს ვკითხე: "რამდენად ვგრძნობ თავს ევროპელად, ან რა მაკავშირებს ევროპასთან?", პირველი რეაქცია გაოცება იყო იმის გამო, რომ აქამდე ეს კითხვა არ გამჩენია. ადრე ამაზე არც მიფიქრია, არც მაშინ, როცა სამყაროს შეცნობა დავიწყე და არც შემდეგ პერიოდში. იმიტომ ხომ არა, რომ ევროპისადმი ჩემს დამოკიდებულებას იმთავითვე აღვიქვამდი თავისთავად ცხად ჭეშმარიტებად?

მთელი ჩემი ცხოვრება იმდენად ზედმიწევნით ევროპულია, რომ ამაზე ფიქრი ზედმეტი იყო. უფრო მეტიც, სასაცილოც კი იქნებოდა სერიოზულად მემტკიცებინა ჩემი ევროპელობა, საჯაროდ მექადაგა ევროპისადმი ჩემი კუთვნილების, ან ევროპული ორიენტაციის შესახებ. ამგვარი მანიფესტაციები მეტისმეტად უადგილო და პატრიოტიზმის ისეთივე ამპარტავნული გამოხატულება

ერთიანი ბიბლიოთეკა

იქნებოდა, რის გამოც უწინ ნაციონალ-პატრიოტებს ვუკიჟინებდი ხოლმე.

ჩემნაირ მდგომარეობაშია ევროპელთა უმრავლესობა, ისინი იმდენად ბუნებრივად არიან ევროპელები, რომ ამაზე არ ფიქრობენ. ისინი თავს არც უწოდებენ ევროპელებს. მაშინაც კი, როცა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პასუხად უწევთ ამ თემაზე საუბარი, გაოცებას ვერ მალავენ თავიანთი ევროპული წარმომავლობის ხაზგასმა რომ უხდებათ.

გაცნობიერებულ "ევროპელობას" ხანგრძლივი ტრადიცია არა აქვს. იგი ჩვენს თვალწინ იქმნება და სიამოვნებით ვადევნებ თვალს სინამდვილის უფორმო მასიდან ამგვარი შეგნების ჩამოყალიბებას. ვცდილობთ რა, გავერკვეთ რეალობაში, ამ საკითხზე ფიქრით და თუნდაც საკუთარ თავთან კამათით, ვიმდიდრებთ თვალსაწიერს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან დღევანდელ მრავალ-კულტურულ და მრავალ-პოლარულ სამყაროში საკუთარი ინდივიდუალობის შეცნობა სხვა ინდივიდუალობებთან თანაარსებობის საიმედო წანამძღვარია.

თუ ევროპა დღემდე საგანგებო ყურადღებას არ უთმობდა საკუთარ თვითშეგნებას, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თავს მთელ მსოფლიოდ აღიქვამდა. ან, უკიდურეს შემთხვევაში, დედამიწის სხვა ნაწილებთან შედარებით, იმდენად მაღლა ეჭირა თავი, რომ, მათთან მიმართებაში, საკუთარი თვითგამორკვევის აუცილებლობას ვერ ხედავდა. ბუნებრივია, ასეთი დამოკიდებულება მის პრაქტიკულ ქმედებაში არასასურველი ფორმით აისახებოდა.

"ევროპელობაზე" ფიქრი ევროპისთვის ნიშანდობლივი იდეალების, პრინციპებისა და ღირებულებათა კომპლექსის შესახებ მსჯელობას ნიშნავს. გარკვეულწილად, ეს კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გულისხმობს მთელი ამ კომპლექსის მიმართ, რადგან ბევრ ევროპულ ტრადიციას, პრინციპს თუ ღირებულებას საპირისპირო მხარეც აქვს. ზოგიერთ მათგანს, თუ ბოროტად გამოვიყენებთ, შეუძლია ჯოჯოხეთში ამოგვაყოფინოს თავი.

შეხედულებათა გადაფასებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროპული ინტეგრაციის ფუნდამენტურ ღირებულებათა სულიერ განზომილებებზე. დღემდე კი ევროპის გაერთიანება და ცივილიზაციის ფართო კონტექსტში მისი მნიშვნელობა ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხებით განისაზღვრებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ევროპის გაერთიანება ის-ის იყო დაიწყო, დემოკრატიული დასავლეთი ევროპის მეხსიერება ორი მსოფლიო ომის დროს გადატანილი საშინელებებით იყო დამძიმებული, სამომავლოდ კი კომუნისტური ტოტალიტარიზმის საფრთხე ემუქრებოდა. მაშინ არ იყო საჭირო იმ ღირებულებებზე საუბარი, რომელთაც დაცვა სჭირდებოდათ, ეს თავისთავად ცხადი იყო. ევროპა აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყო, რათა თავიდან აეცილებინა დიქტატურის გავრცელების საშიშროება და უწინდელი ნაციონალური კონფლიქტების ეპოქაში დაბრუნების საფრთხე.

სწორედ ამიტომ, თავის ადრეულ ასაკში, ევროპულ კავშირს საკუთარ ევროპულ წარმომავლობასთან ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორიც დღეს მე მაქვს. ევროპის მორალური მიზანი ცხადი იყო. დასავლეთი ევროპა ისეთ საყოველთაოდ ცხად ღირებულებებს იცავდა, რომ მისი განხილვის თუ ანალიზის არავითარი საჭიროება არ იყო. მხოლოდ ათწლეულების შემდეგ მინავლდა ევროპაში ფიზიკური საფრთხე, ამის შემდეგღა მიეცათ ევროპელებს იმის შესაძლებლობა, რომ, გაერთიანების მორალური და სულიერი საფუძვლებიდან და საერთო ევროპული ამოცანებიდან გამომდინარე, თვითშემეცნების ღრმა პროცესებში ჩართულიყვნენ.

ევროპის კონტინენტის სულიერი და პოლიტიკური ისტორიის მიერ ჩამოყალიბებული ღირებულებების ძირითადი კომპლექსი ყველასთვის ცნობილია. მათი ზოგადი ჩამონათვალი ასეთია: ადამიანის პიროვნებისა და მისი უფლებებისადმი, თავისუფლებისა და ღირსებისადმი პატივისცემა; სოლიდარობის პრინციპი; კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი; ეროვნულ უმცირესობათა დაცვა; დემოკრატიული ინსტიტუტები; საკანონმდებლო, აღმასრულებელი და იურიდიული ხელისუფლების გამიჯვნა; პოლიტიკური პლურალიზმი; კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობისადმი ხელის შეწყობა; საბაზრო ეკონომიკა; სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. ეს ღირებულებები თანამედროვე ევროპული სინამდვილის უთვალავ წახნაგში აისახება. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ჩვენი კონტინენტია მრავალი სხვადასხვა კულტურის გზაჯვარედინი.

"ევროპელობის" არსის განსაზღვრისას მთავარი იმის გაცნობიერებაა, რომ ყველაფერს, რაც ევროპამ მსოფლიოს მისცა, ორი მხარე აქვს; ჩვენ ვასწავლეთ მსოფლიოს არა მხოლოდ ადამიანის უფლებები, არამედ ჰოლოკოსტიც; ჩვენ მივეცით სულიერი იმპულსი არა მხოლოდ სამრეწველო და საინფორმაციო რევოლუციებს, არამედ ბუნების გაძარცვასა და დაბინძურებასაც; ჩვენ დავუდეთ სათავე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, მაგრამ უმოწყალოდ განვდევნეთ ათასწლეულების განმავლობაში დაგროვილი ადამიანური გამოცდილება.

მე-20 საუკუნის უსაშინელესი მოვლენები - მსოფლიო ომები, ფაშიზმი, კომუნისტური ტოტალიტარიზმი, ძირითადად, ევროპის დამსახურებაა. მაგრამ, გასული საუკუნის განმავლობაში, ევროპა ბევრი სასიკეთო გარდასახვის მოწმეც იყო (თუმცა, მხოლოდ მის დამსახურებად ვერ მივიჩნევთ) - ბოლო მოეღო კოლონიურ ერას, წარსულს ჩაბარდა რკინის ფარდა და სათავე დაედო ევროპის ინტეგრაციას.

მეოთხე მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება ჯერ კიდევ წინაა. თავისი არსებობით, ევროპამ უნდა მოახდინოს იმისი დემონსტრირება, რომ შესაძლებელია ცივილიზაციის მიერ წარმოქმნილი საფრთხის დაძლევა. მე ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ჩემი ქვეყნის ადამიანები (რომლებიც ევროპელები არიან), როგორც ევროპის მიერ აღიარებული ნამდვილი ევროპელები, მონაწილეობას მიიღებდნენ ამ პროცესის გააზრებასა და ევროპული ცნობიერების გარკვევაში.

პროჯექტ სინდიკატი, პრაჰა, ივნისი, 2000 წელი

თარგმნა ეთერ ვიბლიანმა

ჭრილი





http://www.opentext.org.ge/arili

HERE



